

# Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

2/2025

შედარებითი სამართლის  
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift  
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



2/2025

# შვედარეზიტი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2025

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2025

© ავტორები, 2025

www.lawjournal.ge

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ნოტარიუსი რინარდ ბოკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ადვოკატი გორა ოყრეშიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	სულხან გველესიანი
ფრანკ ჰუბფელდი	ნატალი გოგიაშვილი
ხათუნა დიასამიძე	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
დავით მაისურაძე	ოსკარ ფონ კოსელი
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი	რაფაელ კნეერი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია  
ნინო ქავშბაია  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე  
ტილმან სუტორი



# სარჩევი

## სტატიები

- დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი II** 7  
*ქეთევან მესხიშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი*
- ევროკავშირის გაფართოების მატრიცა (ათი ქვეყნის ამბავი)** 21  
*ეკატერინე ქარდავა*
- ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა უმოქმედობის დროს (მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის თავიდან არაცილება გარანტის მიერ)** 50  
*თემურ ცქიტიშვილი*
- კრედიტის დაზღვევა მსესხებლის სიცოცხლის ფორმით და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის კომპეტენცია** 72  
*რუსუდან თოიძე*



## დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში\*

### ნაწილი II

ქეთევან მესხიშვილი

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

#### A) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების სამართლებრივი ურთიერთობები მესამე პირებთან და მონაწილეთა სიმრავლესთან გერმანული სამართლის მიხედვით:

##### I. საკანონმდებლო მონესრიგება:

მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე რეგულირებულია გსკ-ის 832-ე პარაგრაფით:

„(1) პირი, რომელიც კანონის ძალით ვალდებულია, განახორციელოს მეთვალყურეობა იმ პირზე, რომელიც არასრულწლოვნების ან თავისი გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო საჭიროებს ამას, ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც ეს უკანასკნელი მარ-

თლსანინააღმდეგოდ აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი აკმაყოფილებს მასზე დაკისრებული მეთვალყურეობის ვალდებულების მოთხოვნებს, ან თუ ზიანი მაინც დადგებოდა სათანადო მეთვალყურეობის შემთხვევაშიც კი.

(2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს მეთვალყურეობის განხორციელებას“.

გსკ-ის 832-ე პარაგრაფი წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს.<sup>1</sup> როგორც 1-ელ ნაწილში უკვე აღინიშნა,<sup>2</sup> პასუხისმგებლობის აღნიშნული ნორმა არ მოიცავს დაზარალებული ბავშვის მოთხოვნებს მეთვალყურე პირის მიმართ.<sup>3</sup> ბავშვის მოთხოვნები მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის მიმართ რეგულირდება

\* თარგმანი შეასრულა ნატალი გოგიაშვილმა. სტატიის პირველი ნაწილი გამოქვეყნებულია შედარებითი სამართლის ჟურნალის 1/2025 ნომერში.

<sup>1</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 24.

<sup>2</sup> მესხიშვილი/ჰაგენლოხი, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B. II. 2. ბ) აა) (2), www.lawjournal.ge., 1-2025.

<sup>3</sup> BGH, Urteil vom 17. Oktober 1995 - VI ZR 358/94 - NJW 1996, 53, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 16. Januar 1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190, juris Rn. 13.



მხოლოდ დელიქტური სამართლის ზოგადი ნორმებით (გსკ-ის 823-ე პარაგრაფი) და საოჯახო-სამართლებრივი პასუხისმგებლობით, რომელიც დადგენილია გსკ-ის 1664-ე პარაგრაფით.

გსკ-ის 832-ე პარაგრაფის მიხედვით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დროს, საკითხი ეხება ბრუნვის უსაფრთხოების დელიქტური მოვალეობის ნორმატიულ რეგულირებას.<sup>4</sup> ამრიგად, მეთვალყურეობის ვალდებულებები, ერთი მხრივ, მეთვალყურეობა დაქვემდებარებულ ბავშვთან და, მეორე მხრივ, მესამე პირებთან მიმართებით შინაარსობრივად იდენტურია. ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, მესამე პირებისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს თავად უნევს თავის მართლება (ექსკულპირება) [მასზეა ექსკულპირების ტვირთი], ხოლო დაზარალებულმა ბავშვმა თავად უნდა ამტკიცოს მეთვალყურე პირის ბრალეულობა.

## II. პასუხისმგებლობის წინაპირობები:

კანონით მეთვალყურეობის ვალდებულება ეკისრებათ, პირველ რიგში, იმ პირებს, რომლებიც საოჯახო სამართლის რეგულაციების შესაბამისად არასრულწლოვანზე პირადად ზრუნავენ. როგორც წესი, ესენი არიან ბიოლოგიური ან მშვილდებელი მშობლები, საოჯახო სამართლიდან გამომდინარე ამ მეთვალყურეობის ვალდებულებებს გერმანულ სამართალში ემატება კანონით დადგენილი მეთვალყურეობის ვალდებულებები აღზრდისა თუ განათლების პროცესის ფარგლებში (მაგალითად, საბავშვო ბაღში - აღმზრდელები, მასწავლებლები).

თუ შესაბამისი მეთვალყურე პირები, რომლებიც საჯარო-სამართლებრივ ფუნქციებს ასრულებენ, თავიანთ ვალდებულებას დაარღვევენ, პასუხისმგებლობა ნაცვლად გსკ-ის 832-ე პარაგრაფისა, დაეკისრებათ გსკ-ის 839-ე პარაგრაფის მიხედვით, რომელიც ზოგადი სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ნორმაა (რომლის ნორმატიული მიზანი მსგავსია სკ-ის 1005 მუხ-

ლისა ((ქვემოთ 1.)). ის პირები, რომლებმაც „ხელშეკრულების“ საფუძველზე აიღეს მეთვალყურეობის ვალდებულება, გსკ-ის 832 II პარაგრაფის მიხედვით ვალდებულნი არიან ზიანი აუნაზღაურონ მესამე პირს (ქვემოთ 2.). ასეთი ვალდებულების აღების შემთხვევაში, არასრულწლოვნის ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის ვალდებულება გადაიქცევა მეთვალყურეობისა და კონტროლის ვალდებულებად. ასევე შესაძლებელია პასუხისმგებლობის გადანაწილება, თუ რამდენიმე პირია არასრულწლოვნის ზრუნვაზე პასუხისმგებელი და ისინი მეთვალყურეობას ერთმანეთში ინაწილებენ კონკრეტული სფეროების მიხედვით (ქვემოთ 3.). დეტალურად:

### 1. კანონით დადგენილი მეთვალყურეობის ვალდებულება:

არასრულწლოვანზე ზრუნვის პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც წესი, რეგულირდება საოჯახო სამართლის ნორმებით, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ არის კანონით ვალდებული არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე. ამ კონტექსტში გსკ-ის 1631 I პარაგრაფში მითითებულია:

*„არასრულწლოვნზე ზრუნვა მოიცავს, ვალდებულებასა და უფლებას, მოუარონ ბავშვს, აღზარდონ, მეთვალყურეობა გაუწიონ და განსაზღვრონ მისი საცხოვრებელი ადგილი.“*

შესაბამისად, მეთვალყურეობის ვალდებულება ეკისრებათ ბიოლოგიურ მშობლებს, თუ ისინი ბავშვის დაბადების მომენტში ქორწინებაში იმყოფებოდნენ (გსკ-ის 1626 I პარაგრაფი), ქორწინება გაფორმდა ბავშვის დაბადების შემდეგ (გსკ-ის 1626a I 2 პარაგრაფი) ან საერთო მეთვალყურეობის უფლებას იღებენ ე. წ. მეურვეობის განცხადების საფუძველზე (გსკ-ის 1626a I 1 პარაგრაფი) ან საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილებით (გსკ-ის 1626a I 3 და 1626a II 2 პარაგრაფებთან ურთიერთკავშირში). ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვზე ზრუნვის უფლება ეკუთვნის დედას (გსკ-ის 1626 III პარაგრაფი).

<sup>4</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 24.

ბიოლოგიური მშობლების ადგილს, საჭიროების შემთხვევაში, იკავებენ მშვილებელი მშობლები (გსკ-ის 1754 III პარაგრაფი), მეურვე (გსკ-ის 1789-ე და 1795 I პარაგრაფები) ან მზრუნველი (გსკ-ის 1809-ე, 1813-ე და 1795 I პარაგრაფები).

გერმანიის ფედერალური მიწების სასკოლო კანონებში პედაგოგებს ევალებათ, მეთვალყურეობდნენ მოსწავლეებს გაკვეთილების დროს, სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე ყოფნისას, შესვენებების დროს, თავისუფალ საათებში, გაკვეთილამდე და გაკვეთილის შემდეგ გონივრულ დროში, აგრეთვე სხვა სასკოლო ღონისძიებებზე, როგორც სასწავლებლის შიგნით, ასევე მის გარეთ.<sup>5</sup> საჯარო სკოლებში აღნიშნული მეთვალყურეობის ვალდებულება მიიჩნევა საჯარო ფუნქციად.<sup>6</sup> იგივე პრინციპი მოქმედებს სოციალური კანონის VII 34 პარაგრაფის მიხედვით<sup>7</sup> ბავშვთა და ახალგაზრდების დახმარების ფარგლებში მათი სახლებში აღზრდისას, ასევე ბავშვთა სახლებსა და საბავშვო ბაღებში მეთვალყურეობის ვალდებულებებზე, თუ ისინი საჯარო სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებენ.<sup>8</sup> სავალდებულო სასკოლო განათლების გათვალისწინებით, ბევრი მიიჩნევს, რომ მეთვალყურეობა ასევე საჯარო ხასიათს ატარებს კერძო სკოლებშიც, და კერძო სკოლა შესაძლოა განიხილებოდეს როგორც ე. წ. ადმინისტრაციული დამხმარე.<sup>9</sup>

მეთვალყურეობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამორიცხავს ზოგადი სამოქალაქო სამართლის ნორმებით, კერძოდ გსკ-ის

832-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და მის ნაცვლად მოქმედებს სპეციალური ნორმები, რომლებიც ადგენს სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევისას წარმოქმნილ პასუხისმგებლობას (გსკ-ის 839-ე პარაგრაფსა და გერმანიის კონსტიტუციის 34-ე მუხლთან კავშირში).<sup>10</sup> ამისგან განსხვავებით, საქართველოში (სკ-ის 1005-ე მუხლი), პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ სამსახურებრივ სუბიექტს, ხოლო გერმანიაში პასუხისმგებლობას იღებს ე. წ. თანამდებობის პირის დამსაქმებელი საჯარო ორგანო, მათ შორის, მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც. თვითონ საჯარო მოსამსახურე პირადად არ აგებს პასუხს, თუმცა, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება რეგრესის წესით (გერმანიის კონსტიტუციის 34 II მუხლის მიხედვით საჯარო სამსახურის შესახებ შესაბამის კანონებთან, მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა შესახებ სხვადასხვა კანონთან ურთიერთკავშირში).

თუმცა მეთვალყურეობის ვალდებულების შინაარსი ამით არ იცვლება,<sup>11</sup> ამიტომ, მოცემული მოსაზრებები ასევე ვრცელდება საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის მოთხოვნებზე. ეს ასევე ეხება გსკ-ის 832-ე პარაგრაფის მიხედვით მტკიცების ტვირთის წესს, რადგან გსკ-ის 839-ე პარაგრაფი, როგორც *Lex Specialis*, მხოლოდ პასუხისმგებლობის შემადგენლობას ცვლის.<sup>12</sup> მოკლედ რომ ითქვას, ფედერალური სასამართლო ამას ძირითადად იმით ასაბუთებს, რომ არ არსებობს ობიექტური მი-

<sup>5</sup> შდრ. დაახლ.: § 51 Abs. 1 des Schulgesetzes Berlin; § 12 Abs. 1 „თავისუფალი სახელმწიფოს საქსონიის დაწყებითი სკოლების სასკოლო წესდება“.

<sup>6</sup> BGH, Urteil vom 15. März 1954 - III ZR 333/52 - BGHZ 13, 25, juris Rn. 5; Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Urteil vom 26. Februar 1999 - 1 U 110/98 - juris Rn. 2; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832. Rn. 24.

<sup>7</sup> OLG Dresden, Urteil vom 4. Dezember 1996 - 6 U 1393/96 - NJW-RR 1997, 857, juris Rn. 7.

<sup>8</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 8, 24; OLG Frankfurt, Urteil vom 13. Januar 2014 - 1 U 76/13, juris Rn. 8.

<sup>9</sup> ასევე: LG Siegen, Urteil vom 26. Januar 2016 - 2 O 84/15 - juris Rn. 26.

<sup>10</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 24; OLG Frankfurt, Urteil vom 13. Januar 2014 - 1 U 76/13 - juris Rn. 8; OLG Koblenz, Urteil vom 21. Juni 2012 - 1 U 1086/11 - DAR 2012, 704, juris Rn. 13; OLG Karlsruhe, Urteil vom 30. März 2006 - 12 U 298/05 - juris Rn. 20.

<sup>11</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 13; OLG Frankfurt, Urteil vom 13. Januar 2014 - 1 U 76/13 - juris Rn. 24 ff.; OLG Koblenz, Urteil vom 21. Juni 2012 - 1 U 1086/11 - DAR 2012, 704, juris Rn. 15 f.; OLG Köln, Urteil vom 20. Mai 1999 - 7 U 5/99 - NVwZ-RR 2000, 75, juris Rn. 3.

<sup>12</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 19 ff., 24; განსხვავებულია წინარე სასამართლო პრაქტიკისგან.

ზეზი, რატომ უნდა იყოს მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობის წინაპირობები საჯარო დანესებულებებში განსხვავებული იმ დანესებულებებთან შედარებით, რომლებიც კერძო მართვის სფეროში იმყოფება.

თუ კანონი მეთვალყურეობაზე ვალდებულ რამდენიმე განსაზღვრავს, მაგალითად, მშვილებლები, ან მასწავლებლები და აღმზრდელები, მეთვალყურეობის ვალდებულება თითოეულ მათგანს ეკისრება. თუმცა, მეთვალყურეობის ვალდებულების ფორმა და შინაარსი მეთვალყურეობაზე თითოეული ვალდებულები პირისთვის შეიძლება განსხვავდებოდეს. სანამ ბავშვები მასწავლებლებისა და აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, კანონის მიხედვით, ბავშვზე მზრუნველ პირთა (მშობლების და ა. შ.) ზედამხედველობის ვალდებულება შესაძლოა დროებით შეჩერდეს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ A. II. 3.-ის განმარტებები.

## 2. მეთვალყურეობის ვალდებულების თავის თავზე აღება:

თუ მესამე პირი მეთვალყურეობის ვალდებულებას კისრულობს, მას იგივე პასუხისმგებლობები ეკისრება, როგორც კანონით მეთვალყურეობაზე თავდაპირველად პასუხისმგებელ პირს.<sup>13</sup> აღნიშნული ცალსახად არის განერილი გსკ-ის 832 II პარაგრაფში, რომელიც მეთვალყურეობის ვალდებულების ხელშეკრულებით კისრებაზე საუბრობს. თუმცა, ეს ვალდებულება, როგორც დელიქტურ სამართალში მოქმედი ბრუნვის უსაფრთხოების მოვალეობის ნაწილი, ვრცელდება ფაქტობრივი მეთვალყურეობის საკუთარ თავზე აღების შემთხვევებზეც. განსხვა-

ვება მხოლოდ ისაა, რომ მეთვალყურეობის ფაქტობრივი აღების დროს, გსკ-ის 832-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ექსკულპაციის უფლება არ მოქმედებს და შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ბრალთან მიმართებით განსხვავებულია.

### ა) მეთვალყურეობის ვალდებულების ხელშეკრულებით კისრება:

მეთვალყურეობის ვალდებულების ხელშეკრულებით კისრებას, გაბატონებული მოსაზრებით, მაღალი მოთხოვნები არ წაეყენება.<sup>14</sup> მნიშვნელოვანია განისაზღვროს, კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით, უნდა მოხდეს თუ არა იმ რისკის წყაროზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღება, რომელიც მეთვალყურეობას დაქვემდებარებული პირისთვის უკავშირდება.<sup>15</sup>

სამართლებრივი ბოჭვისა და უბრალო დახმარების გამიჯვნის საჭიროება პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მტკიცების ტვირთის განაწილებას არ ეხება (მაგალითად, როდესაც ბრალეულობა უკვე დადგენილია), სასამართლო პრაქტიკა ხშირად ღიად ტოვებს საკითხს, მეთვალყურეობა ხელშეკრულებით თუ ფაქტობრივად არის წარმოშობილი.<sup>16</sup> ანაზღაურება,<sup>17</sup> უცხო ოჯახში ნაწილობრივი ინტეგრაცია<sup>18</sup> ან ხანგრძლივი და მჭიდრო ზეგავლენის შესაძლებლობა, როგორცაა მაგალითად, ბავშვის მოვლის მრავალჯერადი სერვისი,<sup>19</sup> მეტყველებს სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობაზე. ასევე, ეს ზოგადად ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მეთვალყურეობა ეკისრება სპეციალუ-

<sup>13</sup> OLG Köln, Urteil vom 13. August 2015 - I-8 U 67/14 - NJW-RR 2016, 401, juris Rn. 23; OLG Koblenz, Urteil vom 2. Februar 1994 - 1 U 1278/90 - VersR 1995, 50.

<sup>14</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 34; *Wilhelmi* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 832 BGB, Rn. 5; für hohe Anforderungen aber wegen des Haftungsrisikos: LG Frankfurt, Urteil vom 29. Oktober 2020 - 2- 03 O 15/19 - ZUM-RD 2021, 161 juris Rn. 4 mwN.

<sup>15</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 34.

<sup>16</sup> შდრ: OLG Koblenz, Urteil vom 20. Juli 2015 - 12 U 83/15 - RuS 2015, 569, juris Rn. 15; OLG Hamm, Urteil vom 16. September 1999 - 6 U 92/99 - VersR 2001, 386, juris Rn. 14.

<sup>17</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 35, 36.

<sup>18</sup> OLG Düsseldorf, Urteil vom 23. November 1990 - 22 U 189/90 - VersR 1992, 310.

<sup>19</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 37 f.

რად კვალიფიცირებულ პირს ან დანესებულე-ბას, როგორცაა აღმზრდელი.<sup>20</sup> ამის საწინააღმდეგოდ, მეგობარი ბავშვების მშობლების მიერ თავიანთი ბავშვების სტუმრობაზე ურთიერთშეთანხმებული ნებართვა,<sup>21</sup> მეზობლების, მეგობრების ან ნათესავების მიერ დროებითი „მეთვალყურეობა“ ან ბავშვის ნაცნობთა წრეში ხანდახან მოვლა საკმარისი არ არის სახელმეკრულე-ბო პასუხისმგებლობის დაშვებისათვის.<sup>22</sup>

### ბ) მეთვალყურეობაზე ფაქტობრივი პასუხისმგებლობის კისრება:

როდესაც მეთვალყურეობის ვალდებულების აღება ხდება ფაქტობრივად, გსკ-ის 832-ე პარაგრაფი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არ გამოიყენება.<sup>23</sup> თუმცა, ფაქტობრივ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ეკისრებათ ზოგადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებები, რის გამოც მათ შესაძლოა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროთ მესამე პირების სასარგებლოდ (თუმცა გსკ-ის 832-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ექსკლუზივის უფლება მათზე არ ვრცელდება).<sup>24</sup>

აღნიშნულის წინაპირობაა, რომ მეთვალყურეობაზე ვალდებულმა პირმა ან თავად შექმნას საფრთხე ან პასუხისმგებლობა აიღოს ბავშვიდან მომდინარე საფრთხეებზე.<sup>25</sup> მაგალითად, მშობელი, რომელიც ბავშვს მეთვალყურეობს ბავშვების სათამაშო მოედანზე, არ ეკისრება პა-

სუხისმგებლობა (სამართლებრივად უფრო ზუსტად: უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება) სხვა ბავშვების ქცევაზე, მათთან მხოლოდ საერთო სივრცეში ყოფნის გამო. თუმცა, განსხვავებულია ვითარება, როდესაც ის „ინვეს“ ბავშვთა ჯგუფს ფეხბურთის სათამაშოდ, თუ ის უშვებს, რომ სხვა მშობლების შვილები, სათამაშო მოედნის დატოვების შემდეგ, მას თან გაჰყვებიან ან სხვაგვარად მოაშორებს მათ მშობლების სამეთვალყურეო არეალს.<sup>26</sup>

ასეთი გამონაკლისი შემთხვევების გარდა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების საკუთარ თავზე აღება მოითხოვს, რომ კანონით განსაზღვრულ მეთვალყურესა და მეთვალყურეობის თავის თავზე ამღებ პირს შორის არსებობდეს ფაქტობრივი თანხმობა მეთვალყურეობის დროებით (სრულად ან ნაწილობრივ) გადაბარებაზე. ეს გულისხმობს, რომ თავდაპირველი მეთვალყურე ტოვებს ბავშვს არა მხოლოდ ისეთ [საფრთხის შემცველ] სიტუაციაში, როდესაც ის გარდაუვალად საჭიროებს მეთვალყურეობას („ვინმე მაინც მიხედავს ბავშვს“), არამედ მასსა და მეთვალყურეობის მკისრებ პირს შორის უნდა მოხდეს, მინიმუმ, არაფორმალური შეთანხმება, მაგალითად, სიტყვებით: „შეგიძლიათ, ჩემს შვილს მიხედოთ?“, მხოლოდ მეთვალყურეობის საჭიროების დანახვა არ არის საკმარისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების წარმოშობისთვის.<sup>27</sup>

<sup>20</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 43; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 27. März 2007 - 4 U 167/06- VersR 2008, 408, juris Rn. 25, მონყობილობა/დანესებულება ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მკურნალობისთვის.

<sup>21</sup> BGH, Urteil vom 2. Juli 1968 - VI ZR 135/67 - NJW 1968, 1874, juris Rn 17.

<sup>22</sup> შდრ. Moritz in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 832 BGB (Stand: 01.02.2023), Rn. 15 f.

<sup>23</sup> BGH, Urteil vom 2. Juli 1968 - VI ZR 135/67 - NJW 1968, 1874, juris Rn 20; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 51; ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ლიტერატურაში: Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 52.

<sup>24</sup> BGH, Urteil vom 2. Juli 1968 - VI ZR 135/67 - NJW 1968, 1874, juris Rn 20; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 50 ff.; OLG Koblenz, Urteil vom 20. Juli 2015 - 12 U 83/15 - RuS 2015, 569, juris Rn. 15; Wilhelmi in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 832 BGB, Rn. 5.

<sup>25</sup> შდრ. Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 203.

<sup>26</sup> შდრ. BGH, Urteil vom 16. Januar 1968 - VI ZR 134/66 - VersR 1968, 378, juris Rn. 9 ff.; სასაფლაოს ერთობლივად ვიზიტისას, ბავშვი თამაშის დროს ჩამოვარდნილი საფლავის ქვით დაშავდა.

<sup>27</sup> შდრ. OLG Düsseldorf, Urteil vom 26. August 2009 - I-15 U 26/09 - FamRZ 2010, 1282, juris Rn. 14 ff. „მეურვის საგზაო უსაფრთხოების ვალდებულება, რომლის საქმიანობის არეალს ეკუთვნის 'საცხოვრებელი საკითხები'“.

### 3. კანონით განსაზღვრულ მეთვალყურეთა ვალდებულებები მეთვალყურეობის გადაცემისას:

თუ კანონით განსაზღვრული მეთვალყურე მეთვალყურეობას მესამე პირს გადასცემს, მისი საკუთარი მეთვალყურეობის ვალდებულება, როგორც წესი, გადაიქცევა შერჩევისა და ზედამხედველობის ვალდებულებად.

მეთვალყურეობის გადაცემის შემთხვევაში საკუთარი ვალდებულება მაშინაა შესრულებული, როდესაც დანიშნული მესამე პირი საიმედო და კეთილსინდისიერი პირია და მეთვალყურეობის ამოცანებისადმი ფიზიკურად და ინტელექტუალურად მომზადებულია.<sup>28</sup> მაგალითად, თუ მშობლები თავიანთი სამუშაო დროის განმავლობაში ბავშვის მოვლას ბებიას ანდობენ, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ბებია თავის მეთვალყურეობის ვალდებულებას სათანადოდ შეასრულებს. ეს მოიცავს იმას, რომ ბებია მშვიდობიან განსაკუთრებულ ქცევასთან გამკლავება შეძლოს.<sup>29</sup> განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (ბავშვის თვისებები, „საშიში“ თამაშის ჩვევები), შეიძლება საჭირო გახდეს მეთვალყურე პირისთვის გარკვეული ინსტრუქციების მიცემა.<sup>30</sup>

როდესაც ბავშვი სკოლაში, სასკოლო ღონისძიებაზე ან საბავშვო ბაღში იმყოფება, მშობლების მეთვალყურეობის ვალდებულება დროებით წყდება. მშობლების შერჩევის ბრალეულობაც, როგორც წესი, გამოირიცხება, თუ მათ არ აქვთ არჩევანის საშუალება (მაგალითად, რომელი საბავშვო ბაღი?) ან თუ საქმე ეხება სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ არსებულ დაწესებულებას.<sup>31</sup> თუმცა, მშობლებს შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება, აცნობონ ამ

დაწესებულების ხელმძღვანელობას ბავშვის მიერ გამოწვეული პოტენციური საფრთხეების შესახებ შესახებ, მაგალითად, ცეცხლთან დაკავშირებული ქცევის მიდრეკილება ან თანატოლებზე ფიზიკური თავდასხმები.

თუ რამდენიმე მეთვალყურეა პასუხისმგებელი, მაგალითად, ორივე მშობელი, რომლებიც ბავშვზე ერთობლივი ზრუნვის უფლებით არიან აღჭურვილები, თითოეული მათგანის მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს (ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი).<sup>32</sup> ოჯახში (ცალსახად ან კონკლუდენტურად) ფუნქციონირება განაწილება, ზოგადად, დელიქტური სამართლის ქრილშიც აღიარებულია.<sup>33</sup> ასეთ განაწილებაში შეიძლება შედიოდეს როგორც დროებითი დანაწილება, მაგალითად, მშობლის არყოფნისას, ასევე სივრცითი დანაწილება, მაგალითად, როდესაც მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ბავშვის ზრუნვას სხვადასხვა ადგილას ახორციელებენ.

ეს დიფერენციაცია ვრცელდება მხოლოდ ბავშვის კონკრეტულ ქცევასთან დაკავშირებულ მეთვალყურეობის ზომებზე. ამიტომ, თუ არ არსებობს საპირისპირო მინიშნებები, იქ არ მყოფი მშობელი, როგორც წესი, შეიძლება ეყრდნობოდეს მოცემულობას, რომ მეორე მშობელი პასუხისმგებელიანად განახორციელებს მეთვალყურეობას.<sup>34</sup> რაც შეეხება უფრო ზოგად აღმზრდელობით ასპექტებს (როგორცაა უსაფრთხოების წესების შესახებ სწავლება, ცეცხლის საფრთხეებზე გაფრთხილება და ა. შ.), ეს მოვალეობა, როგორც წესი, ორივე მშობელს ეკისრება (იხილეთ, ქვემოთ A. III. 1. ა).

დიუსელდორფის უმაღლესი სააპელაციო სამართლო აღნიშნავს:<sup>35</sup>

<sup>28</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 159; vgl. auch BGH, Urteil vom 11. Juni 1968 - VI ZR 144/67 - NJW 1968, 1672, juris Rn. 12; OLG Hamm, Urteil vom 16. September 1999 - 6 U 92/99 - VersR 2001, 386, juris Rn. 14.  
<sup>29</sup> OLG Hamm, Urteil vom 29. Oktober 1996 - 27 U 63/96 - NJW-RR 1997, 344, juris Rn. 20; OLG Hamm, Urteil vom 16. September 1999 - 6 U 92/99 - VersR 2001, 386, juris Rn. 14; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 159, „ენერგიული და სიცოცხლით სავსე ბებია-ბაბუა“.

<sup>30</sup> BGH, Urteil vom 11. Juni 1968 - VI ZR 144/67 - NJW 1968, 1672, juris Rn. 12; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 160, 162, ქცევითი გადახრების შემთხვევაში.  
<sup>31</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 163.  
<sup>32</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 168.  
<sup>33</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 168.  
<sup>34</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 168.  
<sup>35</sup> OLG Düsseldorf, Urteil vom 14. September 1990 - 22 U 64/90 - VersR 1992, 321.

„მათი არასრულწლოვანი ბავშვების მეთვალყურეობა, გსკ-ის 1626 I და 1631 I პარაგრაფების შესაბამისად, პრინციპულად ორივე მშობელს ერთობლივად ეკისრება. ამიტომ, თითოეული მათგანი ატარებს ვალდებულებას, ბავშვის მეთვალყურეობის ფარგლებში, მკაფიოდ გააფრთხილონ ისინი ცეცხლით თამაშის აკრძალვაზე და მიუთითონ საფრთხეებზე. გარდა ამისა, ორივე მშობელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს ხელში არ ჩაუვარდეთ ისეთი აალებადი ნივთები, რომლებსაც მშობლები სახლში იყენებენ და ინახავენ. თუმცა, ბავშვების ქცევასთან დაკავშირებული ყოველდღიური და მიმდინარე მეთვალყურეობა, როგორც წესი, მხოლოდ იმ მშობელს შეუძლია განახორციელოს, რომელიც ადგილზე იმყოფება და ამ პასუხისმგებლობას რეალურად ითავისებს. დღის განმავლობაში მომუშავე ან სხვა მიზეზით ხანგრძლივად არმყოფი მშობელი ფიზიკურად ვერ ახორციელებს ბავშვების მეთვალყურეობას. ასეთ შემთხვევებში, თუნდაც გამოხატული შეთანხმების გარეშე, უნდა მივიჩნიოთ, რომ მშობლები გამოუხატავად თანხმდებიან, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ბავშვებზე მეთვალყურეობის განხორციელება სახლში ხანგრძლივი დროით მყოფ მშობელს დაევალოს.“

#### 4. მიზეზობრიობა:

გსკ-ის 832-ე პარაგრაფით განსაზღვრულ პასუხისმგებლობაზე ვრცელდება მიზეზობრიობისა<sup>36</sup> და სამართლებრივი პასუხისმგებლობის

შერაცხვის ზოგადი პრინციპები.<sup>3738</sup> მაგალითად, თუ მშობელი, მცდარი წარმოდგენით, რომ გადასასვლელი ქუჩა თავისუფალია, მსუბუქ მოძრაობას აკეთებს წინ და ამას ექვსი წლის ბავშვი აღიქვამს როგორც სიგნალს ქუჩის გადასასვლელად, რის შედეგადაც მას სატრანსპორტო საშუალება შეეჯახება, ამ შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხვა ხდება „გამონვევის პრინციპის“ („Grundsatz des Herausforderns“) საფუძველზე.<sup>3940</sup>

### III. მეთვალყურეობის ვალდებულების ფარგლები:

#### 1. ძირითადი პრინციპები:

გსკ-ის 832-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მეთვალყურეობის ვალდებულება მიზნად ისახავს თავიდან აცილოს არასრულწლოვნის მიერ მესამე პირებისთვის ზიანის მიყენება. მეთვალყურეობის ვალდებულების მოცულობის განსაზღვრისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვის ასაკი, შეგნების უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა.<sup>41</sup> გარდა ამისა, ყურადღება ექცევა იმ საფრთხეების მოცულობას, რომელთა თავიდან აცილება ბავშვის მეთვალყურეობით არის შესაძლებელი.<sup>42</sup> მაგალითად, ინტერნეტში ფაილების გაზიარების პლატფორმებზე მონაწილეობისას საავტორო უფლებების დარღვევით გამომწვეული ქონებრივი ზიანით შემოფარგლული რისკი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბავშვის მიერ საგზაო მოძრაო-

<sup>36</sup> BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12.

<sup>37</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 61; vgl. OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18, juris Rn. 55; OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 30.

<sup>38</sup> ამასთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ძლიერიშვილი/ჰაგენლოხი, პიროვნული ზიანის ანაზღაურება საქართველოში და გერმანიაში, I. ნაწილი: ზიანის გამომწვევი ქმედება, თავი A. I. 3.), <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-10-2024.pdf>.

<sup>39</sup> ძლიერიშვილი/ჰაგენლოხი, პიროვნული ზიანის ანაზღაურება საქართველოში და გერმანიაში, I. ნაწილი: ზიანის გამომწვევი ქმედება, თავი A. I. 3. b) aa) (1); <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-10-2024.pdf>.

<sup>40</sup> შდრ. საქმის გარემოებების შესახებ: OLG Bamberg, Urteil vom 14. Februar 2012 - 5 U 149/11 - NJW 2012, 1820, juris Rn. 18, dort allerdings ein haftungsbegründendes Verschulden wegen der Anwendung von § 1664 BGB უარყო.

<sup>41</sup> BGH, Urteil vom 10. Juli 1984 - VI ZR 273/82 - NJW 1984, 2574, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 16; OLG Hamm, Urteil vom 21. November 2023 - I-26 U 79/23 - MDR 2024, 303, juris Rn. 7; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 52.

<sup>42</sup> BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 27; BGH, Urteil vom 27. Februar 1996 - VI ZR 86/95 - NJW 1996, 1404, juris Rn. 9 ff.

ბისას ან ცეცხლთან ურთიერთობისას არასწორი ქცევით სხეულის დაზიანების ან სიკვდილის საფრთხე.<sup>43</sup>

მეთვალყურეობის ვალდებულების ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომების მიღებაა აუცილებელი გონიერი მეთვალყურეობის მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვების მიერ მესამე პირებისთვის ზიანის მიყენება. გსკ-ის 832-ე პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის შეფასება ყოველთვის ხდება კონკრეტული შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით და არა იმ გარემოებების მიხედვით, თუ ზოგადად როგორ არის ბავშვი აღზრდილი ან მეთვალყურეობის როგორი ინტენსივობის ვალდებულება ითვლება საკმარისად.<sup>44</sup> ასევე გასათვალისწინებელია, რომ პედაგოგიური მიზეზების გამო დაწესებულ აკრძალვებს ბავშვები და მოზარდები ხშირად არ აქცევენ ყურადღებას და ისინი დაუფიქრებელი ქცევისადმი არიან მიდრეკილნი.<sup>45</sup>

#### ა) აღზრდის ვალდებულება:

ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის აღზრდის ვალდებულება, რომელიც არასრულწლოვნის ზრუნვის უფლებიდან გამომდინარეობს, პასუხისმგებლობის ფარგლებში ზედამხედველობის ვალდებულების დარღვევის გამო უმნიშვნელო იყოს.

გსკ-ის 832-ე პარაგრაფის საფუძველზე დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველი არ არის ოჯახურ-სამართლებრივი (ჩვეულებრივ: მშობლის) აღზრდის ვალდებულების შესრულება, როგორც ასეთი (ანუ ე. წ. „აღზრდის დეფიციტი“), არამედ (როგორც უკვე

აღინიშნა) ქცევა კონკრეტული საფრთხის სიტუაციაში. თუმცა, აღზრდის ვალდებულება და მეთვალყურეობის ვალდებულებას შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რადგან აღზრდის დონე და მისი დღემდე მიღწეული შედეგები განსაზღვრავს, თუ რა მოცულობის მეთვალყურეობა არის საჭირო კონკრეტულ სიტუაციაში.<sup>46</sup> ეს დამოკიდებულია ბავშვის თავისებურებებსა და მის მიერ აღზრდის ზომების დაცვის ხარისხზე, რამდენად საკმარისია ზოგადი ინსტრუქციები და აკრძალვები ან საჭიროებს თუ არა მათი დაცვა გარკვეული დროის განმავლობაში დამატებით კონტროლს.<sup>47</sup>

აღზრდის დეფიციტს მოსდევს სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, როცა ის გავლენას ახდენს ზოგად საფრთხეებთან ბავშვის ურთიერთქმედებაზე, მაგალითად, საგზაო მოძრაობის, ცეცხლის, წყლის ან საშიში იარაღების გამოყენების რისკების გაცნობიერებაზე. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობის საფუძველად ყოველთვის რჩება ზიანის მომტანი კონკრეტული ქცევა. მაგრამ, თუ ამ ქცევაში ვლინდება აღზრდის დეფიციტი, პიროვნების ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირები (ჩვეულებრივ, მშობლები) ვერ შეძლებენ თავიანთი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას მხოლოდ იმით, რომ კონკრეტულ სიტუაციაში არასრულწლოვანზე მეთვალყურეობა ერთ-ერთი მშობლისთვის ან სხვა პირისთვის ჰქონდათ გადაცემული.<sup>48</sup> მაგალითად, თუ ბავშვები, რომლებიც მესამე პირის მეთვალყურეობაში იმყოფებიან, ცეცხლს გააჩენენ „ცეცხლთან თამაშის“ დროს, მშობლები ვერ გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმით, რომ მეთვალყურე

<sup>43</sup> BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 28.

<sup>44</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 199/08 - NJW 2009, 1954, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 29. Mai 1990 - VI ZR 205/89 - BGHZ 111, 282, juris Rn. 19; OLG Hamm, Urteil vom 21. November 2023 - I-26 U79/23 - MDR 2024, 303, juris Rn. 7; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 52.

<sup>45</sup> BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 12. Juli 2007 - I ZR 18/04 - BGHZ 173, 188; juris Rn. 26; BGH, Urteil vom 5. Oktober 2004 - VI ZR 294/03 - NJW-RR 2005, 251, juris Rn. 12.

<sup>46</sup> Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 21. Oktober 1997 - 8 U 865/97 - juris Rn. 8; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 89.

<sup>47</sup> BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 199/08 - NJW 2009, 1954, juris Rn. 14.

<sup>48</sup> OLG Düsseldorf, Urteil vom 14. September 1990 - 22 U 64/90 - VersR 1992, 321, ამონარიდის სახით ციტირებულია A. II. 3-ში.

პირის შერჩევა და კონტროლი სათანადოდ განახორციელეს. მათ უნდა დაასაბუთონ და დაამტკიცონ, რომ მათ მიანოდეს ბავშვს საკმარისი ინფორმაცია ცეცხლთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. იგივე ეხება შემთხვევას, როდესაც მშობლები სახლში ინახავენ მანქანის გასაღებს ისე, რომ ბავშვებს „სახიფათო“ ასაკის პერიოდში მასზე წვდომა შეუძლიათ.<sup>49</sup> ასეთ შემთხვევებშიც მშობლები რჩებიან პასუხისმგებლები, თუნდაც ზიანი იმ დროს დადგეს, როცა მეთვალყურეობა მესამე პირისთვის არის გადაცემული.

### ბ) აღზრდა საპასუხისმგებლო ქცევისთვის:

საბოლოოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გსკ-ის 1626 II 1 პარაგრაფის მიხედვით, ბავშვები უნდა აღიზარდონ დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი ქცევის მაგალითზე.<sup>50</sup> ასაკის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და საფრთხის ინტენსივობის შესაბამისად, ბავშვებს (მათი უნარების ზრდასთან ერთად) გარკვეული თავისუფლება უნდა მიეცეთ. ეს უნდა უზრუნველყოფდეს მათ შესაძლებლობას, აღმოაჩინონ სიახლე და თავად შეაფასონ შესაძლო საფრთხეები.<sup>51</sup> ამ მიზეზით, საფრთხეების გეგმაზომიერი და (განსაკუთრებით) კონტროლირებადი გაცნობა დელიქტური სამართლის თვალსაზრისით დაშვებულია და აღზრდის პროცესში რეკომენდებულია.<sup>52</sup> თუმცა, ეს პროცესი არ უნდა იყოს ბავშვისთვის გადაჭარბებულად რთული და არც არაგონივრული ქმედებისკენ აქეზებდეს მას.<sup>53</sup>

### გ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებისა და შეგნების უნარის ურთიერთკავშირი:

როგორც სხვა ადგილას უკვე დეტალურად იყო განხილული, მეთვალყურეობის ვალდებულების მოცულობა ურთიერთკავშირშია მესამე პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებასთან.<sup>54</sup> გარდა ამისა, მეთვალყურეობის ვალდებულების ინტენსივობა მცირდება იმასთან ერთად, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს ასაკის მატებასთან ერთად საკუთარი პასუხისმგებლობის შესაბამისად საფრთხეების აღქმა და კონტროლი.<sup>55</sup>

## 2. მაგალითები:

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, გერმანიაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი კაზუსტიკა. თავდაპირველად ყურადღება გამახვილდება გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებაზე.<sup>56</sup> თუმცა, ქვემოთ მოცემული იქნება სხვა მაგალითებიც:

### ა) საგზაო მოძრაობა:

მშობლები არღვევენ თითქმის სამი წლის ასაკის ბავშვზე მეთვალყურეობის ვალდებულებას, თუ მას აძლევენ საშუალებას ფეხითსავალ- და ველობილიკზე საბავშვო ველოსიპედით იმობრაოს და მასთან 5-დან 9 მეტრამდე დაშორებით

<sup>49</sup> OLG München, Urteil vom 10. April 1984 - 5 U 4658/83 - MDR 1984, 757, juris Rn. 21.

<sup>50</sup> BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 26; OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 62; OLG Koblenz, Beschluss vom 21. Januar 2009 - 12 U 1299/08 - Schaden-Praxis 2009, 280, juris Rn. 3.

<sup>51</sup> შდრ. BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 21; OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 21.

<sup>52</sup> შდრ. BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 199/08 - NJW 2009, 1954, juris Rn 12 ff.; OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 63; OLG München, Urteil vom 29. Juli 2019 - 21 U 2981/18 - NJW-RR 2020, 88, juris Rn. 28.

<sup>53</sup> Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2020 - 4 U 182/19 - NJW-RR 2020, 1222, juris Rn. 20.

<sup>54</sup> *მესხიშვილი/ჰაგენლოხი*, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი unter B. II. 2. ბ) აა), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.

<sup>55</sup> *მესხიშვილი/ჰაგენლოხი*, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B. I. 2. ბ) აა), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.

<sup>56</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090; ამონარიდით წარმოდგენილია: *მესხიშვილი/ჰაგენლოხი*, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B. II. 2. ა) ბბ) (1), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.



რჩებიან. ამ დისტანციაზე მშობლებს არ აქვთ შესაძლებლობა, პირდაპირ მოახდინონ ბავშვზე გავლენა, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეები ბავშვიდან მომდინარე საფრთხისგან დაიცვან. თუ მშობლები, როგორც მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები, არ იყენენ მზად საჭიროების შემთხვევაში ფიზიკურად ჩარეულიყვნენ, მათ, მინიმუმ, უნდა უზრუნველყნენ, რომ ბავშვი მოთხოვნისთანავე გაჩერებულიყო.<sup>57</sup>

სხუთი წლის ბავშვი, რომელიც ტროტუარზე ველოსიპედით დადის და იცნობს ადგილობრივ პირობებს, არ საჭიროებს ისეთ ინტენსიურ მეთვალყურეობას, რომ მეთვალყურეობის ვალდებულების მქონე პირს ნებისმიერ დროს შეეძლოს ჩარევა. ასევე, მეთვალყურეს არ მოეთხოვება, ბავშვი ყოველთვის გააჩეროს ტროტუარის მოსახვევების წინ. ბავშვს არ სჭირდება დამატებით განმარტება, რომ მან გზას ყურადღება მიექციოს და ბარიერებს თავი აარიდოს. სავარაუდოა, რომ ბავშვს მისი ასაკისთვის შესაფერისი შეგნების უნარი გააჩნია, რათა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სწორად იმოქმედოს.<sup>58</sup>

იმ ფაქტის გამო, რომ ექვსი წლის ბავშვი, მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე, მშობლების სახლის წინ მდებარე ტროტუარზე თავისი საბავშვო ველოსიპედით დადის, მშობლების მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა ვერ დადგინდება, თუ ბავშვი ამ ველოსიპედს სამ წელზე მეტია უსაფრთხოდ იყენებს და მშობლები დარწმუნდნენ, რომ ბავშვი მიჰყვება მათ მითითებებს, იმოძრაოს მხოლოდ ტროტუარზე და არ მიუახლოვდეს ველობილიკსა და გზას.<sup>59</sup>

## ბ) ცეცხლსასაშიში და წყალსაშიში სიტუაციები:

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ბავშ-

ვების მეთვალყურეობის ვალდებულება ცეცხლის საშიშროების შესახებ მათი ინფორმირებისა და აალებად საშუალებებთან მათი შესაძლო კონტაქტის მონიტორინგის მხრივ ძალიან მაღალია.<sup>60</sup> ეს ეფუძნება იმ გამოცდილებას, რომ ბავშვების მიერ გამოწვეული ხანძრები ხშირად მნიშვნელოვანი ზიანის მიზეზი ხდება. გსკ-ის 832-ე პარაგრაფის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ეს რისკი, რომელიც ბავშვებისგან მომდინარეობს, პირველ რიგში მშობლებს ეკისრებათ. ამიტომ მშობლები ვალდებული არიან, თავიანთი პატარა, დაახლოებით შვიდი, რვა წლის ბავშვები ცეცხლთან თამაშის საშიშროების შესახებ მკაცრად გააფრთხილონ და ასევე მკაცრად გააკონტროლონ, რომ ბავშვებს არ ჰქონდეთ უნებართვო წვდომა ასანთთან ან სხვა აალებად საშუალებებთან. თუმცა, ბავშვის ჯიბეების ყოველდღიური შემოწმება, როგორც წესი, არ არის სავალდებულო.<sup>61</sup> უფრო მოზრდილ (10 წელს გადაცილებულ) ბავშვებთან შეიძლება შედარებით ნაკლები სიმკაცრის საჭიროება არსებობდეს.<sup>62</sup>

თუ 14 თვის ბავშვი ბაღში ხოხვით გადაადგილება და შეუძლია პატარა დაბრკოლებებისა და კიბეების გადალახვა, ბაღში არსებული აუზის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის, რომ აუზისკენ მიმავალი საფეხურების მსგავსი კიბე მხოლოდ თავისუფლად გადასადგილებელი ოთხკილოგრამიანი დაფით იყოს დაცული. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დაფის მყარად დამაგრება, ან ბავშვის მოთავსება მისთვის განკუთვნილ, სპეციალურად შემოსაზღვრულ ზონაში ან მისი უწყვეტი მეთვალყურეობა.<sup>63</sup>

8-დან 12 წლამდე ასაკის 40 ბავშვისგან შემდგარი დამსვენებელთა ჯგუფის მეთვალყურე-

<sup>57</sup> OLG Hamm, Urteil vom 21. November 2023 - I-26 U 79/23 - MDR 2024, 303, juris Rn. 9 f.

<sup>58</sup> OLG Koblenz, Urteil vom 24. August 2011 - 5 U 433/11 - NJW-RR 2012, 274, juris Rn. 11 ff.

<sup>59</sup> OLG Hamm, Beschluss vom 8. Februar 2013 - I-9 U 202/12 - MDR 2013, 655, juris Rn. 16.

<sup>60</sup> BGH, Urteil vom 27. Februar 1996 - VI ZR 86/95 - NJW 1996, 1404, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 10. Oktober 1995

- VI ZR 219/94 - NJW 1995, 3385, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 19. Januar 1993 - VI ZR 117/92 - NJW 1993, 1003, juris Rn. 7.

<sup>61</sup> BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 17.

<sup>62</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 1993 - VI ZR 117/92 - NJW 1993, 1003, juris Rn. 7.

<sup>63</sup> OLG Köln, Urteil vom 13. August 2015 - I-8 U 67/14 - NJW-RR 2016, 401, juris Rn 23 ff.

ებს ზედამხედველობის ვალდებულების დარღვევას ვერ შეურაცხავენ, თუ ღია საცურაო აუზზე ვიზიტის დროს ჯგუფი პატარა ქვეჯგუფებად არ იქნება დაყოფილი, რომლებსაც თითოეული მეთვალყურე მუდმივად დააკვირდება. ამ ასაკის ბავშვებისთვის საკმარისია, რომ მეთვალყურეები საცურაო აუზზე სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში იმყოფებოდნენ და მოხალისე ბავშვთა ჯგუფები თავის გარშემო შემოიკრიბონ, რომელთაც შეიძლება ნებისმიერი ბავშვი შეუერთდეს, სურვილის შემთხვევაში. ის ფაქტი, რომ ამ დროს ზოგიერთი ბავშვი დროებით მეთვალყურეობის მიღმა რჩება, არ ცვლის ვითარებას, რადგან ამ ასაკის ბავშვებისთვის მუდმივი კონტროლი საჭირო აღარ არის. შესაბამისად, მეთვალყურეებს ზედამხედველობის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხს ვერ დააკისრებენ, თუკი ერთ-ერთი ბავშვი, რომელსაც მიღებული ჰქონდა მითითება, რომ მხოლოდ ზედამხედველობის ქვეშ არსებულ არასაცურაო ზონაში უნდა დარჩენილიყო, საცურაო ზონაში დაიხრჩო.<sup>64</sup>

### გ) მეთვალყურეობა:

ოთხი წლის ასაკის ჩათვლით მცირეწლოვან ბავშვებს მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდებათ, რათა თავი აარიდონ ისეთ საფრთხეებს, რომლებსაც თავიანთი გამოუცდელიობისა და დაუფიქრებლობის გამო ვერ აცნობიერებენ და ვერ მართავენ.<sup>65</sup> ამ ასაკის ბავშვებისთვის საფრთხეები ყველგან არსებობს და შესაძლოა ისეთ

გარემოებებშიც კი წარმოიშვას, რომლებიც ზრდასრულისთვის სრულიად უვნებელია.<sup>66</sup>

ეს ნიშნავს, რომ მეთვალყურე პირი ბავშვის სიახლოვეს უნდა იმყოფებოდეს და მას მუდმივად აკვირდებოდეს.<sup>67</sup> ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი იმყოფება ისეთ სივრცეში, რომელიც უსაფრთხოების მიზნით არ არის დაცული იმისგან, რომ მან შეუმჩნეველად ვერ დატოვოს ეს ტერიტორია.<sup>68</sup> დაახლოებით სამი წლის ასაკიდან, საცხოვრებელი ბინის ან სახლის ადვილად აღქმად ტერიტორიაზე, შესაძლებელია ბავშვის უშუალო მეთვალყურეობის გარეშე დროებით დატოვება, მაგალითად, მეთვალყურის საპირფარეოში გასვლის დროს. თუმცა, საჭიროა, რომ ბავშვი მაინც იყოს სმენითი მანძილის ფარგლებში.<sup>69</sup> ამ ასაკის ბავშვებისთვის, ზოგადად, შეიძლება ნებადართული იყოს დამოუკიდებლად, მათ შორის ღამით, საპირფარეოში წასვლა.<sup>70</sup>

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ოთხი წლის ასაკიდან, ასაკის შესაბამისად განვითარებულ ბავშვებს გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ. ასეთ ასაკში ბავშვების „ყოველ ნაბიჯზე“ მეთვალყურეობა აუცილებელი აღარ არის, თუმცა საჭიროა რეგულარული შემოწმება მცირე შუალედებით.<sup>71</sup> კონტროლის ასეთი შუალედი საცხოვრებელი სახლის გარეთ არ უნდა აღემატებოდეს 15-30 წუთს, თუნდაც ბავშვი ხუთი წლის იყოს და მანამდე არანაირი თვალშისაცემი ქცევა არ გამოუვლენია.<sup>72</sup>

ნორმალურად განვითარებული 6-დან 7 წლამდე

<sup>64</sup> OLG Koblenz, Urteil vom 2. Februar 1994 - 1 U 1278/90 - VersR 1995, 50.

<sup>65</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 14; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 19. Februar 2020 - 7 U 138/18 - NJW-RR 2020, 972, juris Rn. 46; OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 21; OLG Stuttgart, Urteil vom 12. März 2008 - 4 U 58/07 - NZV 2009, 191, juris Rn. 50.

<sup>66</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 20. September 1994 - VI ZR 162/93 - NJW 1994, 3348, juris Rn. 15; OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 21.

<sup>67</sup> OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 22; OLG Koblenz, Urteil vom 20. Juli 2015 - 12 U 83/15 - RuS 2015, 569, juris Rn. 15.

<sup>68</sup> OLG Koblenz, Urteil vom 20. Juli 2015 - 12 U 83/15 - RuS 2015, 569, juris Rn. 15.

<sup>69</sup> OLG Düsseldorf, Beschluss vom 26. April 2018 - I-4 U 15/18 - NJW-RR 2018, 1190, juris Rn. 21; OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 22.

<sup>70</sup> OLG Düsseldorf, Beschluss vom 26. April 2018 - I-4 U 15/18 - NJW-RR 2018, 1190, juris Rn. 22.

<sup>71</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 14, ხუთ-ნახევარი წლის ბავშვისთვის.

<sup>72</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 14; LG Berlin, Beschluss vom 5. Juni 2018

მდე ბავშვები გარკვეული დროით შეიძლება დარჩნენ უშუალო მეთვალყურეობის გარეშე. ამ ასაკის ბავშვების მუდმივი ზედამხედველობა საჭირო აღარ არის,<sup>73</sup> განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი იმყოფებიან მათთვის ნაცნობ გარემოში და არ აქვთ ქცევითი პრობლემები. თუმცა, ეს პერიოდი არ უნდა იყოს ხანგრძლივი (მაგალითად, რამდენიმე საათი).<sup>74</sup> საჭიროა შედარებით მკაცრი კონტროლი, თუ გამორიცხული არ არის, რომ ბავშვი ბავშვური თამაშის ან ჯგუფური დინამიკის პროცესის შედეგად საფრთხეს შეუქმნის საკუთარ თავს ან სხვებს.<sup>75</sup> მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან მავნე ქცევებისა თუ ზიანის მიყენებისკენ, უფრო ინტენსიური მეთვალყურეობა საჭიროებათ.<sup>76</sup>

თუ 7-დან 12 წლამდე ბავშვები ფეხბურთის ბანაკში შესვენების დროს მინიგოლფს თამაშობენ და ერთ-ერთი ბავშვი ჩოგანს სხვას სახეში დაარტყამს, მეთვალყურე პასუხისმგებელია მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევისთვის, თუ ის ბავშვებს მხოლოდ 100 მეტრის მანძილიდან აკვირდებოდა, რაც მხოლოდ ხმის ან დაძახების გაგონების საშუალებას იძლეოდა. აუცილებელია, რომ მეთვალყურე უშუალოდ ბავშვთა ჯგუფის სიახლოვეში იმყოფებოდეს, რათა შეძლოს პრევენცია იმ დაზიანებებისა, რომლებიც ჩოგნით ხელის ქნევას მოჰყვება, განსაკუთრებით, თუ ბავშვები ერთმანეთთან ახლოს იმყოფებიან. ამ ასაკის ბავშვებს არ შეუძლიათ სრულყოფილად შეაფასონ მინიგოლფის ჩოგნით თამაშის (რაც ნაკლებად ტიპურია) დროს მოსალოდნელი საფრთხეები.<sup>77</sup>

## დ) საავტორო უფლებების დარღვევა ინტერნეტში:

მშობლები ვალდებული არიან, გააკონტროლონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილის მიერ ინტერნეტით სარგებლობა, რათა თავიდან აიცილონ მესამე პირებისთვის საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად ზიანის მიყენება ბავშვის ინტერნეტპლატფორმებზე მონაწილეობის გამო. თუმცა, მშობლების მხრიდან თავიანთი მოვალეობის შესრულებისთვის საკმარისია, რომ ნორმალურად განვითარებულ ბავშვს, რომელიც მისთვის მიცემულ ძირითად მითითებებსა და აკრძალვებს ასრულებს, განუმარტონ ინტერნეტში მსგავსი პლატფორმების გამოყენების უკანონობა და აუკრძალონ ამ პლატფორმებში მონაწილეობა. ზოგადად, მშობლებს არ ევალებათ, ბავშვის მხრიდან ინტერნეტის გამოყენების მუდმივი კონტროლი, კომპიუტერის შემოწმება ან ბავშვისთვის ინტერნეტზე წვდომის (ნაწილობრივი) აკრძალვა. ასეთი ზომების მიღება მშობლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეთხოვებათ, თუ მათ აქვთ კონკრეტული ნიშნები, რომ ბავშვი არღვევს მისთვის დაწესებულ აკრძალვას.<sup>78</sup>

## ე) სხვა საკითხები:

ვინც თავის ორ-ნახევარი წლის ბავშვს, რომელიც წინა სავარძელში უსაფრთხოების ღვედის გარეშე ზის ბავშვის სკამზე, ორ წუთამდე უყურადღებოდ ტოვებს, ისე, რომ ბავშვი შეძლებს სალონიდან მანქანის გასაღები აიღოს და მანქანა დაქოქოს, არღვევს თავის კონტროლის ვალდებულებას.<sup>79</sup>

- 55 S 132/17 - juris Rn. 7; LG Detmold, Urteil vom 2. Oktober 2013 - 10 S 17/13 - juris Rn. 10; LG Nürnberg-Fürth, Urteil vom 5. Mai 2011 - 8 O 9642/10 - juris Rn. 19.

<sup>73</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 199/08 - NJW 2009, 1954, juris Rn. 13, შვიდ-ნახევარი წლის ბავშვისთვის; OLG Düsseldorf, Urteil vom 10. Dezember 2009 - I-5 U 58/09 - juris Rn. 37, რვა წლამდე ბავშვისთვის.

<sup>74</sup> OLG Düsseldorf, Urteil vom 14. Mai 2014 - I-19 U 32/13 - NJW-RR 2014, 1496, juris Rn. 18 f., ექვს-ნახევარი წლის ბავშვისთვის.

<sup>75</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 226/12 - BGHZ 196, 35, juris Rn. 13 ff.

<sup>76</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 18. März 1997 - VI ZR 91/96 - NJW 1997, 2047, juris Rn. 8.

<sup>77</sup> OLG Frankfurt, Urteil vom 20. November 2007 - 3 U 91/06 - NJW-RR 2008, 975, juris Rn. 18.

<sup>78</sup> BGH, Urteil vom 11. Juni 2015 - I ZR 7/14 - NJW 2016, 950, juris Rn 32; BGH, Urteil vom 15. November 2012 - I ZR 74/12 - NJW 2013, 1441, juris Rn. 23 ff.; OLG Köln, Urteil vom 6. Dezember 2013 - I-6 U 96/13 - juris Rn. 13.

<sup>79</sup> OLG Oldenburg, Urteil vom 20. April 2023 - 14 U 212/22 - juris Rn. 21.

კარტოფილის გასასუფთავებლად გამოყენებული დანა არ უნდა დარჩეს ხუთი წლის ბავშვების სიახლოვეს, მათთან თამაშის დროს, თუნდაც მხოლოდ მოკლე დროით. ეს ვრცელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე პასუხისმგებელი პირი იმყოფება ადგილზე, მაგრამ დაკავებულია სხვა საქმეებით და შესაძლოა საფრთხის შესახებ არაფერი იცოდეს.<sup>80</sup>

#### IV. ზიანის მიმყენებელ რამდენიმე პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები:

##### 1. თანაბრალეულობა და სოლიდარული პასუხისმგებლობა:

თუ დაზარალებულ მესამე პირს გსკ-ის 254-ე პარაგრაფის შესაბამისად პასუხისმგებლობის ფარგლებში საგზაო მოძრაობის კანონის<sup>81</sup> მიხედვით შეეარაცხება შერეული ბრალი, აღნიშნული ფაქტი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემცირების საფუძველად უნდა იქნას გათვალისწინებული.<sup>82</sup>

თუ ზიანის გამონვევაზე რამდენიმე პირია პასუხისმგებელი, არსებობს მათ შორის (როგორც უკვე განხილული იყო 1-ელ ნაწილში) გსკ-ის 840 I პარაგრაფის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობა.<sup>83</sup> აღნიშნული ეხება გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასაც, მიუხედავად მისი საოჯახო სამართლებრივი ხასიათისა.<sup>84</sup> სოლიდარული პასუხისმგებლობის გადანაწილება ეფუძნება იმავე კრიტერიუმებს, რომლებიც საკუ-

თარი და სხვისი ბრალეულობის (თანაბრალეულობის) შენონისას გამოიყენება.<sup>85</sup>

##### ა) თანაბრალეულობა:

როგორც უკვე დეტალურად განვიხილეთ, მესამე პირებს, მათ მიერ შექმნილი საფრთხეების გათვალისწინებით, ბავშვების დასაცავად უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის უფრო ინტენსიური ვალდებულებები ეკისრებათ.<sup>86</sup> თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირები (თუ მათგან არ მომდინარეობს სპეციფიკური საფრთხეები) განსაკუთრებულად უნდა იყვნენ დაცული იმ ზიანისგან, რომლებიც შესაძლოა მათ მიაყენონ ბავშვებმა.<sup>87</sup>

გსკ-ის 832-ე პარაგრაფის ძირითადი პრინციპი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელმა პირებმა მოახერხონ არასრულწლოვნების მიერ გამონვეული ზიანის თავიდან აცილება. ამ პირებს, როგორც წესი, აქვთ ამისთვის საჭირო გავლენის ბერკეტები. ამიტომ ლოგიკურია, რომ არასრულწლოვნის არასწორი ქმედების შედეგები უფრო მეტად მათ შეეარაცხოთ, ვიდრე მესამე პირებს.<sup>88</sup> მარტივად რომ ვთქვათ, მშობლებმა უნდა აღკვეთონ პატარა ბავშვების სანთებელაზე წვდომა და არა ფერმერებმა, რათა ბავშვმა სანთებელით ჩაღას ან მარცვლეულის ყანას ცეცხლი არ მოუკიდოს.

თუმცა შესაძლოა, სხვა მიდგომა იქნას გათვალისწინებული, თუ არსებობს ზიანის მიყენების საფრთხის კონკრეტული ნიშნები ან გონივრული თვითდაცვა, სიტუაციის გათვალისწინე-

<sup>80</sup> OLG Hamm, Urteil vom 1. Oktober 1998 - 6 U 92/98 - RuS 1999, 371, juris Rn. 12 ff.

<sup>81</sup> ასევე: რუსიაშვილი/შავენლობი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024 გვ. 1 და შემდგომნი; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>82</sup> BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12 ff.; OLG Stuttgart, Urteil vom 12. März 2008 - 4 U 58/07 - VersR 2009, 206, juris Rn. 74.

<sup>83</sup> Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 219; Schmidt in: Freymann/Wellner, jurisPKStraßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 832 BGB (Stand: 23.07.2024), Rn. 44.

<sup>84</sup> BGH, Urteil vom 16. Januar 1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190, juris Rn. 11 ff.

<sup>85</sup> OLG Stuttgart, Urteil vom 12. März 2008 - 4 U 58/07 - VersR 2009, 206, juris Rn. 75.

<sup>87</sup> OLG Stuttgart, Urteil vom 12. März 2008 - 4 U 58/07 - VersR 2009, 206, juris Rn. 74.

<sup>88</sup> BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 18. März 1997 - VI ZR 91/96 - NJW 1997, 2047, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 19. Januar 1993 - VI ZR 117/92 - NJW 1993, 1003, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 29. Mai 1990 - VI ZR 205/89 - NJW 1990, 2553, juris Rn. 9.

ბით, განსაკუთრებით კი რისკისა და უსაფრთხოების ზომების ხარჯის შენონისას, გამართლებულია. მაგალითად, ასეთი მიდგომა შეიძლება განიხილებოდეს, თუ შენობის მფლობელი აღმოაჩენს, რომ ქცევითი დარღვევების მქონე არასრულწლოვანი ძალადობრივად შეიჭრა შენობაში და მიუხედავად ამისა, იგი არ იღებს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს (არსებული გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელი) განმეორება, რაც შეიძლება ვანდალიზმის ან ცეცხლის გაჩენის საფრთხეს შეიცავდეს.<sup>89</sup> მაგალითად, თივის სანყოფემაში, შესაძლოა საჭირო იყოს კარების ბოქლომით დაკეტვა, თუნდაც არ არსებობდეს კონკრეტული ნიშნები ბავშვების შეჭრასთან დაკავშირებით.

### ბ) თანაბრალეულობისა და სოლიდარული პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპები:

სატრანსპორტო ავარიების შემთხვევებში პასუხისმგებლობების შენონისას სხვა ადგილას განხილული კრიტერიუმები<sup>90</sup> ანალოგიურად გამოიყენება მეთვალყურეობის ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შენონის დროსაც. გარდა იმ შემთხვევებისა (თუ საქმე არ ეხება სატრანსპორტო საშუალების მონაწილის ზიანს), რომლებიც სატრანსპორტო საშუალების ოპერაციული რისკის შეფასებას უკავშირდება.

პასუხისმგებლობის განაწილების პროცენტის დასადგენად გადამწყვეტია, პირველ რიგში, მხარეთა შეტანილი წვლილი; მათი ბრალეულობის დონე მეორე რიგში განიხილება.<sup>91</sup> ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ბავშვის შემცირებული აღქ-

მის უნარი და მისი პასუხისმგებლობის შემცირებული გრძნობა (რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე და მის ასაკზე) შეიძლება პასუხისმგებლობის შემცირების ფაქტორად იქცეს.

ორივე მხარის მიერ შეტანილი წვლილის მასა დამოკიდებულია იმაზე, ორივე მხარის მიერ შეტანილი წვლილი რა ალბათობით იყო შესაბამისი ზიანის გამოსანვევად. „უმთავრესი გამომწვევი“ („Vorwiegend verursachen“) ნიშნავს, ისეთ ქმედებას, რომელიც ზიანის შემთხვევას უფრო მაღალი ალბათობით განაპირობებს,<sup>92</sup> ანუ კონკრეტულ სიტუაციაში უფრო საშიშია. მაგალითად, გაცილებით საშიშია თივის სანყოფემაში ღია ცეცხლით მოძრაობა, ვიდრე კარის ჩაკეტვის უგულებელყოფა. ასევე, გაცილებით სავარაუდოა, რომ პარკირებულ მანქანებს შორის მეთვალყურეობის გარეშე მოთამაშე პატარა ბავშვი უკონტროლოდ გადავიდეს გზაზე, ვიდრე ის, რომ ნებადართული სიჩქარით მოძრაობის მძლოლი გზაზე გადარბენილ ბავშვს გვიან შეამჩნევს მზის სხივებით დაბრმავების ან ღამით ცუდი განათებისა და მუქი ტანსაცმლის გამო.

### გ) მხოლოდ დადგენილი ფაქტები:

ზემოხსენებულ სტატიაში,<sup>93</sup> რომელიც საგზაო შემთხვევებს ეხებოდა, ასევე აღინიშნა, რომ პასუხისმგებლობის შენონაში მხოლოდ დადგენილი ან დადასტურებული ფაქტები უნდა იქნას გათვალისწინებული. იგივე პრინციპი ვრცელდება მეთვალყურეობის ვალდებულებების დარღვევაზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტები, რომლებიც გსკ-ის 832-ე პარაგრაფის შესაბამისად მხოლოდ ბრალის კანონისმიერი ვარაუდის გამო არის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი

<sup>89</sup> შდრ. BGH, Urteil vom 2. April 1987 - III ZR 149/85 - NJW 1987, 2664, juris Rn. 33; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 27. März 2007 - 4 U 167/06 - VersR 2008, 408, juris Rn. 41.

<sup>90</sup> ასევე: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილი წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024 გვ. 1-ელი და შემდგომი.; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>91</sup> BGH, Urteil vom 25. Januar 2018 - VII ZR 74/15 - NJW 2018, 944, juris Rn. 37; BGH, Urteil vom 27. November 2008 - VII ZR 206/06 - BGHZ 179, 55, juris Rn. 32; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 196.

<sup>92</sup> BGH, Urteil vom 25. Januar 2018 - VII ZR 74/15 - NJW 2018, 944, juris Rn. 37; BGH, Urteil vom 27. November 2008 - VII ZR 206/06 - BGHZ 179, 55, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 12. Oktober 1999 - XI ZR 294/98 - NJW-RR 2000, 272, juris Rn. 14.

<sup>93</sup> BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12 f.

გარემოებები, პასუხისმგებლობის შენონისას ვერ იქნება გათვალისწინებული. გერმანიის ფედერალური სასამართლო აღნიშნავს:<sup>94</sup>

„დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად ... ზიანის შენონისას გსკ-ის 254-ე პარაგრაფის შესაბამისად ... შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც დადგენილია და ზიანის წარმოშობაზე მოახდინა გავლენა. შესაბამისად, ბრალი, რომელიც მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლით ივარაუდება, ვერ იქნება გათვალისწინებული (...). თუ ბრალი მხოლოდ ნავარაუდევია, მაშინ არ არსებობს რაიმე საფუძველი ამ ბრალის ხარისხის შესაფასებლად, რომელიც შეიძლება ყველაზე მარტივი გაუფრთხილებლობიდან დაწყებული ყველაზე უხეში მოვალეობის დარღვევამდე მერყეობდეს. მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარის პასუხისმგებლობის ხარისხი დადგენილია, შესაძლებელია შესაბამისი შენონა. თუ შენონისას გამოიყენება ვარაუდები და მტკიცებები, ეს გამოიწვევს დადგენილი და უცნობი ფაქტების გაუმართლებელ შედარებას და ვერ მივიღებთ სამართლიან შედეგს (...).

... მეთვალყურეობის ვალდებულების თანაბრალეულობა გსკ-ის 254 I პარაგრაფის თანახმად, მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, როცა მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა დადგენილია და მეთვალყურეობის ვალდებულებაზე პასუხისმგებელი პირი რეალური ბრალიდან გამომდინარე აგებს პასუხს.“

ეს იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკისთვის ნიშნავს, რომ ყოველთვის

აუცილებელია რეალურად არსებული ბრალეულობის დადგენა, თუ საქმე ეხება პასუხისმგებლობის შენონას თანაბრალეულობის ფარგლებში ან სოლიდარული პასუხისმგებლობის გათანაბრებას. გსკ-ის 832-ე პარაგრაფის მიერ დადგენილი ბრალის ვარაუდი ამ წესს არ ცვლის, რადგან ის მხოლოდ პასუხისმგებლობის დასაბუთების ფარგლებში არის მნიშვნელოვანი.

## 2. პასუხისმგებლობის ერთიანობა:

როგორც სხვა ადგილას<sup>95</sup> უფრო დეტალურად იყო განხილული, სხვადასხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობის წვლილი, რომელიც ერთიან საფრთხეს ქმნის, პასუხისმგებლობის შენონისას ერთიანობად უნდა ჩაითვალოს (ე. წ. პასუხისმგებლობის ერთიანობა).<sup>96</sup> ასეთი პასუხისმგებლობის ერთიანობა (ან „შერაცხადობის ერთიანობა“) ხელს უშლის პასუხისმგებლობის ერთიანობასთან დაკავშირებული პირების განსხვავებული პასუხისმგებლობის წილების არსებობას.<sup>97</sup>

### ა) წინაპირობები:

პასუხისმგებლობის ერთიანობა გულისხმობს, რომ თითოეული მხარის მიერ შეტანილი წვლილის თანხვედრის შედეგად შექმნილი საფრთხე არ გაზრდილა, არამედ ეს საფრთხე თითქოსდა „სამუშაოთა განაწილებით“, ერთიანად და კოორდინირებულად წარმოიშვა.<sup>98</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: თითოეულის მიერ შეტანილი წვლილი უნდა გაერთიანდეს ერთიან შედეგში, სანამ სხვა მონაწილის (ზიანის მიმყენებელი მესამე პირის) წვლილი დაემატება.<sup>99</sup>

<sup>94</sup> BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12 f.

<sup>95</sup> რუსიაშვილი/ჭაგენლობი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024 გვ. 1, 30-ე და შემდგომი; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>96</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 210/18 - MDR 2021, 361, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 30; OLG Stuttgart, Urteil vom 26. März 2024 - 10 U 103/23 - NJW-RR 2024, 1019, juris Rn. 213.

<sup>97</sup> რუსიაშვილი/ჭაგენლობი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024 გვ. 1, 30-ე და მომდევნო; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>98</sup> BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 210/18 - MDR 2021, 361, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 30.

<sup>99</sup> BGH, Urteil vom 18. September 1973 - VI ZR 91/71 - BGHZ 61, 213, juris Rn. 15 f.; BGH, Urteil vom 18. April 1978 - VI ZR 81/76 - NJW 1978, 2392, juris Rn. 7; OLG Hamm, Urteil vom 27. November 2020 - I-7 U 24/19 - NJW-RR 2021, 693, juris Rn 48.

მაგალითად, თუ მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევამ და სრულწლოვანი ბავშვის არასწორმა ქცევამ გამოიწვია ის, რომ ბავშვი უყურადღებოდ გადავიდა გზაზე და იქ მას ავტომობილი შეეჯახა, რომლის მძღოლმა დროულად ვერ მოახერხა რეაგირება, ასეთ შემთხვევაში, მეთვალყურეობის ვალდებულების მქონე პირი და ბავშვი ქმნიან ერთიან პასუხისმგებლობას მძღოლსა და ავტომობილის მფლობელის წინააღმდეგ.<sup>100</sup> ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მეთვალყურეობის დარღვევისა და ბავშვის ქცევის გაერთიანებამ შექმნა (ერთიანი) საფრთხის მდგომარეობა, რომელზეც მძღოლს რეაგირება მოუწია. სხვა პერსპექტივიდან თუ შევხედავთ: საფრთხე არ იზრდება იმის გამო, რომ გზაზე უყურადღებოდ გავიდა ორი პირი (ბავშვი და მეთვალყურე). თუ იმავე მდგომარეობაში ქუჩაზე გავიდოდა ზრდასრული ადამიანი, საფრთხე იგივე იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი პირის არასწორი ქცევა იქნებოდა სახეზე.

ამ პასუხისმგებლობის ერთიანობის მიზნის გათვალისწინებით, მისი ნაწილი ვერ გახდება ის, ვინც რეალურად შექმნილი ზიანის გამომწვევი წვლილისთვის პასუხისმგებლობას თავიდანვე არ ექვემდებარება, მაგალითად, იმიტომ, რომ ის დელიქტუენარია ან ბრალის თვალსაზრისით უუნაროა<sup>101</sup> ან ის სარგებლობს გსკ-ის 1664

I პარაგრაფის საფუძველზე<sup>102</sup> პასუხისმგებლობის პრივილეგიით.<sup>103</sup> ეს ასევე შედეგად იწვევს იმას, რომ ასიმეტრიული სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპები<sup>104</sup> (*Grundsätze des gestörten Gesamtschuldverhältnisses*) გსკ-ის 1664 I პარაგრაფით დადგენილი ბრალის მასშტაბის გამო ჩაშლილ პასუხისმგებლობასთან მიმართებით არ გამოიყენება, რადგან თავიდანვე არ არის სახეზე სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის რელევანტური არასწორი ქცევა/გადაცდომა.<sup>105</sup>

## ბ) სამართლებრივი შედეგები:

როგორც სხვა ადგილას დეტალურადაა განმარტებული, პასუხისმგებლობის ერთიანობა განაპირობებს იმას, რომ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირისა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის პასუხისმგებლობის წვლილი ერთმანეთს შეერაცხება და ორივე მესამე პირის წინაშე ერთიანი წილის საფუძველზე აგებენ პასუხს.<sup>106</sup> აღნიშნული შეერაცხვა საბოლოოდ იწვევს იმას, რომ არასრულწლოვანი, რომელიც სამკუთხა ურთიერთობებში, საკუთარი იზოლირებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, მესამე პირის წინაშე თავისი შემცირებული პასუხისმგებლობით სარგებლობდა, ამ პრივილეგიას<sup>107</sup> კარგავს, რადგან მას მეთვალყურეობაზე ვალ-

<sup>100</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით: *რუსიაშვილი/ჰაგენლოხი*, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შეწონა, [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge) 5-2024 გვ. 1, 31-ე და შემდგომნი.; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>101</sup> OLG Frankfurt, Urteil vom 17. September 2003 - 17 U 73/03 - juris Rn. 15; OLG Hamm, Urteil vom 23. Mai 1995 - 27 U 30/93 - RuS 1995, 455, juris Rn. 20.

<sup>102</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით: *მესხიშვილი/ჰაგენლოხი*, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B. II. 2. გ) ა) (1), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.

<sup>103</sup> OLG Hamm, Urteil vom 25. April 1996 - 6 U 142/95 - NJWE-VHR 1996, 196, juris Rn. 20; OLG Düsseldorf, Urteil vom 26. Februar 1999 - 22 U 201/98 - NJW-RR 1999, 1042, juris Rn. 6.

<sup>104</sup> ასევე: *რუსიაშვილი/ჰაგენლოხი*, Gesetzlicher Forde- rungsübergang zu Gunsten des Schadensversicherers

und anderer Leistungsträger in Georgien und Deutschland, [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge) 8-2024 Seite 1, 19 ff.; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-8-2024-DE.pdf>.

<sup>105</sup> BGH, Urteil vom 1. März 1988 - VI ZR 190/87 - BGHZ 103, 338, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 15. Juni 2004 - VI ZR 60/03 - BGHZ 159, 318, juris Rn. 18; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 104.

<sup>106</sup> *რუსიაშვილი/ჰაგენლოხი*, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შეწონა, [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge) 5-2024 გვ. 1, 30-ე და შემდგომნი.; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>107</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით: *მესხიშვილი/ჰაგენლოხი*, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B, I. 3. ა), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.

დებული პირის მიერ შექმნილი ზიანის წილი შეეცხება. ამის გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ამოსავალი წერტილი არის საგზაო შემთხვევა, როდესაც ფეხით მოსიარულე ზრდასრული უყურადღებოდ გადადის გზაზე და მას გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი მანქანა დაეჯახება. ვთქვათ, ორივე თანაბრად პასუხისმგებელია და პასუხისმგებლობის წონა 50:50-ზე განაწილდება. თუ ზრდასრულის ნაცვლად არის 11 წლის დელიქტუნარიანი ბავშვი, მისი ნაკლები ბრალეულობა პასუხისმგებლობის წონის შემცირებას გამოიწვევს, რაც (ვთქვათ) 1/3 : 2/3-ად განაწილდება ბავშვის სასარგებლოდ. მაგრამ, თუ ბავშვის ქცევას დაემატება მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის არასწორი ქმედებაც, მაშინ ბავშვი და მეთვალყურე ქმნიან პასუხისმგებლობის ერთიანობას. მათი ერთობლივად შექმნილი საფრთხე (და შესაბამისად, ერთობლივად შექმნილ ზიანში შეტანილი წვლილი) იზრდება ისე, რომ იზოლირებულად მოქმედი ზრდასრულის მიერ შექმნილ საფრთხეს უტოლდება (მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირის არასწორი ქცევა ფაქტობრივად ავსებს არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის შემცირებულ წილს). შედეგად, პასუხისმგებლობა 50:50-ზე ნაწილდება. ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის ერთიანობა, ერთი მხრივ, ხელს უშლის არასრულწლოვანისა და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებების წვლილების დამატებით არასწორი ქმედების წონის ზრდას (მაგალითად, თითოეულზე 1/3 და ჯამურად 2/3 არასრულწლოვანსა და მეთვალყურეზე), მაგრამ, მეორე მხრივ, მეთვალყურეობის პირის დანაშაულის წვლილის მიკუთვნების გამო, ზრდის ბავშვის პასუხისმგებლობის წილს მესამე პირის მიმართ (და არა როგორც შერეული ბრალის დაუმეზებელი გაქვითვის შედეგად).<sup>108</sup>

თუ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა ეფუძნება მხოლოდ სავარაუდო ბრალს, მაშინ შეტანილ წვლილთა შედარებისას ზიანის მომტან მესამე პირს უფრო მაღალი წილი (2/3) ეკისრება, ხოლო დანარჩენი (1/3)

პასუხისმგებლობა მეთვალყურესა და არასრულწლოვანს შორის ნაწილდება. იმის გამო, რომ როგორც არასრულწლოვანი, ასევე მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი პასუხს აგებენ გარე ურთიერთობაში, ამ შემთხვევაშიც არსებობს პასუხისმგებლობის ერთიანობა. ამასთან, ვინაიდან შეტანილ წვლილთა შედარებისას შეიძლება მხოლოდ დადგენილი ან დადასტურებული ფაქტები იქნას გათვალისწინებული, (ექსკლუზივის არარსებობის გამო) მხოლოდ მეთვალყურეობის ვალდებულების სავარაუდო დარღვევა არ ზრდის პასუხისმგებლობის ერთიანობასთან დაკავშირებული ზიანის მიმყენებლის (არასრულწლოვანი, მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი) შეტანილი წვლილის ოდენობას.

ამასთან, ჩნდება კითხვა, თუ როგორ აისახება აღნიშნული პასუხისმგებლობის მდგომარეობა შიდა ურთიერთობაში ბავშვსა და მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს შორის.

### 3. მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირსა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირს შორის არსებული შიდა ურთიერთობა:

გერმანიაში არ არის ერთიანი მიდგომა, რამდენად უნდა იქნას გათვალისწინებული მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა შეტანილი წვლილის (იგულისხმება: მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირსა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის შიდა ურთიერთობაში) შეფასებისას. ამ თემის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად საჭიროა რამდენიმე წინასწარი საკითხის განხილვა.

#### ა) წინასწარი საკითხები:

##### აა) გსკ-ის 840 II პარაგრაფის შინაარსი:

პირველ რიგში, განვიხილება გსკ-ის 840 II პარაგრაფის შინაარსი, რომელშიც ნათქვამია:

„თუ იმ პირთან ერთად, რომელიც 831-ე და 832-ე პარაგრაფების თანახმად, ვალდებულია,

<sup>108</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით: მესხიშვილი/ჰაგენლოხი, დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა

ნთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში: ნაწილი I, თავი B. II. 2. გ) ბბ) (2), [www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), 1-2025.



აანაზლაუროს სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია სხვა პირიც, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ ეს უკანასკნელი, ხოლო 829-ე პარაგრაფის შემთხვევაში მხოლოდ ის პირი, რომელსაც ევალება მეთვალყურეობის განხორციელება.“

ამ (ქართულ სამოქალაქო კოდექსში ანალოგი არ მოიძებნება) სამართლებრივი ნორმის მიზანი და რეგულაციის შინაარსი სადავოა.<sup>109</sup> შესაბამისი და ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნულმა ნორმამ (რომელიც მხოლოდ შიდა ურთიერთობებს ეხება)<sup>110</sup> არ უნდა შეცვალოს გსკ-ის 254-ე და 426-ე პარაგრაფებით აღიარებული შენონის ძირითადი პრინციპები, რადგან აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამართლებრივ შეფასებებთან.<sup>111</sup> გაბატონებული აზრის მიხედვით, გსკ-ის 840 II პარაგრაფის გამოყენების სფერო უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ნავარაუდევ ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობით (აქ: გსკ-ის 832-ე პარაგრაფი).<sup>112</sup> ამდენად, გსკ-ის 840 II პარაგრაფი უბრალოდ კოდიფიცირებას უკეთებს, რომ გსკ-ის 254-ე და 426-ე პარაგრაფების მიხედვით პასუხისმგებლობის შენონისას გათვალისწინებული იყოს მხოლოდ დადგენილი ფაქტები და არა გსკ-ის 832-ე პარაგრაფის საფუძველზე არსებული ბრალის ვარაუდი. (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. A. IV. 1. გ)). შედეგად, ამ კუთხით გერმანიაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა არაფრით განსხვავდება საქართველოში არსებული სამართლებრივი მდგომარეობისგან.

## ბბ) კონკლუდენტური ფორმით პასუხისმგებლობაზე უარის თქმა:

გარდა ამისა, პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას, იყო თუ არა კონკლუდენტური ფორმით პასუხისმგებლობაზე უარის თქმა შეთანხმებული.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არც უსასყიდლოდ დახმარების განწევის (Gefälligkeit) და არც მჭიდრო ოჯახური ურთიერთობის საფუძველზე არ შეიძლება ავტომატურად ივარაუდებოდეს კონკლუდენტური ფორმით პასუხისმგებლობაზე უარის თქმა შეთანხმებულად.<sup>113</sup> ფედერალური სასამართლო ამის შესახებ განმარტავს:<sup>114</sup>

„დაუშვებელია ვივარაუდოთ, რომ პირი, რომელსაც უსასყიდლოდ გაუწიეს დახმარება, უარს იტყვის დელიქტური პასუხისმგებლობით ზიანის ანაზლაურების მოთხოვნაზე (...). პასუხისმგებლობის შეზღუდვა შეიძლება მომდინარეობდეს შემავსებელი ხელშეკრულების განმარტების მეთოდიდან გსკ-ის 242-ე პარაგრაფის საფუძველზე (Senatsurteil vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08, VersR 2009, 558 Rn. 13 mwN). დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ასეთი შეზღუდვა შეიძლება გამოწვევის სახით დაიშვას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში; ვინაიდან ის წარმოადგენს ხელოვნურ სამართლებრივ კონსტრუქციას ნების ფიქციის საფუძველზე, რადგან მხარეებს შეთანხმების დადებისას, პასუხისმგებლობაზე უარის თქმის შესახებ არ უფიქრიათ (...). ამის წინაპირობაა, რომ, თუ სამართლებრივი საკითხი მხარეებს შორის სამსჯელო თემა გახდებოდა, ზიანის მიმყენებელი მოითხო-

<sup>109</sup> შდრ. მოსაზრებებათა შესახებ: Staudinger/Vieweg/Lorz (2023) BGB § 840, Rn. 79 f.

<sup>110</sup> BGH, Urteil vom 19. Februar 1953 - III ZR 31/51 - BGHZ 9, 65, juris Rn. 11; OLG Rostock, Urteil vom 13. Oktober 2023 - 5 U 186/21 - juris Rn. 89.

<sup>111</sup> Staudinger/Vieweg/Lorz (2023) BGB § 840, Rn. 79 f.

<sup>112</sup> BGH, Urteil vom 18. Dezember 2007 - VI ZR 235/06 - RuS 2008, 261; juris Rn. 27; BGH, Urteil vom 11. November 2003 - VI ZR 13/03 - BGHZ 157, 9, juris Rn. 17; OLG Köln, Urteil vom 30. November 2010 - 24 U 155/09 - juris Rn. 29; OLG Oldenburg, Urteil vom 16. April 2015 - 1 U 81/14

- RuS 2015, 576, juris Rn. 26; *Wilhelmi* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 840 BGB, Rn. 11.

<sup>113</sup> მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში: OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 62; OLG Zweibrücken, Urteil vom 25. August 1999 - 1 U 199/98 - NJW-RR 2000, 1191, juris Rn. 4; allgemein: BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 467/15 - NJW-RR 2017, 272, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08 - NJW 2009, 1482, juris Rn. 10.

<sup>114</sup> BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 467/15 - NJW-RR 2017, 272, juris Rn. 10.

ვდა პასუხისმგებლობაზე უარის თქმას და დაზარალებული გამართლებულად ვერ შეეწინააღმდეგებოდა ამ მოთხოვნას (*Senatsurteil vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08, aaO, Rn. 16 mwN; vom 18. Dezember 1979 - VI ZR 52/78, VersR 1980, 426, 427; vom 14. November 1978 - VI ZR 178/77, VersR 1979, 136, 137*). ეს წინაპირობები, როგორც წესი, არ არსებობს მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებელს აქვს პასუხისმგებლობის დაზღვევა. რადგან პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც არ ათავისუფლებს უშუალოდ ზიანის მიმყენებელს, არამედ მისი პასუხისმგებლობის დამზღვევს, როგორც წესი, არ შეესაბამება მხარეთა ნებას (...). პასუხისმგებლობაზე უარის თქმის აღიარებისთვის საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ ზიანი დადგა უსასყიდლო დახმარების დროს და ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არსებობდა მჭიდრო პირადი ურთიერთობა (*Senatsurteile vom 8. Januar 1965 - VI ZR 234/63, BGHZ 43, 72, 76 f.; vom 27. November 1979 - VI ZR 267/78, BGHZ 76, 32, 34 f.; vom 15. Januar 1980 - VI ZR 191/78, VersR 1980, 384, 385; vom 9. Juni 1992 - VI ZR 49/91, aaO, 1147; vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08, aaO, Rn. 16*). აუცილებელია, რომ ზიანის მიმყენებელს არ ჰქონდეს პასუხისმგებლობის დაზღვევა, მისთვის არასავარაუდო პასუხისმგებლობის რისკი არსებობდეს და, გარდა ამისა, სახეზე იყოს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობაზე უარის თქმას განსაკუთრებულად გამართლებულად წარმოაჩენს კონკრეტულ შემთხვევაში (*Senatsurteile vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08, aaO, Rn. 16; vom 13. Juli 1993 - VI ZR 278/92, aaO, 1093*).“

**ბ) პასუხისმგებლობის შეწონის ძირითადი პრინციპები მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირსა და მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს შორის:**

არასრულწლოვანსა და მეთვალყურეობაზე

ვალდებულ პირს შორის შიდა ურთიერთობა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ნაწილობრივ საკამათოა.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს შეთანხმება იმაზე, რომ მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, არასრულწლოვანს არ შეიძლება შეერაცხოს მეთვალყურე პირის თანაბრალეულობა (თუ არ არსებობს გამონაკლის შემთხვევები, როგორიცაა გსკ-ის 278-ე პარაგრაფის მიხედვით სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობა; შდრ. ვალდებულების შესრულება სკ-ის 396-ე მუხლი). ასევე, უდავოა, რომ არასრულწლოვანს, რომელიც შიდა ურთიერთობებში მეთვალყურე პირის მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედებს, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გარე პასუხისმგებლობა მხოლოდ სავარაუდო ბრალეულობაზეა დამყარებული. თუმცა, სადავოა, რამდენად უნდა იქნას გათვალისწინებული მეთვალყურეობის დადგენილი ან დადასტურებული ვალდებულების დარღვევა, როდესაც მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს ზიანს აყენებს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირს ან როდესაც მესამე პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში საქმე ეხება ამ ორ პირს შორის სოლიდარული პასუხისმგებლობის გათანაბრებას. გავრცელებული აზრი აღნიშნულს ემხრობა:

თუმცა, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირი, რომელმაც დაარღვია მისთვის დაკისრებული ქცევის ვალდებულება, შიდა ურთიერთობებში „კონტროლიორის“ მიმართ, ჩვეულებრივ, ვერ დაიცავს თავს იმით, რომ მას არასაკმარისად აკონტროლებდნენ მასზე პირდაპირ დაკისრებული ვალდებულების შესრულებისას.<sup>115</sup> ეს პრინციპი ზოგჯერ ვრცელდება არასრულწლოვანსა და მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს შორის შიდა ურთიერთობებზეც.<sup>116</sup> ეს შეხედულება, მაინც საკამათოდ გამოიყურება. არასრულწლოვანის მიმართ მეთვალყურეობის ვალდებულება (ჩვეულებრივი

<sup>115</sup> BGH, Urteil vom 20. November 2014 - III ZR 509/13 - VersR 2015, 1179, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 18. November 2014 - KZR 15/12 - BGHZ 203, 193, juris Rn. 57; BGH, Urteil vom 10. Mai 2005 - VI ZR 366/03 - NJW 2005,

2309, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 23. Januar 1990 - VI ZR 209/89 - BGHZ 110, 114, juris Rn 17.

<sup>116</sup> OLG Köln, Urteil vom 30. November 2010 - 24 U 155/09 - juris Rn. 28 f., ანალოგიური გამოყენებით: გსკ-ის 840 II პარაგრაფი.

შემთხვევებისგან განსხვავებით) მიზნად ისახავს მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფიციტის კომპენსირებას. იგი არ ხორციელდება იმ მიზნით, რომ დაკისრებული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული (და მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი) რისკები შემცირდეს („კონტროლი უკეთესია“ პრინციპის შესაბამისად). არამედ, მისი დანიშნულებაა სამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით დააბალანსოს ის, რომ არასრულწლოვანს არ აქვს მოზრდილის მსგავსი შეგნება და ქცევის უნარი; ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, მისი თავდაპირველი პასუხისმგებლობა შეზღუდულია.

მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა თავის თავში ითვალისწინებს დამოუკიდებელ

სამართლებრივ დარღვევას. ეს გამოიხატება იმაში, რომ მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა (გსკ-ის 832-ე პარაგრაფის თანახმად) მესამე მხარის მიმართ ზრდის არასრულწლოვნისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შექმნილი ერთიანი პასუხისმგებლობის წილს; მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, 1/3-დან 1/2-მდე. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვანს მიენიჭოს კომპენსაციის უფლება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად გაზრდილი პასუხისმგებლობის წილის ოდენობით, რაც მაგალითში 1/6-ს შეადგენს. იგივე უნდა გავრცელდეს ბრალის განაწილებაზე, როდესაც არასრულწლოვანი ზიანს აყენებს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირს.<sup>117</sup>

<sup>117</sup> შედეგად - თუმცა ოდნავ განსხვავებული - დასაბუთებით ასევე: OLG Zweibrücken, Urteil vom 25. August 1999 - 1 U 199/98 - NJW-RR 2000, 1191, juris Rn. 7;

Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 197; Schmidt in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 832 BGB (Stand: 23.07.2024), Rn. 47.

## ევროკავშირის გაფართოების მატრიცა (ათი ქვეყნის ანბანში)

პროფ. დოქ. ეკატერინე ქარდავა

ჟან მონეს პროფესორი, ჟან მონეს კათედრის EU-PPS გუნდის წევრი CU-ში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### შესავალი

ევროკავშირში, გაფართოების საკითხი მუდამ იყო უმაღლესი პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელიც აერთიანებს სასიცოცხლოდ ფუნდამენტურ მიმართულებებს, როგორცაა გეოპოლიტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, ფასეულობები (ქარდავა ე., კოპენჰაგენს +1, 2023). გაფართოების გადაწყვეტილება სტერილურად სასარგებლო და მშვიდობიანი უნდა იყოს ეროვნული დონეებისთვის - ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნისა და მოქალაქისთვის, იმავდროულად, საერთო ევროპული დონისთვის - ევროკავშირისთვის (EUCO, 20/23).

2022 წლიდან ევროკავშირში განწევრების პროცესებმა და გადაწყვეტილებებმა მიიღო ახალი და განსაკუთრებული ხასიათი (Kardava and Chelidze, 2024). 2023 წლის გაფართოების პაკეტით (EU commission, 2023), ევროკავშირმა გახსნა ახალი გაფართოების კარი ისეთი ათი ქვეყნის მიმართ, სადაც ერთი მხრივ, ომის, რუსეთის მხრიდან ოკუპაციის, ურთიერთკონფლიქტებისა და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების

მძიმე გამოწვევებია, მეორე მხრივ, ევროკავშირთან ფასეულობითი თავსებადობის სერიოზული პრობლემებია (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თავისუფლება, მართლმსაჯულება, კორუფცია, საგარეო პოლიტიკა და ა.შ). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ორი დეკადის განმავლობაში გაფართოების მოლოდინში მყოფი დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს უცებ „ნამოენია“ ასოცირების ტრიო (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო), რომლებმაც განწევრების თაობაზე განაცხადის გაკეთებიდან, „უცნაურად“ მალევე, 4 თვეში, ევროკავშირისთვის ჩვეული ტრადიციული პერიოდების გავლის გარეშე, მიიღეს ევროპული პერსპექტივა, ხოლო ერთ წელში, მოექცნენ გაფართოების პაკეტში.

მსოფლიოში მიმდინარე ახალი ტექნოლოგიური პოლიტიკის, ვირტუალური მმართველობის/კომუნიკაციისა და „ცხელ-ცივი“ ომების<sup>1</sup> ფონზე, რუსეთის ფედერაცია იმპერიალისტური, არადემოკრატიული და გამანადგურებელი ფორმებით ზრდის ზეგავლენას ევროკავშირის

<sup>1</sup> ტერმინები „ცივი ომი“, „ცხელი ომი“, გამოყენებულია უამრავ სამეცნიერო, ჟურნალისტიკურ და სხვა დოკუმენტებში, წარმოადგენს რა საყოველთაო მსჯელობისა

და გამოყენების საგანს. მათი გაერთიანებული ფორმით ამ სტატიაში მოხმობა ემსახურება მსოფლიოში მიმდინარე საყოველთაოდ ცნობილი პროცესების ერთგვარ აღწერას.

გაფართოების ქვეყნებზე (ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის, ხალხის გარკვეული ჯგუფების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების), მედიის, ეკონომიკის, ეკლესიის, ენერჯეტიკის ან სხვა ინსტრუმენტებით<sup>2</sup>). ასეთ ვითარებაში კი, გაფართოების ქვეყნებმა უნდა შეასრულონ ევროპული ინტეგრაციის ვალდებულებები. არადა, პრიორიტეტი ენიჭება რუსეთისგან შესაძლო შეირაღებული თავდასხმის პრევენციას, რუსული ზეგავლენის არსების გამრავლებასა და ჰიბრიდულ ომთან გამკლავებას, ეკონომიკური/ფინანსური კრიზისის დაძლევა, რუსეთის ენერგო-პოლიტიკაზე დამოკიდებულების შემცირებას, პოლიტიკური პოლარიზაციისა და გამონათვის თავისუფლების პრობლემების დაძლევა, აღმოსავლეთის სავაჭრო არხებისა და ჩინური ინვესტიციების (ხშირად არადემოკრატიული) დომინანტობის განეიტრალებას (EU Parliament, 2024).

უკვე ორი წელია, ევროკომისია, გაფართოების პაკეტის ფარგლებში, აქვეყნებს გაფართოების ათი ქვეყნის ინდივიდუალურ შეფასებებს **ფუნდამენტების, ექვსი კლასტერისა და 33 თავის** ფარგლებში. პროგრესის დოკუმენტებში აღწერილია გაფართოების ქვეყნების ევროპეიზაციის პროცესები. ძალიან საინტერესოა ახერხებენ კი ან რა დოზით ახერხებენ ეს ქვეყნები გლობალური და რეგიონული საფრთხეებისა და „შიშის“ პირობებში ევროპული ვალდებულებების შესრულებას? ქვემოთ სტატიაში მოცემულია ევროკომისიისგან 2023 და 2024 წლების შეფასებებზე დაყრდნობით, გაფართოების ქვეყნების მიმართ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დინამიკა - გამომხატული რიცხვებში; ასევე, წარმოჩენილია ამ ქვეყნებში არ-

სებული ვითარება გაფართოების ფუნდამენტებისა და ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკასთან (CFSP) თანხვედრის ნაწილში.

**კვლევის მიზანია** განვერების პოლიტიკის კომპლექსურობის შეცნობა და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შტრიხების უკეთ გაგება ათი ქვეყნის მაგალითზე (მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ალბანეთი, სერბეთი, კოსოვო, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, თურქეთი).

სტატიაში გამოყენებულია აღწერილობითი, შედარებითი და ანალიზის სამეცნიერო მეთოდები, რომელთა დახმარებით პასუხი უნდა გაცეს შეკითხვებს: **ლოგიკურია თუ არა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მდგომარეობის შეფასებასა და ქვეყნის მიმართ განვერების გადწყვეტილებას შორის კავშირები და რა არის გაფართოების პროცესის არსობრივი საფუძვლები.**

## I. გაფართოების ქვეყნების ევროპული პერსპექტივის ქრონოლოგია

2022 წლის ივნისს, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება განვერების პერსპექტივა მიეცა ასოცირების ტრიოს ქვეყნებისთვის, კერძოდ, უკრაინასა და მოლდოვას მიანიჭა კანდიდატობის სტატუსი, ხოლო საქართველოს - პოტენციური კანდიდატობა (EUCO 24/22). ეს გადაწყვეტილება ევროკავშირმა მიიღო რუსეთის მხრიდან უკრაინაზე თავდასხმისა და უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე; სამივე ქვეყნის ტერიტორიების ნაწილი კი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ასოცირების ტრიოს

<sup>2</sup> იხ. სხვადასხვა წყარო:

- Russia and the Western Balkans -Geopolitical confrontation, economic influence and political interference, European Parliament, 2023, [https://www.europarl.europa.eu/Reg-DATA/etudes/BRIE/2023/747096/EPRS\\_BRI\(2023\)747096\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/Reg-DATA/etudes/BRIE/2023/747096/EPRS_BRI(2023)747096_EN.pdf)
- Bechev D., Can EU Enlargement Work, Carnegie Russia Eurasia Center, 2024, <https://carnegieendowment.org/research/2024/06/can-eu-enlargement-work?lang=en&center=russia-urasia>
- Thomas de Waal, Dimitar Bechev, Maksim Samorukov, Between Russia and the EU: Europe's

Arc of Instability, Carnegie Endowment for International Peace, 2024, <https://carnegieendowment.org/research/2024/05/bosnia-moldova-armenia-between-russia-eu?lang=en>

- EU external Action, G7 Rapid Response Mechanism (RRM) statement on Russian Influence Campaign, 2025, [https://www.eeas.europa.eu/eeas/g7-rapid-response-mechanism-rrm-statement-russian-influence-campaign\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/g7-rapid-response-mechanism-rrm-statement-russian-influence-campaign_en)
- McBride J., Russia's Influence in the Balkans, 2023, <https://www.cfr.org/backgrounder/russias-influence-balkans>
- სხვა.

ქვეყნებთან მიმართებით, მათი მხრიდან განვერების განაცხადის გაკეთებიდან 4 თვეში, მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ევროპული პერსპექტივის მიმართულებით, 2023 წელს (ნელინადნახევარში) დაგვირგვინდა ამ ქვეყნების გაფართოების პაკეტში მოქცევით დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად. არადა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები უკვე ორი დეკადაა ელოდებიან ევროკავშირის გაფართოებას დაახლოებით 20 წლიანი ევროპული პერსპექტივის ფლობის პირობებში, თუმცა რეალური განვერება შეყოვნებული იყო. ასე გამოვიდა, რომ 2022 წელს, უკრაინაში ომის ფონზე, მოხდა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების გაფართოების პოლიტიკის განახლება (Zelal Başak Yariş, 2024).

გაფართოების ქვეყნებში ევროპული პერსპექტივის მიღებისა და განვითარების გზა შემდგენიარად წარიმართა:

ა) 2023 წელს ევროკავშირსა და დასავლეთ ბალკანეთის Thessaloniki სამიტზე აღიარებულ იქნა დასავლეთ ბალკანეთის ევროპული პერსპექტივა (EU commission, 2003). ამის შემდეგ:

**ალბანეთი:** 2009 წელს მიმართა ევროკავშირს განვერების განაცხადით; 2014 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2020 წელს ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა განვერების მოლაპარაკების გახსნა (EU Commission Memo, 2023); 2022 წელს განვერების მთავრობათაშორისი პირველი კონფერენცია შედგა და დაიწყო სკრინინგის პროცესი.

**ბოსნია-ჰერცეგოვინა:** 2016 წელს მიმართ ევროკავშირს განვერების განაცხადით; 2022 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2024 წელს ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გახსნას მოლაპარაკება ევროკომისიის შეფასების საფუძველზე, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა ასრულებს 2022 წლის რეკომენდაციებს (EU Commission, 2024).

**მონტენეგრო:** 2008 წელს მიმართ ევროკავშირს განვერების განაცხადით; 2010 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2012 წელს ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა მოლაპარაკების გახსნა; 2020 წელს მოლაპარაკების 33 თავი გაიხსნა; 2024 წლისთვის მონტენეგროს დახურული აქვს 6 თავი (EU Commission, 2024).

**ჩრდილოეთ მაკედონია:** 2004 წელს მიმართა ევროკავშირს განვერების განაცხადით; 2005 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2020 წელს ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა მოლაპარაკების გახსნა; 2022 წელს განვერების მთავრობათაშორისმა კონფერენციამ გადაწყვიტა სკრინინგის დაწყება; 2023 წელს სკრინინგის პროცესი დასრულდა (EU Commission, 2024).

**სერბეთი:** 2009 წელს მიმართა ევროკავშირს განვერების განაცხადით; 2012 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2013 წელს ევროპულმა საბჭომ მიიღო მოლაპარაკების გახსნის გადაწყვეტილება; 2021 წელს პოლიტიკურმა მთავრობათაშორისმა კონფერენციამ დაამტკიცა გაფართოების განახლებული მეთოდოლოგია. ამავე წელს მოლაპარაკების 35 თავიდან 22 გახსნა და ორი უკვე დაიხურა (EU Commission, 2024);

**კოსოვო:** 2022 წელს მიმართა ევროკავშირს განვერების განაცხადით; კოსოვო პოტენციური კანდიდატის სტატუსის მქონეა (EU Commission, 2024).

ბ) **თურქეთი:** 1995 წელს ჩამოყალიბდა ევროკავშირსა და თურქეთს შორის საბაჟო კავშირი; 1999 წელს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2004 წელს ევროპულმა საბჭომ მიიღო მოლაპარაკების გახსნის გადაწყვეტილება; 2018 წლიდან მოლაპარაკება შეჩერდა/გაიყინა (EU Commission, 2024).

### გ) ასოცირების ტრიო

**უკრაინა:** 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთისგან მორიგი თავდასხმის შემდეგ, განვერების განაცხადით მიმართა ევროკავშირს 2022 წლის 28 თებერვალს (EU Commission, 2023, p.142); 2022 წლის ივნისს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2023 წელს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია განვერების მოლაპარაკების გახსნის თაობაზე; 2024 წელს განვერების მთავრობათაშორისი კონფერენცია გაიხსნა და სკრინინგის პროცესი დაიწყო (EU Commission, 2024).

**მოლდოვა:** 2022 წლის 3 მარტს მიმართა ევროკავშირს განვერების განაცხადით (EU commission, 2023, p.117); 2022 წლის ივნისს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი; 2023 წელს ევრო-

კომისიამ გასცა რეკომენდაცია განევრების მოლაპარაკების გახსნის თაობაზე; 2024 წელს განევრების მთავრობათაშორისი კონფერენცია გაიხსნა და სკრინინგის პროცესი დაიწყო (EU Commission, 2024).

**საქართველო:** 2022 წლის 3 მარტს მიმართა ევროკავშირის განაცხადით (EU Commission, 2023, p.117); 2022 წლის ივნისს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე 12 პრიორიტეტული ვალდებულების შესრულების საფუძველზე; 2023 წლის დეკემბერს მიენიჭა კანდიდატის სტატუსის 9 ნაბიჯის განხორციელების პირობით; 2024 წელს ევროპულმა საბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ შეაფერხა ევროპულ კურსი და გააჩერა განევრების პროცესი (EU Commission, 2024).

უკრაინაში ომის, მოლდოვაში რუსი ეთნიკური უმცირესობის სიმრავლისა და ტერიტორიული პრობლემების, საქართველოში რუსეთის მხრიდან მუდმივად განახლებადი შეირაღებული თავდასხმების, ოკუპაციის, მცოცვი ოკუპაციის და პოლიტიკური პოლარიზების პირობებში, ევროკავშირის მხრიდან მიღებულმა ამბიციურმა, თამამმა, ფასეულობაზე-დაფუძნებულმა გადაწყვეტილებამ გაფართოების ახალი ტალღის თაობაზე, ისევე შეახსენა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებშიც არანაკლები პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემებია. ეს ყველაფერი იოლი არ არის ევროკავშირისთვის. ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის უნდა არსებობდეს მდგრადი კონსენსუსი, ხოლო ევროკავშირის მოქალაქეებისთვის ასახსნელია - რა სარგებელს იღებენ ან რა საფრთხეებია ამგვარი გადაწყვეტილებების შედეგად.

დასავლეთ ბალკანეთში პოლიტიკური არასტაბილურობის ბუკეტია წარმოდგენილი. ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ქვეყნებში მრავლად დარჩა რუსული/საბჭოური ხელნერის „ბომბები“ - ერთმანეთში ტერიტორიებზე მუდმივი დავა, ერთმანეთში შეჭრილი ეთნიკური უმცირესობების დასახლებები და დამოუკიდებლობის თვითგამოცხადება, წარსული ომების,

გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ისტორიული მეხსიერება, ბოსნია-ჰერცეგოვინაში სპრსკას რესპუბლიკა სერბი უმრავლესობით, სერბეთისა და კოსოვოს დაპირისპირება, ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან კოსოვოს აღიარების ფაქტი, მიმდინარედ კი სერბ ბოევიკებსა და კოსოვოს პოლიციას შორის 2023 წლის შეტაკება (IISS, 2024), რელიგიური სიჭრელე და ერი-სახელმწიფოს რელიგიური ჰომოგენობის ნაკლებობა (Gemi and Babameto, 2023).

ბალკანეთისა და ასოცირების ქვეყნების არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ, ეკონომიკური, სოციალური, ენერგეტიკული პრობლემები, დამძიმებული რელიგიური, ეთნიკური, კორუფციული და სხვა სახის ასპექტებით, წარმოშობს განხეთქილებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა გაფართოების ახალი ტალღის თაობაზე, რეალური თანხმობა და ერთიანობა არ არის. 2022 წლამდე ევროკავშირის გაფართოება არ იყო პირველი რიგის პრიორიტეტი (Bechev, 2024). თუმცა მიღებულია სტრატეგიული გადაწყვეტილება. გამონვევები კი რჩება ევროკავშირის ქვეყნებისა და გაფართოების ქვეყნებისთვისაც.

## II. ევროკავშირში განევრების საბაზისო საკითხები გაფართოების ქვეყნებში

ევროკომისიამ, გაფართოების 2023 წლისა და 2024 წლის პაკეტების ფარგლებში გამოაქვეყნა გაფართოების ათივე ქვეყნის შეფასებები. შეფასება ხორციელდება შემდეგი სტრუქტურით: **გაფართოების ფუნდამენტები, 6 კლასტერი და 33 თავი**. პროგრესი 5 დონით არის შეფასებული:

- ქვეყანა მომზადების ადრეულ/საწყის სტადიაზეა;
- ქვეყანა მომზადების გარკვეულ სტადიაზეა;
- ქვეყანა მომზადების ზომიერ სტადიაზეა;
- ქვეყანა მომზადების კარგ სტადიაზეა;
- ქვეყანა მომზადების საუკეთესო სტადიაზეა.

[სტატიაში, ზემოაღნიშნულ ხუთ დონიან შეფასებას, მინიჭებული აქვს ციფრობრივი აღმნიშვნელი: 0,1,2,3,4].

**1. დემოკრატიისა და ფუნდამენტების ზოგადი მდგომარეობა გაფართოების ქვეყანაში**

განვერების ფუნდამენტები, ძირითადად წარმოადგენს კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტე-

რიუმების სვეტს. ქვემოთ მოცემულია განვერების ფუნდამენტების ნაწილში ათივე ქვეყნის პროგრესის მაჩვენებლები და ზოგადი დახასიათება, რაც ეფუძნება ევროკომისიის 2024 წლის 30 ოქტომბრის შეფასებებს. ეს იძლევა შედარების შესაძლებლობას და ნათელს ხდის ამ ქვეყნების დემოკრატიის მდგომარეობას.

**1.1. ალბანეთი (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია ნაწილობრივ, რაც გამომწვეულია ღრმა პოლიტიკური პოლარიზებით, საარჩევნო პროცესის ხარვეზებით, საპარლამენტო ზედამხედველობს ლიმიტირებული ეფექტურობითა და აზრიანი საჯარო კონსულტაციების ნაკლებობით. საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური სცენა კვლავ მალალი პოლიტიკური პოლარიზებით გამოირჩეოდა უდიდეს ოპოზიციურ პარტიაში მუდმივი განხეთქილების ფონზე.
<b>არჩევნები</b>	საარჩევნო ჩარჩო ხელსაყრელია დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებისთვის. პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო. თუმცა, შეზღუდული პროგრესი იყო OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით. საარჩევნო რეფორმის შესახებ ვადა უშედეგოდ ამოიწურა.
<b>ევროპული ინტეგრაცია</b>	მთავრობა აგრძელებს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი ერთგულების გამოხატვას. ალბანეთში ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოები ფუნქციონირებს. ევროპული ინტეგრაციის სტრუქტურები გაერთიანდა და წარმატებით დაასრულეს სკრინინგის პროცესი 2023 წლის ნოემბერში.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO) ალბანეთში მოქმედებენ რთულ გარემოში, მათ შორის რეგისტრაციის მოთხოვნებისა და CSO-თვის შეზღუდული საჯარო დაფინანსების კონტექსტში.
<b>საჯარო მმართველობა</b>	საჯარო მმართველობის რეფორმა ზომიერია. საანგარიშო პერიოდში აღინიშნება სუსტი პროგრესი.
<b>სასამართლო</b>	სასამართლო რეფორმის ფარგლებში გარკვეული პროგრესი განხორციელდა. დაიწყო <i>Vetting</i> <sup>3</sup> პროცესი, რამაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოიტანა.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ფუნდამენტური უფლებების ნაწილში, ალბანეთის სამართლებრივი ჩარჩო ადგენს ზოგადად კარგ საფუძველს. საანგარიშო პერიოდში იყო პროგრესი.
<b>კორუფცია</b>	კორუფციასთან ბრძოლის ნაწილში გარკვეული პროგრესია.

<sup>3</sup> *Vetting* - კრიტიკული და სიღრმისეული მოკვლევისა და შესწავლის პროცესი.



<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი გამოხატვის თავისუფლების ნაწილში. მედიის დამოუკიდებლობასა და პლურალიზმზე კვლავ ზეგავლენას ახდენდა ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ბიზნესისა და პოლიტიკური ინტერესების გადაფარვა, დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობის ნაკლებობა, მედიის მფლობელობის მაღალი კონცენტრაცია, დაშინება და ჟურნალისტების არასტაბილური სამუშაო პირობები.
<b>ფუნქციონირება-დი საბაზრო ეკონომიკა</b>	აღბანეთს აქვს მომზადების კარგი დონე. ეკონომიკური ზრდა იყო ძლიერი, რასაც დაეხმარა ძლიერი ტურიზმი და მზარდი ინვესტიციები. ინფლაცია კლებას განაგრძობს. გაიზარდა დასაქმების მაჩვენებლები, მაგრამ უმუშევრობა შედარებით მაღალი დარჩა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

**1.2. ბოსნია და ჰერცეგოვინა (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას ძირს უთხრის კონსტიტუციურ სტრუქტურაში არსებული მუდმივი დისკრიმინაციული ელემენტები და სპრსკას რესპუბლიკის ერთეულის მიერ სამართლებრივი და კონსტიტუციური წესრიგის მუდმივი დარღვევა. ქვეყანა არ ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს უფლებამოსილებას. ქვეყანამ თავისი კონსტიტუციური ჩარჩო უნდა შეუსაბამოს ევროპულ სტანდარტებს და უზრუნველყოს ინსტიტუტების ფუნქციონირება იმგვარად, რომ შეძლოს ევროკავშირის მიმართულებით ვალდებულებების აღება.
<b>არჩევნები</b>	არჩევნების ჩატარებაზე უარყოფითად მოქმედებს კონსტიტუციური სისტემის დისკრიმინაციული ელემენტები და საარჩევნო პროცესის არაკეთილსინდისიერება.
<b>ევროპული ინტეგრაცია</b>	ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები შექმნილია. ევროკავშირის საკითხებზე კოორდინაცია მოითხოვს კანონმდებლობის ეფექტურ გამოყენებას და პოლიტიკურ ნებას, მათ შორის ქვეყნის მასშტაბით სექტორული სტრატეგიების შემუშავებასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. მინისტრთა საბჭომ უნდა გააუმჯობესოს საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირება.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოქმედებენ შეზღუდულ გარემოში, განსაკუთრებით სპრსკას რესპუბლიკის ერთეულში. ქვეყანა, უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი და სისტემატური კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან, როგორც ინკლუზიური პოლიტიკის დიალოგის ნაწილი და მიიღოს ჩარჩო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამჭვირვალე დაფინანსებისთვის.
<b>საჯარო მმართველობა</b>	ქვეყანა არის მომზადების ადრეულ სტადიასა და გარკვეულ დონეს შორის და გარკვეული პროგრესი აქვს საჯარო მმართველობის რეფორმაში. ევროკომისიის რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულდა.

<b>სასამართლო</b>	ქვეყანა მომზადების ადრეულ სტადიასა და მომზადების გარკვეულ დონეს შორის იმყოფება. სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაში შეზღუდული პროგრესია.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ძირითადი უფლებების ზოგადი ჩარჩო ჩამოყალიბებულია. საჭიროა გაუმჯობესება. ქვეყანამ სასწრაფოდ უნდა განახორციელოს საკონსტიტუციო და საარჩევნო რეფორმები, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს ეფექტურად გამოიყენოს თავისი პოლიტიკური უფლებები, კერძოდ, ქვეყნის კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს <i>Sejdić-Finci</i> პრეცედენტულ სამართალს.
<b>კორუფცია</b>	ქვეყანა მომზადების ადრეულ სტადიასა და გარკვეული დონის მომზადების სტადიას შორის იმყოფება. საანგარიშო პერიოდში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	არსებობს გარკვეული დონის მომზადება გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. არ არის პროგრესი გამოხატვისა და მედიის თავისუფლების გარანტიასა და ჟურნალისტების დაცვაში. გრძელდება პოლიტიკური ზენოლა, დაშინება და შევიწროება ჟურნალისტების მიმართ, მათ შორის ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმები. ეს რჩება შესაბამისი ინსტიტუციური დაკვირვების/რეაგირების გარეშე.
<b>ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა</b>	ქვეყანა მომზადების ადრეულ ეტაპზეა და შეზღუდული პროგრესი აქვს მოქმედი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. ეკონომიკური ზრდა 2023 წელს დაახლოებით 1,6%-ით შემცირდა. შრომის ბაზარი კვლავ მდგრადია, მაგრამ დასაქმებულთა მნიშვნელოვანი გადინება ინვესტორების დეფიციტს. საჯარო სექტორი არაეფექტურია და გაბერილია. ბიზნეს გარემოში რჩება გამოწვევები ფრაგმენტული შიდა ბაზრისა და სუსტი კანონის უზენაესობის გამო.

**1.3. მონტენეგრო (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია. მთავრობა ფუნქციონირებს ზოგადად სტაბილურ პოლიტიკურ გარემოში. ეს გარემო, ბოლო წლებთან შედარებით, პოლარიზაციის უფრო დაბალი დონით ხასიათდება. თუმცა, ქვეყანა და მისი ინსტიტუტები მყიდვე და დაუცველია პოლიტიკური კრიზისის მიმართ.
<b>არჩევნები</b>	მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ჩატარება ძირითადად დამაკმაყოფილებელია, საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს საარჩევნო კანონმდებლობის ყოვლისმომცველ რეფორმას და ევროკავშირის კანონმდებლეთან შესაბამისობას (ხმის მიცემის და კანდიდატის უფლებების შეზღუდვა, გამჭვირვალობა, დავის გადაწყვეტის მექანიზმები, კამპანიის დაფინანსებისა და მედიის ზედამხედველობა). OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციების უმრავლესობა არ იქნა გათვალისწინებული.
<b>ევროპული ინტეგრაცია</b>	მონტენეგრომ ჩამოაყალიბა განახლებული ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც ადეკვატურად ფუნქციონირებენ ინტეგრაციის პრო-

	ცესში. განევრების მოლაპარაკების ახალი სტრუქტურა, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი მომლაპარაკებელი, ადეკვატურად ასრულებს თავის როლს.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონტენეგროში მოქმედებენ ხელსაყრელ გარემოში. არსებობს სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლად ფუნქციონირების ძირითადი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო. სამოქალაქო საზოგადოების როლი პოლიტიკის შემუშავებაში ფორმალურიზებულია, თუმცა ზოგჯერ მხოლოდ სიმბოლურია.
<b>საჯარო მმართველობა</b>	მონტენეგრო ზომიერად მომზადებულია საჯარო მმართველობის სფეროში. საანგრიშო პერიოდში შეზღუდული პროგრესი იყო.
<b>სასამართლო</b>	მონტენეგროს სასამართლო სისტემა ზომიერად მომზადებულია და მიაღწია კარგ წინსვლას გასული წლის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ძირითადი უფლებების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ჩამოყალიბებულია და მონტენეგრო აგრძელებს ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფების (მათ შორის ბოშები და ეგვიპტელები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმპ), LGBTIQ პირები) მიმართ, გრძელდება დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა და დანაშაული.
<b>კორუფცია</b>	მონტენეგრო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მომზადების გარკვეულ დონესა და მომზადების ზომიერ დონეს შორისაა. კარგი პროგრესი იქნა მიღწეული ძირითადი რეფორმებისა და გასული წლის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	მონტენეგროში არის პლურალური მედია გარემო. მონტენეგრო იმყოფება მზაობის გარკვეულ დონესა და ზომიერ დონეს შორის. საანგარიშო პერიოდში კარგი პროგრესი დაფიქსირდა, განსაკუთრებით, აღსანიშნავია მედია-კანონის ახალი პაკეტის მიღება, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ ახალი კანონების მიღება, რომლებიც რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდა.
<b>ფუნქციონირება-დი საბაზრო ეკონომიკა</b>	მონტენეგრომ მიაღწია გარკვეულ პროგრესს და ზომიერად არის მომზადებული. ძლიერმა ეკონომიკურმა ზრდამ და ერთჯერადმა შემოსავლებმა ხელი შეუწყო ბიუჯეტის მცირე პროფიციტს 2023 წელს, მაგრამ ფისკალური სისუსტე რჩება საჯარო დაფინანსების მაღალი საჭიროებების, მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და სოციალური ხარჯების მუდმივი ზენოლის გამო. შრომის ბაზრის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ სტრუქტურული პრობლემები შენარჩუნებულია. საბანკო სექტორი კარგად კაპიტალიზებული და ლიკვიდურია. გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისა და სახელმწიფო საწარმოების რეფორმის მიმართულებით.

**1.4. ჩრდილოეთი მაკედონია (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ვითარება პოლარიზებული იყო 2024 წლის აპრილისა და მაისის არჩევნების წინა პერიოდში.
<b>არჩევნები</b>	არჩევნების ჩატარება ძირითადად დამაკმაყოფილებელი იყო. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები კონკურენტული იყო. საარჩევნო კანონმდებლობის ჩარჩო იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას. თუმცა, შეზღუდული პროგრესი იქნა მიღწეული OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით.
<b>ევროპული ინტეგრაცია</b>	ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები ფუნქციონირებს. ახალმა მთავრობამ ევროპის საქმეთა სამინისტრო შექმნა. სკრინინგის პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, ჩრდილოეთ მაკედონიამ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან მოლაპარაკების სტრუქტურების გაძლიერება და მიაღწიოს ჯანსაღ კოორდინაციას დარგობრივ სამინისტროებს შორის.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოქმედებენ საერთო ხელშეწყობს გარემოში. თუმცა, მთავრობამ უნდა გაზარდოს თავისი ძალისხმევა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით პრიორიტეტულ სფეროებსა და საკონსულტაციო აქტივობებში. არსებული საკანონმდებლო და ფინანსური ჩარჩოები ჯერ კიდევ საჭიროებს შესწორებას და დანერგვას, განსაკუთრებით სსო-ებისთვის გამჭვირვალე საჯარო დაფინანსების უზრუნველყოფის თანმიმდევრული მექანიზმების უზრუნველსაყოფად.
<b>საჯარო მმართველობა</b>	ქვეყანა ზომიერად მომზადებულია საჯარო ადმინისტრირების სფეროში. საანგარიშო პერიოდში იყო შეზღუდული პროგრესი.
<b>სასამართლო</b>	ჩრდილოეთ მაკედონიის სასამართლო სისტემა მომზადების გარკვეულ და ზომიერ დონეს შორისაა. პროგრესი შეზღუდულია. ქვეყანამ მიიღო სასამართლო რეფორმის ახალი სტრატეგია და საგზაო რუკა. სასამართლო სისტემაში ადამიანური რესურსების მზარდი დეფიციტი იწვევს მართლმსაჯულების ხარისხსა და ეფექტურობაზე ზეგავლენას.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ძირითადი უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას და ევროპულ სტანდარტებს. ქვეყანა აგრძელებს ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ კანონმდებლობა სისტემატურად უნდა განხორციელდეს.
<b>კორუფცია</b>	ქვეყანა მომზადების გარკვეულ დონესა და მომზადების ზომიერ დონეს შორისაა. კორუფციის პრევენციასა და ბრძოლაში პროგრესი არ ჰქონია. კორუფცია კვლავ გავრცელებულია ბევრ სფეროში.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	ჩრდილოეთ მაკედონია მომზადების გარკვეულ დონესა და ზომიერ დონეს შორისაა და ამ სფეროში შეზღუდული პროგრესი აქვს. აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა 2023 წლის ივლისში, რათა ჰარმონიზებულიყო ევროკავშირის მედია-დირექტივასთან. იგი კვლავ შეიცვალა 2024 წლის თებერვალში,

	<p>კომერციულ მედიაში სახელმწიფო რეკლამის დანერგვასთან დაკავშირებით, რაც მოგვიანებით გააკრიტიკეს მედიის მარეგულირებელმა და მედია ორგანიზაციებმა. ასევე ცვლილებები შევიდა კანონებში მედიის შესახებ და საარჩევნო კოდექსში. თუმცა, ეს ცვლილებები არ იყო ყოვლისმომცველი და, შესაბამისად, მრავალი გრძელვადიანი საკითხი გადაუჭრელი რჩება.</p>
<p><b>ფუნქციონირება- დი საბაზრო ეკონომიკა</b></p>	<p>ჩრდილოეთ მაკედონიას აქვს გარკვეული პროგრესი და მიაღწია მომზადების კარგ დონეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური ხარჯები და წინ წაიწია ფისკალური მმართველობის რეფორმებმა. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საგრძნობლად გაუმჯობესდა ენერგეტიკისა და სურსათის იმპორტის ფასების შემცირების გამო. ცენტრალურმა ბანკმა უცვლელად შეინარჩუნა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის სექტემბრის შემდეგ, რადგან ინფლაცია კვლავ იკლებს. საბანკო სექტორი მდგრადია, ხოლო ფინანსური სტაბილურობა ახალი მაკროპრუდენციული ზომებით განმტკიცდა. შრომის ბაზარი კვლავ აწყდება სტრუქტურულ პრობლემებს, მათ შორის დაბალი მონაწილეობის მაჩვენებლებს, მნიშვნელოვან ემიგრაციასა და დიდ გენდერულ უფსკრულს. ბიზნეს-გარემოს კვლავ აფერხებს დიდი არაფორმალური ეკონომიკა.</p>

**1.5. სერბეთი (EU Commission, 2024)**

<p><b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b></p>	<p>დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და პროცესების გამოცდილება არაერთგვაროვანია. პარლამენტი, რომელიც 2023 წლის დეკემბერში აირჩიეს, პლურალისტურია; მაგრამ პოლიტიკური პოლარიზაცია დარჩა, როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე მის გარეთ. ODIHR-მა გამოავლინა არაერთი დარღვევა 2023 წლის დეკემბრის არჩევნებში. არჩევნების კანონიერება და ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა ოპოზიციამ, მაგრამ საარჩევნო რეფორმის შესახებ დებატები გაგრძელდა, რის შემდეგაც ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ მონაწილეობა მიიღო 2024 წლის ივნისის მუნიციპალურ არჩევნებში. შეკრების თავისუფლება კვლავ გარანტირებულია.</p>
<p><b>არჩევნები</b></p>	<p>არჩევნების ჩატარება საჭიროებს ხელშესახებ გაუმჯობესებას და შემდგომ რეფორმებს. სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რომ OSCE/ODIHR ყველა და ბოლოდროინდელი რეკომენდაცია სრულად განხორციელდეს გამჭვირვალე და ინკლუზიურ პროცესში და ნებისმიერი ახალი არჩევნების წინ.</p>
<p><b>ევროპული ინტეგრაცია</b></p>	<p>ინსტიტუციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე, არსებობენ და ეფექტურად მუშაობენ. თუმცა, საკანონმდებლო შეფერხებამ, რომელიც ვადამდელი არჩევნების დანიშვნას უკავშირდებოდა, გამოიწვია რეფორმების პროცესის შენელება და გამონვევა შეუქმნა განევრების მოლაპარაკებებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული სტრუქტურების ფუნქციონირებას. სერბეთი აგრძელებს ევროკავშირის წევრობის სტრატეგიულ მიზნად გამოცხადებას. თუმცა, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ უნდა უზრუნველყოს უფრო</p>

	აქტიური და ობიექტური კომუნიკაცია სერბეთის ევროკავშირში განვრიანების პროცესის შესახებ.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სერბეთში რთულ გარემოში მუშაობენ. საჭიროა შემდგომი ძალისხმევა მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს შორის სისტემატური, ჭეშმარიტი და მნიშვნელოვანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. სიტყვიერი თავდასხმები და ცილისწამების კამპანიები ზოგიერთი სსო-ის წინააღმდეგ გრძელდება, მათ შორის მაღალი დონის ოფიციალური პირების მიერ. მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს სამოქალაქო საზოგადოების საჯარო დაფინანსების გამჭვირვალობა.
<b>საჯარო მმართველობა</b>	სერბეთი ზომიერად მომზადებულია საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროში. არანაირი პროგრესი არ ყოფილა საანგარიშო პერიოდში.
<b>სასამართლო</b>	სერბეთი მომზადების გარკვეულ დონესა და მომზადების ზომიერ დონეს შორისაა. მიღწეულია შეზღუდული პროგრესი. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოების ადგილებისა და ტერიტორიული იურისდიქციის შესახებ კანონში ცვლილება არ შეიტანოს. მოსამართლეთა და პროკურორების დაქირავების, გადაყვანისა და დაწინაურების ამჟამინდელი სისტემა არ არის გადასინჯული. უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერა.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	სერბეთის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ფუნდამენტური უფლებების დასაცავად ფართოდ არსებობს. ეს ჩარჩო თანმიმდევრულად და ეფექტურად უნდა განხორციელდეს. კომისიის გასული წლის რეკომენდაციების უმეტესობა ჯერ არ განხორციელებულა.
<b>კორუფცია</b>	სერბეთი მომზადების გარკვეულ დონესა და ზომიერ დონეს შორისაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული გასული წლის რეკომენდაციების შესაბამისად.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	სერბეთს აქვს გარკვეული მომზადების დონე. არ იყო პროგრესი გასული წლის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.
<b>ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა</b>	სერბეთს აქვს მომზადების კარგი დონე და მიაღწია გარკვეულ პროგრესს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. სათანადოდ მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა დაეხმარა დეზინფლაციას, ხოლო ეკონომიკური ზრდა აღდგენის გზაზეა. საჯარო სექტორის სახელფასო სისტემის რეფორმა განაგრძობს წინსვლას. ჯერ კიდევ არსებობს სტრუქტურული გამოწვევები სახელმწიფო დახმარების, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში; კერძო სექტორს აფერხებს კანონის უზენაესობის სისუსტეები, კერძოდ, კორუფცია და სასამართლოს არაეფექტურობა. გასული წლის რეკომენდაციები გარკვეულწილად განხორციელდა, მაგრამ ძირითადად ძალაში რჩება ისევე.

**1.6. კოსოვო (EU Commission, 2024)**

<p><b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b></p>	<p>დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს გარკვეული გამოწვევები. მთავრობა კვლავ ფლობს სოლიდურ უმრავლესობას ასამბლეაში, მაგრამ უთანხმოება და თანამშრომლობის ნაკლებობა უმრავლესობის შიგნით და ოპოზიციურ პარტიებთან კვლავ ხელს უშლის ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმების მნიშვნელოვან პროგრესს. ეს უთანხმოებები ხელს უშლის ასამბლეის შესაძლებლობას მიიღოს კანონმდებლობა, დანიშნოს საჯარო ორგანოების წევრები და უზრუნველყოს ეფექტური ზედამხედველობა.</p>
<p><b>არჩევნები</b></p>	<p>არჩევნების ჩარჩო ხელსაყრელია დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებისთვის. 2024 წლის 21 აპრილს კოსოვოში გაიმართა მერის განვლვის კენჭისყრა, რომელიც მიზნად ისახავდა გზა გაეხსნა ახალი ადგილობრივი არჩევნებისთვის კოსოვოს ჩრდილოეთში. გარკვეული გამოწვევების მიუხედავად, კენჭისყრა ზოგადად კარგად იყო ორგანიზებული. თუმცა, ის ჩაიშალა ამომრჩეველთა უკიდურესად დაბალი აქტივობის გამო ჩრდილოეთში კოსოვოს სერბების წარმომადგენლობითი პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების გამო - ბოიკოტი გამოუცხადეს პროცესს.</p>
<p><b>ევროპული ინტეგრაცია</b></p>	<p>ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები ფართოდ არის შექმნილი. კოსოვო ავლენს მტკიცე ერთგულებას ევროკავშირის დღის წესრიგის მიმართ, თუმცა განხეთქილების შიდა პოლიტიკა აფერხებს განხორციელებას. მთავრობამ უნდა იმუშაოს პარტიული პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რათა ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმები უფრო ეფექტურად განახორციელოს.</p>
<p><b>სამოქალაქო საზოგადოება</b></p>	<p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კოსოვოში მოქმედებენ ძირითადად ხელსაყრელ გარემოში. სამოქალაქო საზოგადოება კვლავ აქტიური და მრავალფეროვანია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმების შემუშავებაში, განხორციელებასა და ზედამხედველობაში. კოსოვომ მიიღო კონკრეტული ქმედება სსო-ებისთვის საჯარო დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, მაგრამ გამოწვევები რჩება გამოყოფილი სახსრების ანგარიშგებისა და ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებით.</p>
<p><b>საჯარო მმართველობა</b></p>	<p>კოსოვოს აქვს მომზადების გარკვეული დონე. გასული წლის რეკომენდაციების შესრულება მწირი იყო.</p>
<p><b>სასამართლო</b></p>	<p>კოსოვოს აქვს მომზადების საწყისი დონე და მწირი პროგრესი.</p>
<p><b>ფუნდამენტური უფლებები</b></p>	<p>ზოგადად, საკანონმდებლო ჩარჩო შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. თუმცა კანონმდებლობის შესრულება საჭიროებს გაძლიერებას. მთავრობის ზოგიერთი ქმედება აკნინებს უმცირესობათა დაცვის სტანდარტებს.</p>
<p><b>კორუფცია</b></p>	<p>კოსოვო მომზადების საწყის დონესა და მომზადების გარკვეულ დონეს შორისაა. პროგრესი იყო მწირი.</p>
<p><b>გამოხატვის თავისუფლება</b></p>	<p>კოსოვოს მომზადების გარკვეული დონე აქვს. პროგრესი მწირია.</p>

<p><b>ფუნქციონირება-დი საბაზრო ეკონომიკა</b></p>	<p>კოსოვოს აქვს გარკვეული დონის მომზადება და კარგი პროგრესი აქვს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. მტკიცე, თუმცა შენელებულმა ეკონომიკურმა ზრდამ და შემოსავლების მაღალმა მაჩვენებლებმა განაპირობა ბიუჯეტის დეფიციტის შემდგომი ვარდნა 2023 წელს. მიუხედავად ამისა, ფისკალური გამონეგები შენარჩუნებულია ვინრო საგადასახადო ბაზის, სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისუსტეების და საჯარო სანარმოების ცუდი ფინანსური ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, შრომის ბაზრის შედეგები სუსტია. საბანკო სექტორი კვლავ კარგად კაპიტალიზებული და სტაბილურია. გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასა და არაფორმალურობის შემცირების კუთხით.</p>
--------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**1.7. უკრაინა (EU Commission, 2024)**

<p><b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b></p>	<p>უკრაინის კონსტიტუცია და კანონმდებლობა იცავს დემოკრატიული პლურალიზმისა და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური უფლებების პრინციპებს. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის აგრესიული ომის შედეგად, უკრაინამ პარლამენტის მიერ დამტკიცებული პრეზიდენტის ბრძანებულებით დროებით გამოაცხადა საომარი მდგომარეობა. მას შემდეგ საომარი მდგომარეობა ძალაში რჩება, ამჟამინდელი მეცამეტე ვადა მოქმედებს 2024 წლის 9 ნოემბრამდე.</p>
<p><b>არჩევნები</b></p>	<p>მთლიანობაში, საკანონმდებლო ბაზა კვლავ ხელსაყრელია დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებისთვის. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ბოლო ანგარიშებიდან მიღებული ძირითადი რეკომენდაციები განხორციელდა. საარჩევნო რეფორმები უნდა გაგრძელდეს რეკომენდაციების გათვალისწინებით და ომის შემდგომი არჩევნების მომზადებისთვის.</p>
<p><b>ევროპული ინტეგრაცია</b></p>	<p>შეიქმნა ევროკავშირში ინტეგრაციის ძირითადი ინსტიტუციური სტრუქტურები და აქტიურად არიან ჩართულნი სკრინინგის პროცესში. ევროკავშირში ინტეგრაციის ექსპერტიზა, დაგეგმვა და ინსტიტუციური მექანიზმები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რათა ეფექტურად გაუმკლავდნენ ევროკავშირში განვერიანების პროცესს. ეს გაძლიერება უნდა მოიცავდეს ეროვნული პროგრამის შემუშავებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობა, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის აქცენტი. მთავრობამ უნდა გააგრძელოს საჯარო კომუნიკაცია ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ.</p>
<p><b>სამოქალაქო საზოგადოება</b></p>	<p>მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აგრძელებენ ფუნქციონირებას ფართოდ ხელსაყრელ გარემოში, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებზე და ორგანიზაციებზე ზენოლის შემთხვევები შეშფოთებას იწვევს.</p>
<p><b>საჯარო მმართველობა</b></p>	<p>უკრაინას აქვს გარკვეული მომზადების დონე საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროში და გარკვეულ პროგრესს მიაღწია.</p>



<b>სასამართლო</b>	დისციპლინური ინსპექტორების სამსახურის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამჭვირვალე შერჩევა გრძელდება. ელექტრონული სასამართლო სისტემის აუდიტი დასრულდა. მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შეფასების ერთიანი კრიტერიუმები ჯერ კიდევ საჭიროებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	უკრაინამ გაატარა რამდენიმე ძირითადი რეფორმა, როგორცაა ეროვნულ უმცირესობთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის გადახედვა. სხვა აუცილებელი ღონისძიებები - როგორცაა სტამბულის კონვენციის განხორციელება, შშმ პირთა მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება და დაკავების ადგილებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიების გაზრდა - ჯერ არ არის განხორციელებული.
<b>კორუფცია</b>	უკრაინას აქვს გარკვეული დონის მომზადება კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან მიაღწია გარკვეულ პროგრესს, განსაკუთრებით ანტიკორუფციული ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებით და მაღალი დონის კორუფციული საქმეების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და განხილვის კვალიფიკაციის ეტაპობრივად ჩამოყალიბებით.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	უკრაინა არის მომზადების გარკვეული და ზომიერი მომზადების დონეს შორის. უკრაინამ გარკვეულ პროგრესს მიაღწია იმ შეზღუდვებისა და არახელსაყრელი პირობების ფონზე, რომელიც შეიქმნა რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად.
<b>ფუნქციონირება-დი საბაზრო ეკონომიკა</b>	უკრაინამ მიაღწია გარკვეულ პროგრესს და არის მომზადების ადრეულ ეტაპსა და გარკვეული მომზადების დონეს შორის. ეკონომიკურმა ზრდამ 2023 წელს გადააჭარბა მოლოდინს და ინფლაცია დაეცა ომამდელ ცენტრალური ბანკის სამიზნე ნიშნულამდე. ხელისუფლებამ ძალიან კარგ პროგრესს მიაღწია მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებაში, როგორც უკრაინის გეგმის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და მაკრო ფინანსური დახმარების+ (MFA+) პროგრამების ნაწილი. თუმცა, ომის რთულ კონტექსტში, გრძელდება სახელმწიფო ფინანსების გაუარესება; ძირითადი ინფრასტრუქტურის განადგურება ძლიერ არღვევს ეკონომიკურ საქმიანობას; ბიზნეს-გარემოზე გავლენას ახდენს კორუფცია, დაბალი კონკურენცია და, მუშახელის დეფიციტი.

**1.8. მოლდოვა (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება ძირითადად დამაკმაყოფილებელია. საანგარიშო პერიოდში მოლდოვა სარგებლობდა პოლიტიკური სტაბილურობით და აჩვენა რეფორმების განხორციელების მუდმივი ვალდებულება, მიუხედავად რუსეთისა და მისი მარიონეტული ტერიტორიების ჰიბრიდული თავდასხმებისა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და პოლარიზაციის შესამჩნევი დონისა.
---------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<p><b>არჩევნები</b></p>	<p>არჩევნები, ძირითადად, დამაკმაყოფილებელია. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური და 20 ოქტომბერს გამართული საკონსტიტუციო რეფერენდუმი ევროკავშირში განვერიანების თაობაზე, OSCE/ODHIR-ის თანახმად, კარგად ჩატარდა. ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა ახალი საარჩევნო კოდექსის დებულებების საფუძველზე, რომლებიც დიდწილად შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.</p> <p>მოლდოვაში ადგილობრივი არჩევნები 2023 წლის ნოემბერში, საგანგებო მდგომარეობის დროს გაიმართა. არჩევნები მშვიდობიანად და რთულ ვითარებაში ეფექტურად ჩატარდა. თუმცა, უცხოეთიდან ჩარევამ და ეროვნული უსაფრთხოების კუთხით დაწესებულმა შემზღუდავმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა პროცესზე. არჩევნების წინა დღეს კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნას არ ჰქონდა ინდივიდუალური შეფასებები და ვერ უზრუნველყო საკმარისად გარანტირებული პროცედურული უფლებები, მათ შორის ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებები. მთლიანობაში, მედია საშუალებებმა საკმარისი და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიაწოდეს მოსახლეობას, რათა ამომრჩევლებს საშუალება მისცემოდათ გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი. მოლდოვამ შეაჩერა მრავალი მედია საშუალების მუშაობა უსაფრთხოებისა და დეზინფორმაციის გამო, რამაც გამოიწვია ეჭვები ზომების პროპორციულობის შესახებ.</p>
<p><b>ევროპული ინტეგრაცია</b></p>	<p>არსებობს ინსტიტუციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე. მოლდოვამ ევროინტეგრაციის საკითხებში ვიცე-პრემიერის თანამდებობა შექმნა და მთავარი მომლაპარაკებელი დანიშნა. მომავალში, მთავრობამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ევროკავშირის საკოორდინაციო სტრუქტურების შესაძლებლობები და უფრო მძლავრად ჩაერთოს ევროკავშირში განვერიანების პროცესის საჯარო კომუნიკაციაში.</p>
<p><b>სამოქალაქო საზოგადოება</b></p>	<p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოლდოვაში მოქმედებენ ფართო ხელშემწყობ გარემოში. მთლიანობაში, გაუმჯობესდა გადანყვებილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და სსო-ების ჩართულობა. მაგრამ საჭიროა შემდგომი ძალისხმევა მნიშვნელოვანი მონაწილეობის გასაზრდელად.</p>
<p><b>საჯარო მმართველობა</b></p>	<p>მოლდოვას აქვს მზაობის გარკვეული დონე. გარკვეული პროგრესი განხორციელდა.</p>
<p><b>სასამართლო</b></p>	<p>მოლდოვას აქვს გარკვეული დონის მომზადება სასამართლო სისტემის სფეროში. განხორციელდა გარკვეული პროგრესი მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მიმართულებით. მიღწეულია პროგრესი მოსამართლეებისა და პროკურორების შემონეშებასა და დანიშვნის მიმართულებით. დაინიშნა <i>Vetting</i>-ის ახალი გენერალური პროკურორი. ქვეყანაში სასამართლოების ქსელის გასაუმჯობესებლად შედგენილია სასამართლო რუკა; მისი განხორციელება არ დასრულებულა.</p>
<p><b>ფუნდამენტური უფლებები</b></p>	<p>საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ძირითადად შექმნილია. მოლდოვამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სამოქმედო პროგრამა. პატიმრობის პირობები კვლავ შემოფოთების საგანია, ისევე როგორც სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი პირების, მათ შო-</p>

	რის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების მიმართ მოპყრობა. განახლებულია ძალისხმევა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.
<b>კორუფცია</b>	მოლდოვას აქვს გარკვეული დონის მომზადება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და მიაღწია გარკვეულ პროგრესს. ქვეყანამ გააუმჯობესა თავისი გამოცდილება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.
<b>გამონატვის თავისუფლება</b>	მოლდოვას აქვს გარკვეული დონის მომზადება და მიაღწია გარკვეულ პროგრესს. განსაკუთრებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მედიის საკუთრების კონცენტრაციის შესახებ კანონის მიღებითა და მედიის სუბსიდირების ფონდის დაარსებით. პრაქტიკაში რჩება ისეთი საკითხები, როგორცაა საკუთრების კონცენტრაცია და პოლიტიკური გავლენა. ჟურნალისტების დაშინება გრძელდება და ჟურნალისტების დაცვის კუთხით შესამჩნევი პროგრესი არ არის.
<b>ფუნქციონირება-დი საბაზრო ეკონომიკა</b>	მოლდოვა მომზადების ადრეულ სტადიასა და მომზადების გარკვეულ დონეს შორის იმყოფება. გარკვეული პროგრესი აქვს. ხელისუფლება რჩება მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური რეფორმების ერთგული და გამოაქვეყნა ქვეყნის პირველი ეკონომიკური რეფორმის პროგრამა. თუმცა, 2023 წელს მოლდოვის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენებამ კარგი მმართველობის შესახებ გარკვეული შეშფოთება გამოიწვია. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელების გასაუმჯობესებლად და მთავრობამ დაიწყო კრიტიკული რეფორმების გატარება შრომის მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, მათ შორის ქალთა წილის გაზრდის მიმართულებით. საბანკო სექტორი რჩება კარგად კაპიტალიზებული და სტაბილური. მიუხედავად ამისა, რჩება ძირითადი სტრუქტურული გამოწვევები, მათ შორის არადეკლარირებული სამუშაოს მაღალი დონე და სუსტი კანონის უზენაესობა. რეფორმები ისეთ სფეროებში, როგორცაა სახელმწიფო საწარმოები, ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

**1.9. საქართველო (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე გავლენა იქონია ღრმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ, ეფექტური პარტიული თანამშრომლობის ნაკლებობამ და შეზღუდულმა საპარლამენტო ზედამხედველობამ. გარდა ამისა, იყო ძალიან შეზღუდული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიღებულ იქნა ხისტი კანონი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას. ფიქსირდება მუდმივი მტრული რიტორიკა და მზარდი დაშინება, მუქარა და ფიზიკური თავდასხმა სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მიმართ. მმართველმა პარტიამ გამოთქვა განზრახვა აკრძალოს ოპოზიციური პარტიების უმეტესობა, თუ ის მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.
---------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<p><b>არჩევნები</b></p>	<p>საარჩევნო ჩარჩო მეტწილად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ არის რიგი ნაკლოვანებებისა. საარჩევნო კოდექსში ცვლილება შევიდა 2024 წლის მარტსა და მაისში შეზღუდული კონსულტაციებით. მიღებული დებულებები არ შეესაბამება ევროკომისიის რეკომენდაციებს და არც ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის ერთობლივ მოსაზრებებს.</p> <p>საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2024 წლის 26 ოქტომბერს. 27 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წინასწარ დასკვნებში სადამკვირვებლო მისიამ დაძაბულ და ძლიერ პოლარიზებულ გარემოში გამოავლინა რამდენიმე ხარვეზი. აქ აღნიშნულია ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევები, პროცედურული შეუსაბამობები, დაშინება და ამომრჩევლებზე ზეწოლა, რამაც უარყოფითად იმოქმედა პროცესისადმი საზოგადოების ნდობაზე. ეს წინასწარი დასკვნები ადასტურებს ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმის აუცილებლობას, რაც უკვე იყო ხაზგასმული წინა საკვანძო რეკომენდაციებში.</p>
<p><b>ევროპული ინტეგრაცია</b></p>	<p>ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები ძირითადად ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია რჩება პოლიტიკის გაცხადებულ მიზნად, გასული წლის რეფორმები და ზოგიერთი განვითარება არ შეესაბამებოდა ამ მიზანს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განმარტოს თავისი განზრახვები. ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმების უფრო ეფექტიანად გასატარებლად საჭიროა ძლიერი მრავალპარტიული პოლიტიკური მხარდაჭერა ყველა გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო ინსტიტუტში. უნდა გაძლიერდეს მინისტრთაშორისი კოორდინაცია და სამოქალაქო მონაწილეობა ევროკავშირის დღის წესრიგის განსახორციელებლად. საქართველოს ხელისუფლებამ ასევე უნდა ჩაანაცვლოს ანტიევროპული ნარატივები პროაქტიური და ობიექტური კომუნიკაციით ევროკავშირის შესახებ და ქვეყნისთვის განეული მხარდაჭერის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში შეზღუდული პროგრესი იყო. პოლიტიკური პოლარიზაცია ზღუდავს ინსტიტუციურ ურთიერთობებს, ასევე პოლიტიკის შემუშავებას და საკანონმდებლო პროცესებს.</p>
<p><b>სამოქალაქო საზოგადოება</b></p>	<p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში მოქმედებენ სულ უფრო რთულ გარემოში, რაც ზღუდავს აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელსაყრელი გარემო დაზარალდა მუდმივი ნეგატიური რიტორიკით, მზარდი დაშინების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმით კრიტიკული სსო-ების წინააღმდეგ და მკაცრი არაპროპორციული კანონმდებლობის მიღებით, რომელიც მიზნად ისახავს სსო-ებისა და მედიის სტიგმატიზაციას იღებენ რა უცხოურ დაფინანსებას. მძიმედ დაზარალდა სახელმწიფო-სამოქალაქო თანამშრომლობის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ჩარჩოები.</p>
<p><b>საჯარო მმართველობა</b></p>	<p>საქართველოს აქვს მომზადების ზომიერი დონე. საანგარიშო პერიოდში იყო მცირედი პროგრესი.</p>
<p><b>სასამართლო</b></p>	<p>საქართველოს აქვს გარკვეული მომზადების დონე. საანგარიშო პერიოდში იყო უკუსვლა. 2023 წლის ივნისისა და 2024 წლის მაისის ცვლილე-</p>

	ბები ეხება ვენეციის კომისიის ორ ძირითად რეკომენდაციას, ხოლო ზოგიერთი ახლად შემოღებული დებულება ეწინააღმდეგება ევროკომისიის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. ვენეციის კომისიის სისტემური და არსებითი რეკომენდაციები რჩება შეუსრულებელი.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ძირითადი უფლებების შესახებ საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო არსებობს, მაგრამ საანგარიშო პერიოდში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით სერიოზული გამოწვევების წინაშეა. <b>2024</b> წლის მაისში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება და <b>2024</b> წლის სექტემბერში „ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება ძირს უთხრის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საერთო საკანონმდებლო ბაზას. ორივე ინიციატივა არღვევს ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, კერძოდ, გაერთიანების თავისუფლებას, გამოსატყვისა და კონფიდენციალობის უფლებებს.
<b>კორუფცია</b>	საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე. საანგარიშო პერიოდში პროგრესი მწირი იყო.
<b>გამოსატყვის თავისუფლება</b>	საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა უკუსვლა, რამაც გამოიწვია ვითარება, რომ საქართველო იმყოფება მომზადების ადრეულ ეტაპსა და მომზადების გარკვეულ დონეს შორის. საქართველომ შეინარჩუნა პლურალისტური და მრავალფეროვანი მედია ლანდშაფტი. ექსტრემალური პოლარიზაცია გამოწვევად რჩება.
<b>ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა</b>	საქართველო ზომიერად არის მომზადებული. შეზღუდული პროგრესი აქვს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნაში. ხელისუფლებამ განაგრძო ჯანსაღი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებულად მაღალი დონის მართვას და მკვეთრი დეზინფლაციის მიღწევას, მიუხედავად რთული გარე გარემოსა და შიდა პოლიტიკაში პოლარიზაციის მაღალი დონისა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ფინანსების მართვის გასაძლიერებლად და შრომის ბაზრის შეფერხებების აღმოსაფხვრელად, მცირე პროგრესი იქნა მიღწეული მნიშვნელოვანი სტრუქტურული საკითხების მოგვარებაში, მათ შორის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და სახელმწიფო საწარმოების მმართველობის რეფორმის ჩათვლით. <sup>4</sup>

**1.10. თურქეთი (EU Commission, 2024)**

<b>დემოკრატიული ინსტიტუტები</b>	თურქეთში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება კვლავ სერიოზულად შეფერხებულია. გადაუჭრელი დარჩა საპრეზიდენტო სისტემის სტრუქტურული ხარვეზები.
---------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<sup>4</sup> ამ ანგარიშში არ არის ასახული 2024 წლის 30 ოქტომბრის შემდგომი მოვლენები საქართველოში. საქართველოს მთავრობამ ევროკავშირში განცხადების პროცესი შეაჩერა 2028 წლამდე, აშშ-მ შეწყვიტა სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან, პოლარიზება კიდევ უფრო გამწვავდა; უწყვეტად მიმდინარეობს დემონსტრაციები ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით; მიმდინარეობს მომიტინგეთა მასიური დაკავებები და დაჯარიმებები; ქვეყანაში მძიმდება სოციალურ-ეკონომიკურ ვითარება; საპრეზიდენტო არჩევნები განხორციელდა ერთკანდილათიანი არჩევნების პირობებში; უკუსვლა განიცადა საჯარო მმართველობის რეფორმამ; დაიწყო საჯარო სამსახურის პოლიტიზირებისა და საჯარო მოხელეთა გათავისუფლების პროცესი.

<b>არჩევნები</b>	წინასაარჩევნო კამპანიაში დაფიქსირებული გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, 2024 წლის მარტში თურქეთში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები მთლიანობაში კარგად იყო ორგანიზებული და პატივს სცემდა ხალხის ნებას.
<b>ევროპული ინტეგრაცია</b>	ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები ფუნქციონირებს. მთავარი პასუხისმგებელი ორგანოა ევროკავშირის საქმეთა დირექტორატი.
<b>სამოქალაქო საზოგადოება</b>	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თურქეთში მოქმედებენ რთულ გარემოში, მოქმედების სივრცის შემცირებისა და მრავალი შეზღუდვების გამოწვევების, მათ შორის ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ზეწოლის პირობებში.
<b>საჯარო მმართველობა</b>	თურქეთს მომზადების გარკვეულ დონესა და ზომიერ დონეს შორისაა. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი.
<b>სასამართლო</b>	თურქეთი მომზადების საწყის ეტაპზეა. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი.
<b>ფუნდამენტური უფლებები</b>	ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ქვეყანას არ აქვს გაუმჯობესება და ეს რჩება შეშფოთების საგნად.
<b>კორუფცია</b>	თურქეთი მომზადების საწყის ეტაპზეა. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი.
<b>გამოხატვის თავისუფლება</b>	თურქეთი მომზადების საწყის ეტაპზეა. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი.
<b>ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა</b>	თურქეთი საკმაოდ დაწინაურებულია (საუკეთესო დონე) ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და გარკვეული პროგრესი განიცადა საანგარიშო პერიოდში.

**2. CFSP-თან თავსებადობა გაფართოების ქვეყნებში**

ევროკავშირში განწევრების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია გაფართოების ქვეყნის თავსებადობა ევროკავშირის საგარეო-უსაფრთხოების პოლიტიკურ ხაზთან (CFSP). ქვეყანა შეიძლება წარმატებული იყოს ვალდებულებათა/რეკომენდაციათა შესრულების მიმართულებით, წარმატებით ახორციელებდეს სამართლებრივი აპროქსიმაციის პროცესს, ადასტურებდეს ევროკავშირის შიდა ბაზართან შესაბამისობას, იღებდეს მაღალ შეფასებებს ევროკომისიის მხრიდან კლასტერებისა და თავების უმრავლესობაში. მაგრამ, თუ ქვეყანა, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილში, საკვანძო საკითხებზე ევროკავშირის საერთო განწყობებსა და განცხადებებს არ მიჰყვება, ფაქტიურად, განწევრების პროცესი ჩიხში შედის.

ევროკომისიის 2024 წლის 30 ოქტომბრის შეფასებების დოკუმენტში VI კლასტერის 31-ე თავი შეეხება **საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას**. ანგარიშების თანახმად, გაფართოების ქვეყნებში შემდეგი მდგომარეობაა:

<b>აღბანეთი</b>	საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, აღბანეთი ინარჩუნებდა სრულ შესაბამისობას <b>(100%)</b> ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადაწყვეტილებებთან, მათ შორის - ევროკავშირის ყველა შემაკავებელი ღონისძიების ჩათვლით დაკავშირებულს რუსეთისა და ბელორუსის მიმართ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომიდან გამომდინარე.
-----------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<b>ბოსნია და ჰერცეგოვინა</b>	ქვეყანამ მიაღწია ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან სრულ თანხვედრას და შეინარჩუნა ეს მდგომარეობა, რაც მიუთითებს ევროპული გზისადმი მის მკაფიო ერთგულებაზე.
<b>მონტენეგრო</b>	საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში მონტენეგრო განაგრძობდა 100%-ით შესაბამისობას ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადანყვეტილებებთან. ეს მოიცავდა ევროკავშირის სანქციების ყველა პაკეტს რუსეთისა და ბელორუსის წინააღმდეგ.
<b>ჩრდილოეთი მაკედონია</b>	ჩრდილოეთ მაკედონია ინარჩუნებს თავის 100%-იან შესაბამისობას ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადანყვეტილებებთან.
<b>სერბეთი</b>	სერბეთს, პრიორიტეტულად, სჭირდება სერიოზული დამატებითი ძალისხმევა ევროკავშირის CFSP-თან შესაბამისობის მიზნით. 2023 წელს, სერბეთის შესაბამისობა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების თაობაზე გადანყვეტილებებთან იყო 54%. 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელია 51%.
<b>კოსოვო</b>	შეფასებაში არ არის ეს თავი. <sup>5</sup>
<b>უკრაინა</b>	უკრაინის შესაბამისობა CFSP-თან (ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადანყვეტილებებთან) იყო 89% 2023 წელს. 2024 წლის 30 სექტემბრისთვის, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 95%-მდე.
<b>მოლდოვა</b>	CFSP-ის სფეროში, მოლდოვას შესაბამისობის მაჩვენებელი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადანყვეტილებებთან განაგრძობდა მატებას 2023 წლის 80%-დან 2024 წლის 30 სექტემბრისთვის 90%-მდე.
<b>საქართველო</b>	საქართველოს CFSP-თან (ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს სანქციების შესახებ გადანყვეტილებებთან) შესაბამისობა 2023 წელს 50% იყო (2022 წლის 44%-თან შედარებით). 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს თანასწორობის მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს. შეუსაბამობის შემთხვევები მოიცავს განცხადებებსა და სანქციებს, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის აგრესიულ ომთან უკრაინის წინააღმდეგ, ასევე, რომლებიც მიემართება ჰონგ-კონგს, სირიას, ტერორიზმსა და ლგბტ უფლებებს. მიუხედავად სრული თანხვედრის არარსებობისა, საქართველო თანამშრომლობდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს ტერიტორია და/ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები არ გამოეყენებინათ ამ სანქციების გვერდის ავლისთვის. თუმცა, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი ფრენების რაოდენობა რუსეთის სხვადასხვა მიმართულებით.
<b>თურქეთი</b>	სამწუხაროდ, თურქეთმა შეინარჩუნა ძალიან დაბალი თანასწორობის მაჩვენებელი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებსა და საბჭოს შესაბამის გადანყვეტილებებთან. ეს მაჩვენებელი 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 5 %-ია, 2023 წლის 9%-თან შედარებით.

<sup>5</sup> კოსოვოსთან მიმართებით ევროკავშირი მიუთითებს შემდეგს: კოსოვოს ჩართვა გაფართოების პაკეტში ზიანს არ აყენებს პოზიციებს სტატუსთან დაკავშირებით და შეესაბამება გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSCR 1244/1999) და ICJ-ის მოსაზრებას კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესახებ.

### 3. მეორე თავის შეჯამება

ზემოაღნიშნული შეფასებები, **ფუნდამენტებისა და CFSP**-ის ნაწილში, ნათელს ხდის ევროკავშირის გაფართოების ქვეყნებში დემოკრატიის სისუსტეს, ჰიბრიდულობას, სიმყიფეს. ქვეყნების მდგომარეობა ნაწილობრივ (ან სანყისად) შეესაბამება ევროკავშირის პოლიტიკურ ფასეულობებსა და სახელისუფლებო მართვის სტანდარტებს. მათ სჭირდება მდგრადი, უწყვეტი და სწრაფი რეფორმები, პოლიტიკური ნება, პოლარიზების დაძლევა, გამოსატვის თავისუფლების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო (რეალური) თანამშრომლობა, რათა გაფართოებისა და განევრების პროცესი გახდეს ხელშესახები და რეალურად პროევროპული.

საყურადღებოა, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნის დანიშნულება და ევროკავშირისა და ერთ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში წინსვლა, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაფართოების ყველა ქვეყანაში ევროპული ინტეგრაციის პროცესების ურთიერთსინქრონულობა, ურთიერთთანხვედრა, ურთიერთსოლიდარობა და, შეძლებისდაგვარად, თანაბრობა. ეს ქვეყნები ერთად მოექცნენ გაფართოების პაკეტში; როგორც გაფართოების ახალმა რეგიონმა, არამხოლოდ ინივიდუალური, არამედ ერთობლივი ქმედებების ჯანსაღი სივრცე უნდა ჩამოაყალიბოს. თუ არ იქნება საერთო კეთილღობა, უსაფრთხოება, მართლმსაჯულება, თავისუფლება და ვაჭრობის კავშირები, პროგრესი ფრაგმენტული, ერთჯერადი და პრობლემური იქნება თავად ამ ქვეყნებისთვის და ევროკავშირისთვისაც.

#### საზგასანმელია შემდეგი ფაქტორები:

- გაფართოების ქვეყნებიდან ალბანეთი, მონტენეგრო, ჩრდოლოეთ მაკედონია, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყნებია. მათი უსაფრთხოება მეტად გარანტირებულია, მეტად დაცულად გრძნობენ თავს, ვიდრე გაფართოების სხვა ქვეყნები. ეს ზეგავლენას ახდენს ევროპული ინტეგრაციის პროცესებზეც, განსაკუთრებით მიმდინარე გლობალურ ვითარებაში.

- თურქეთთან გაყინულია განევრების პროცესი. თუმცა თურქეთი რჩება დიდ და სტრატეგიულ პარტნიორად ევროკავშირისთვის. ეს ფაქტორი ნაკლებად მტკივნეულს ხდის თურქეთისთვის ევროპეიზაციის შეყოვნების ასპექტს. თურქეთი სრულად ინარჩუნებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ევროკავშირთან ურთიერთობაში ეკონომიკური კავშირებით აბალანსებს პოლიტიკური შეუთავსებლობის გამონვევებს.
- საქართველოსთან შეჩერებულია განევრების პროცესი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ევროკავშირმა საკმაოდ ამბიციურად და ვაჟკაცურად ჩართო შავი ზღვის გადმოღმა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მხოლოდ ერთი ქვეყანა გაფართოების სივრცეში, ურთიერთობა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ჩიხში შევიდა. ერთ დროს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველაზე წარმატებული და სამაგალითო ქვეყანა, დღეს ერთადერთია ათ ქვეყანას შორის, რომელსაც უკუსვლა უფიქსირდება. მხარეებს შორის საჯაროდ არაეთიკურმა და მედიატექნოლოგიურმა კონფლიქტმა (დახურულ კარს მიღმა პირისპირი შეხვედრებისა და ინკლუზიის ნაცვლად) უმძიმესად იმოქმედა ურთიერთობებზე, პროგრესზე და ერთგვარად ხელი შეუწყო რუსეთის ჰიბრიდული ომის მიზნებსაც. საქართველოს, რომელსაც გაფართოების სხვა ქვეყნების იდენტური პრობლემები აქვს და ზოგიერთ ნაწილში, მეტი ვალდებულებებიც კი აქვს შესრულებული, ავლენს ევროკავშირთან შეუთავსებლობას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ეს უმძიმეს და პოლარიზებულ ვითარებას ქმნის საქართველოში. თუმცა ეს არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ საქართველოს პრობლემად, არმედ, ცალსახად რუსეთის ზეგავლენის ზრდაა ევროკავშირის გაფართოების სივრცეში და წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის შესუსტებას სამეზობლოში.



- ქვეყნების უმრავლესობას შეზღუდული პროგრესი აქვს, ფაქტიურად უჭირთ რეფორმები. მთავარია დინამიკის შენარჩუნება და არ იყოს უკუსვლა.
- უკრაინის მიმართ დადებითი შეფასებები უფრო მორალური და ფასეულობითია, ვიდრე ხელშესახები რეფორმების შედეგების აღწერა.
- ევროკავშირს, საკუთარი გაფართოების პაკეტის ქვეყნებში, კერ კიდევ დიდ კონკურენციას უწევს რუსეთი.

**მიზანშეწონილია:**

- საყოველთაოდ ცნობილია ევროკავშირის ფინანსური და პროგრამული დახმარებები და მათი უზომო მნიშვნელობა გაფართოების ქვეყნების აღორძინებასა და მშენებლობაში. თუმცა ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაახლოებით 30-წლიანი ევროპული ინტეგრაციის ფონზე (რაც ცოტა დრო არ არის), ევროპულ იდეას ჯერ კიდევ უჭირს. ევროკავშირი საჭიროებს ინოვაციურ, განახლებულ და რუსეთის ზეგავლენის დაძლევაზე/პრევენციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას გაფართოების ქვეყნებში. ევროკავშირმა უნდა უპასუხოს მთავარ შეკითხვებს: რამ განაპირობა რუსული ზეგავლენის ზრდა ევროკავშირის სამეზობლოსა და გაფართოების ქვეყნებში (თურქეთის გამოკლებით)? რომელ სფეროში და რატომ შეყვინდა (ან ვერ განვითარდა) ევროპული ინტეგრაციის პროცესები გაფართოების ქვეყნებში? შესაძლებელია ხელშესახები (რეალურად პრაქტიკული) ევროპული პოლიტიკის მდგრადობა უსაფრთხოების გარანტიების გარეშე?
- რუსეთისგან თავდასხმის შიში რეალურია გაფართოების ზოგიერთ ქვეყანაში. ეს უსაფრთხოების საკითხია, რომლის გარანტიებს ვერ ქმნის ევროკავშირი. მნიშვნელოვანია უშუალოდ ევროკავშირი გახდეს ამ ქვეყნების ლობისტი NATO-ში განევრების მიზნით და ამით შეკრას უსაფ-

**რთხოებისა და კეთილდღეობის თანმხვედრი პროცესები გაფართოების დღის წესრიგში.**

**III. ევროპული ინტეგრაციის პროგრესის რიცხობრივი შეფასებები გაფართოების ქვეყნებში**

ევროკავშირმა, 2023 წლის პაკეტისა და 2024 წლის პაკეტის ფარგლებში, გაფართოების ქვეყნები შეაფასა **6 კლასტერის, 33 თავისა და ფუნდამენტების ნაწილში**. აქ ცხრილის სახით წარმოდგენილია გაფართოების ათივე ქვეყნის ორივე წლის მონაცემები. შეფასების თითოეულ დონეს მიენიჭა კონკრეტული ქულა. ამ ქულათა კრეფსითობა (დაჯამებულად) თითოეული კლასტერის თითოეული თავის ფარგლებში წარმოაჩენს ქვეყნების მზაობის დონეს ევროკავშირში განევრების მიმართულებით. ცხრილმა გაამარტივა შედარების შესაძლებლობა და მკაფიო გახადა გაფართოების სივრცეში საერთო ევროპული განვითარების დონე და, იმავდროულად, თითოეული ქვეყნის შიგნით ორი წლის განმავლობაში პროგრესის მდგომარეობა (**იხ. დანართი**).

**1. შედარების შედეგები:**

**1.1. კლასტერი I - განევრების ფუნდამენტები (შედგება 8 თავისგან)**

- საქართველოს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2023 და 2024 წლების მონაცემები ერთნაირია და პროგრესი არ არის, იმაზე მაღალი ქულები აქვს (დაჯამებული) ვიდრე მოლდოვას, უკრაინას, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოს.
- თურქეთს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მასთან შეჩერებულია მოლაპარაკებები, იმაზე მაღალი ქულები აქვს (დაჯამებული), ვიდრე მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას, ალბანეთსა და სერბეთს.
- ყველაზე მაღალი ქულა (დაჯამებული) აქვს თურქეთს. აღნიშნულს განაპირობებს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისა და ფინანსური კონტროლის თავებში კარგი დონე-

თა და საუკეთესო დონით შეფასება. თურქეთის გარდა არც ერთ ქვეყნას არც ერთ თავში არ აქვს საუკეთესო მომზადების დონე.

- **2024 წელს, მხოლოდ, საქართველოს, მოლდოვასა და თურქეთს არ უფიქსირდებათ წინსვლა.** სხვა ქვეყნებს კი 0.5 ან 1 ქულით პროგრესი აღენიშნებათ 2023 წელთან შედარებით (დაჯამებული).
- **სასამართლო და ფუნდამენტური უფლებების** თავში ყველაზე მაღალი შეფასებები (მომზადების ზომიერი დონე) აქვთ მონტენეგროსა და ალბანეთს.
- **საჯარო მმართველობის რეფორმის** ნაწილში ყველაზე მაღალი შეფასებები (მომზადების ზომიერი დონე) აქვთ საქართველოს, ჩრდილოეთ მაკედონიას, მონტენეგროს, ალბანეთს და სერბეთს.
- **მართლმსაჯულების თავისუფლებისა და უსაფრთხოების თავში,** ყველაზე მაღალი შეფასება აქვს მონტენეგროს (მომზადების ზომიერ და კარგ დონეებს შორის). ყველაზე დაბალი შეფასება აქვს კოსოვოს.
- **ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის** თავში ყველაზე მაღალი შეფასება აქვს თურქეთს (საუკეთესო), შემდეგ სერბეთსა და ალბანეთს (კარგი). ყველაზე დაბალი შეფასება აქვთ ბოსნია-ჰერცეგოვინას, უკრაინასა და მოლდოვას.
- **ევროკავშირის შიგნით კონკურენტული ზენოლისა და საბაზრო ძალების გამკლავების შესაძლებლობის** თავში ყველაზე მაღალი შეფასება აქვს თურქეთს (კარგი), ყველაზე დაბალი შეფასება - კოსოვოსა და უკრაინას.
- **სახელმწიფო შესყიდვების, სტატისტიკისა და ფინანსური კონტროლის** ნაწილში (რომელიც შედგება 3 თავისგან), ყველაზე მაღალი შეფასებები (დაჯამებულად) აქვს თურქეთს, ყველაზე დაბალი შეფასებები (დაჯამებულად) აქვთ მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას.

## 1.2. კლასტერი II - შიდა ბაზარი (შედგება 8 თავისგან)

- შიდა ბაზრის სფეროში გაფართოების ქვეყნებში, ძირითადად, წინსვლა და გაუმჯობესება არ არის. ორივე წლის მონაცემები ერთნაირია (დაჯამებული). გამონაკლისია მონტენეგრო, რომელსაც 0.5 ქულით პროგრესი აღენიშნება და ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელმაც 1 ქულით წინ წაინა.
- დაჯამებული ქულებით, ყველაზე მაღალი შეფასება აქვს სერბეთს, ხოლო ყველაზე დაბალი - მოლდოვას.
- **საუკეთესო მომზადების დონე** უფიქსირდება მხოლოდ თურქეთს საკორპორაციო სამართლის თავში.
- ყველა ქვეყნისთვის ყველაზე დაბალი მიღწევებია 1. მუშა-ხელის გადაადგილების თავისუფლების თავში; 2. კონკურენციის პოლიტიკის თავში;

## 1.3. კლასტერი III - კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა (შედგება 8 თავისგან)

- მხოლოდ 3 ქვეყანას არ აღენიშნება პროგრესი 2023 და 2024 წლების მონაცემებით (დაჯამებული). ეს ქვეყნებია ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო და თურქეთი. დანარჩენებს, ძირითადად, წინსვლა აქვთ 0.5 ქულით.
- ყველაზე მაღალი შეფასება (დაჯამებული) აქვს სერბეთს. ყველაზე დაბალი შეფასება აქვს ბოსნია-ჰერცეგოვინას (დაჯამებული).
- **საუკეთესო მომზადების დონე** მხოლოდ თურქეთს აქვს მეცნიერებისა და კვლევის სფეროში.
- საბაზო კავშირის ნაწილში კარგი მომზადების დონე აქვთ უკრაინას, ჩრდილოეთ მაკედონიას, სერბეთსა და თურქეთს.
- ყველა ქვეყანაში, ყველაზე დაბალი მიღწევებია სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების თავში.

#### 1.4. კლასტერი IV - მწვანე დღის ნესრიგი და მდგრადი კავშირი (შედგება 4 თავისგან)

- გაფართოების ქვეყნებს შორის მხოლოდ სერბეთსა და მოლდოვას უფიქსირდება მცირედი პროგრესი (დაჯამებული). დანარჩენ ქვეყნებს ერთნაირი მონაცემები აქვთ 2023 და 2024 წლებში.
- ყველაზე მაღალი შეფასებები (დაჯამებული) აქვთ თურქეთსა და მონტენეგროს. ყველაზე დაბალი - კოსოვოს.
- საუკეთესო მომზადების დონე აქვს მხოლოდ თურქეთს ტრანს-ევროპული ქსელის თავში.
- ყველა ქვეყანაში, განვითარების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების თავში.

#### 1.5. კლასტერი V - რესურსები, სოფლის მეურნეობა და ერთობა (შედგება 5 თავისგან)

- გაფართოების არც ერთ ქვეყანას, მოლდოვას გარდა, 2024 წელს არ აქვს გაუმჯობესება 2023 წელთან შედარებით.
- ყველაზე მაღალი შეფასება აქვთ (დაჯამებული) ჩრდილოეთ მაკედონიას. ყველაზე დაბალი - ბოსნია-ჰერცეგოვინას.
- ყველა ქვეყანაში განვითარების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საფინანსო და საბიუჯეტო მონწილეობის თავში.
- სოფლის განვითარების თავში საწყისი დონე აქვთ საქართველოს, უკრაინას, მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას.
- ყველაზე მაღალი შეფასება (კარგი დონე) აქვს მხოლოდ ჩრდილოეთ მაკედონიას სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის თავში.

#### 1.6. კლასტერი VI - საგარეო ურთიერთობები (შედგება 2 თავისგან)

- 2023 წლისა და 2024 წლების მონაცემებით, წინსვლა უფიქსირდება მხოლოდ ჩრდილოეთ მაკედონიას (დაჯამებული).
- ყველაზე მაღალი შეფასებები აქვთ (დაჯამებული) უკრაინას, ალბანეთს, მონტენეგროს

და ჩრდილოეთ მაკედონიას, ყველაზე დაბალი კოსოვოს.

- საგარეო ურთიერთობების თავში ყველაზე დაბალი შეფასებები აქვთ კოსოვოს (საწყისი მომზადების დონე) და ბოსნია-ჰერცეგოვინას (გარკვეული მომზადების დონე); ერთნაირი შეფასებები აქვთ საქართველოს, მოლდოვას, თურქეთსა და სერბეთს (ზომიერი მომზადების დონე); მაღალი შეფასებები აქვთ (კარგი დონე) უკრაინას, ალბანეთს, მონტენეგროსა და ჩრდილოეთ მაკედონიას.
- საგარეო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის თავში, ყველაზე დაბალი შეფასებები აქვთ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და თურქეთს; კოსოვოს ეს თავი შეფასებული არ აქვს (მისი სტატუსის გათვალისწინებით); ყველაზე მაღალი შეფასებები აქვთ უკრაინას, ალბანეთს, მონტენეგროსა და ჩრდილოეთ მაკედონიას.

#### 2. მე-3 თავის შეჯამება

ევროკომისიის შეფასებების თანახმად (ფუნდამენტების, ექვსი კლასტერისა და 33 თავის ფარგლებში ერთდროულად) ევროპული პროცესები დაჯამებულად ასე გამოიყურება:

- შეფასებების ჯამის შკალა: მონტენეგრო (76-78.5), სერბეთი (74.5-76.5), ჩრდილოეთ მაკედონია (74 -76), თურქეთი (71.5 – 71.5), ალბანეთი (63 – 65.5), უკრაინა (43.5 – 45), საქართველო (42-42), მოლდოვა (32.5 – 35.5), კოსოვო (32 – 33.5), ბოსნია-ჰერცეგოვინა (22.5 – 24).
- ბოსნია-ჰერცეგოვინას ყველაზე დაბალი შეფასებები აქვს (დაჯამებული).
- მონტენეგრო ყველაზე დაწინაურებულია (დაჯამებული).
- მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოსთან შეჩერებულია განვითარების პროცესი, იგი უტოლდება უკრაინას, ხოლო აქვს უკეთესი მდგომარეობა მოლდოვასთან, კოსოვოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან შედარებით (დაჯამებული).

- მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თურქეთთან შეჩერებულია განევრების პროცესი, მას აქვს საკმაოდ მაღალი ქულები (დაჯამებული).
- მიუხედავად იმისა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინას აქვს ყველაზე დაბალი შეფასებები (დაჯამებულიც და თითოეულ კლასტერშიც), მის მიმართ მიღებულია გადანყვებილება გაიხსნას განევრების მოლაპარაკება (პირობების შესრულებაზე დაფუძნებით).
- **2023 და 2024 წლის შეფასებებში (დაჯამებული) მხოლოდ საქართველოს და თურქეთს არ აღენიშნებათ პროგრესი. ორივე წლის მონაცემები ერთნაირია.**

### დასკვნა

ევროკავშირში განევრების კანდიდატი ქვეყნების ნარატიული და რიცხობრივი შეფასებების შედარება ნათელს ხდის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის სირთულესა და წინააღმდეგობრიობას, რამეთუ გაფართოების ქვეყნებში უამრავი პრობლემა, არადემოკრატიული პროცესები და ევროკავშირთან შეუთავსებლობის ბუკეტი ყველა მიმართულებაზე და სვეტშია წარმოდგენილი (პოლიტიკური კრიტერიუმები, ეკონომიკა, სექტორალური დაახლოება, სამართლებრივი აპროქსიმაცია, გეოპოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, ვაჭრობა, შიდა ბაზარი, საბაჟო კავშირი, სოციალური პოლიტიკა, განათლება და სხვა). ეს ცხადყოფს, რომ ევროკავშირმა ფორს-მაჟორ ვითარებაში, დაჩქარებულად, თუმცა გაფართოების ქვეყნებისადმი ერთგულების ძალით, ამბიციურად წამოიწყო ახალი გაფართოება.

გაფართოების ქვეყნები სამ ნაწილად იყოფა: დასავლეთ ბალკანეთი, ასოცირების ტრიო და თურქეთი. ასოცირების ტრიო, თავის მხრივ, ორ მიმართულებას მოიცავს: უკრაინა და მოლდოვა ევროპის კონტინენტზე (ევროკავშირის ქვეყნების სახმელეთო მოსაზღვრედ), ხოლო საქართველო შავი ზღვის გადმოღმა სამხრეთ კავკასიაშია. გაფართოების ქვეყნები, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში, ყოველთვის იდენტური კრიტერიუმებით შეფასებას ვერ ექვემდებარებიან, ობიექტურად განსხვავებული

პარადიგმების გამო, თუმცა ტექნიკური შეფასებების ნაწილში, ისინი ერთნაირი კრიტერიუმების ქვეშ ვარდებიან. ამიტომაც, ერთგვარად, წინააღმდეგობრივად ჩანს თუნდაც ის ფაქტი, რომ **ფუნდამენტების, 6 კლასტერისა და 33 თავის ფარგლებში** მაღალი შეფასებების მქონე ერთ-ერთ ყველაზე დანიშნულ ქვეყანასთან თურქეთთან, რატომ არის შეჩერებული განევრების პროცესი? ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელსაც თითოეულ კლასტერსა და ერთიანად დაჯამებულ მონაცემებშიც ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს, როგორ მოექცა პირობადებული განევრების მოლაპარაკებების გახსნის გადანყვებილებაში? საქართველო, რომელსაც 2024 წელს 2023 წელთან შედარებით, არ აღენიშნება პროგრესი, მაინც როგორ აქვს ზოგიერთ სხვა ქვეყნებზე უკეთესი შეფასებები და იმავდროულად, მასთან შეჩერებულია განევრების პროცესი? აქტიური ომის ფაზაში მყოფი უკრაინა, როგორ ფასდება ევროპული ინტეგრაციის პროგრესის კონტექსტში, როცა პრაქტიკული დაკვირვება თითქმის შეუძლებელია? არის სხვა შეკითხვები და ფაქტები. ეს კი, თავის, მხრივ, განევრების მატრიცის თითქოსდა ამოუხსნელ (კარს მიღმა დამალულ) პოლიტიკაზე მიუთითებს. შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს ევროკავშირთან ზომიერად/კარგად დაახლოებული სამართალი, თუმცა მასთან შეჩერებული იყოს განევრების პროცესი, როცა შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს საწყისი/ადრეული მდგომარეობა ევროკავშირთან დაახლოების, მაგრამ მასთან იყოს გახსნილი განევრების მოლაპარაკების პროცესი.

როგორია გაფართოების მატრიცა და რელურად რას ეფუძნება ევროკავშირში განევრების გადანყვებილებების მიღება? **კვლევის მიზანიც ეს იყო - შეჭიდებოდა ამ სირთულეს და დაედგინა, სად არის ევროკავშირში განევრების გასაღები? ათი ქვეყნის შედარებამ წარმოაჩინა, რომ დღეს/ამჟამად, ევროკავშირის გადანყვებილება ევროკავშირში განევრების მიმართულებით ორ ძირითად კუმულატიურ ელემენტს ეფუძნება:**

1. ქვეყანას უნდა ჰქონდეს პროგრესი (უნყვეტი ევროპული ინტეგრაციის პროცესი, თუნდაც მცირედი წინსვლით);

2. ქვეყანა უნდა ეთანხმებოდეს ევროკავშირის განცხადებებსა და გადაწყვეტილებებს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ნაწილში.

მხოლოდ ამ ორი ელემენტით აიხსნება (დასტურდება), თუ რატომ არის შეჩერებული თურქეთთან და საქართველოსთან განევრების პროცესი და რატომ არის ნაკლები პროგრესის მქონე ქვეყნებთან, მათ შორის, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან განევრების აქტიური პროცესი. (აქ, მხოლოდ ევროკომისიის შეფასებების შედარების შედეგებია წარმოდგენილი და არა უფრო გლობალური შესაძლო კონტექსტი, როგორცაა რელიგია, გეოგრაფია და სხვა).

ცხადია და საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქეთის გარდა, გაფართოების ყველა დანარჩენი ქვეყანა დიდი დოზით მოქცეულია რუსეთის გავლენის ქვეშ (ენერგოდამოკიდებულებით დაწყებული, უამრავ სექტორსა და სფეროში გაგრძელებული, დამთავრებული პოლიტიკურ მმართველობაზე ზეგავლენით). გაძლიერებულია რუსეთის როლი ევროკავშირის იმ სამეზობლოში, რომელსაც წლები აშენებდა, ავითარებდა, აფინანსებდა, პატრონობდა ევროკავშირი. ეს შედეგი მიიღო არამხოლოდ გაფართოების ქვეყნებმა, არამედ ევროკავშირმაც. ეს არის არამხოლოდ გაფართოების ქვეყნების პრობლემა, არამედ ეს ევროკავშირის დიდი პრობლემაც არის, რამეთუ ევროკავშირის სერიოზულ კონკურენციას უწევს რუსეთი (არა მხოლოდ ომის შიშის გამო). ეს ფაქტორი კი დიდწილად განაპირობებს გაფართოების ქვეყნებში დემოკრატიის იმ პრობლემებსა და ევროპული ინტეგრაციის იმ სუსტ ნიშნულებს, რაც ასახულია ევროკომისიის ანგარიშებში. გაფართოების ქვეყნების (თურქეთის გარდა) დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღემდე, 30-წლიანი ისტორიის მანძილზე, რუსეთის ეკონომიკური, ენერგეტიკული, პოლიტიკური და საინფორმაციო კონტ-

როლის მექანიზმები ისევ ძლიერი, ქმედითი და კონკურენტუნარიანია, ევროკავშირის განმავითარებელი დახმარებების საპირწონედ. ე.ი. საჭიროა ინოვაციური, ახლებური მიდგომები, ნოვაციური სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ქმედებები ევროკავშირის მხრიდან.

ევროკომისიის შეფასებები ცხადყოფს, რომ გაფართოების ქვეყნებში დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესი თანაბრად და ერთნაირად არ მიმდინარეობს (აქ არ იგულისხმება სრულად იდენტური ქმედებანი). ერთი ან ორი ქვეყნის პროგრესი (ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით) საკმარისი არ არის. გაფართოების ახალი ტალღის ქვეყნებში ევროპული იდეის ზრდა, ევროპული პოლიტიკა და პროცესები თანაბრად, სინქრონულად უნდა მიმდინარეობდეს. ეს ქვეყნები ერთად მოექცნენ გაფართოების პაკეტში და ერთად უნდა შექმნან ევროპული სივრცე რეგიონში. ხოლო ევროპული სივრცე (რეალური ევროპული ბუნების ყოფიერება) უნდა „იძებნებოდეს“ არამხოლოდ კანონებსა და პრაქტიკის ერთჯერად შედეგებში, არამედ თითოეული მოქალაქის/ადამიანის ცხოვრებაში. ეს კი ახალ და უკეთეს ფაზაში გადაიყვანდა ევროპულ პროცესებს გაფართოების ქვეყნებში.

რუსეთისგან თავდასხმის შიში რეალურია გაფართოების ზოგიერთ ქვეყანაში (გაფართოების მხოლოდ ოთხი ქვეყანაა NATO-ს წევრი). ეს უსაფრთხოების საკითხია, რომლის გარანტიებს ვერ ქმნის ევროკავშირი. ეს, თავის მხრივ, ზემოქმედებს ევროპული ინტეგრაციის ინდექსზე. მნიშვნელოვანია უშუალოდ ევროკავშირი გახდეს გაფართოების ქვეყნების ლობისტი NATO-ში განევრების მიზნით და ამით ევროკავშირმა შეკრას უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის თანმხვედრი სინქრონული პროცესები გაფართოების დღის წესრიგში.

დანართი

	საქართველო		უკრაინა		მოლდოვა		ჩრ. მაკედონია		მონტენეგრო		ბოსნია ჰერცეგოვინა		ალბანეთი		სერბეთი		კოსოვო		თურქეთი	
	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024
<b>კლასტერი I - ფუნდამენტები</b>																				
<b>2.1. დემოკრატიული ინსტიტუტებისა ფუნქციონირება და საჯარო მმართველობის რეფორმა</b>																				
საჯარო მმართველობის რეფორმა	2	2	1	1	1	1	2	2	2	2	0	0.5	2	2	2	2	1	1	1.5	1.5
<b>2.2. კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები</b>																				
თავი 23 – სასამართლო და ფუნდამენტური უფლებები	1	1	1	1	1	1	1.5	1.5	2	2	1	1	1.5	2	1	1	0.5	0.5	0	0
თავი 24 – მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება	1	1	1	1	1	1	2	2	2	2.5	1	1	1.5	2	1	1.5	0.5	1	2	2
<b>2.3. ეკონომიკური კრიტერიუმები</b>																				
ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა	2	2	0.5	0.5	0.5	0.5	3	3	2	2	0	0	2.5	3	3	3	0.5	1	4	4
ევროკავშირის შიგნით კონკურენციის ზეგავლენასა და საბაზრო ძალებთან გამკლავების უნარი.	1	1	0	0	0.5	0.5	2	2	2	2	0.5	0.5	1	1	2	2	0	0	3	3
<b>2.4. სახელმწიფო შესყიდვები, სტატისტიკა და ფინანსური კონტროლი</b>																				
თავი 5 – სახელმწიფო შესყიდვები	1	1	1	1	1	1	2	2	2.5	2.5	1	1	2	2	2	2	1.5	1.5	2	2
თავი 18 - სტატისტიკა	1	1	1	1	1	1	2	2.5	2	2	0	0	2	2	2	2.5	1	1	2	2
თავი 32 – ფინანსური კონტროლი	1	1	0	1	0	0	2	2	2	2	1	1	2	2	2	2	1	1	3	3
<b>ჯამი</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>5.5</b>	<b>6.5</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>16.5</b>	<b>17</b>	<b>16.5</b>	<b>17</b>	<b>4.5</b>	<b>5</b>	<b>14.5</b>	<b>16</b>	<b>15</b>	<b>16</b>	<b>6</b>	<b>7</b>	<b>17.5</b>	<b>17.5</b>
<b>კლასტერი II - შიდა ბაზარი</b>																				
თავი 1 – საქონლის გადაადგილების თავისუფლება	1	1	2	2	1	1	2	2	2	2	0	1	1.5	1.5	2	2	1.5	1.5	3	3

თავი 2 – მუშა-ხელის გადაადგ. თავისუფლება	0	0	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	2	2	1	1	0	0
თავი 3 – დაფუძნების უფლება და მომსახურების გადაადგ. თავისუფლება	2	2	1	1	1	1	2	2	2	2	0	0	2	2	2	2	2	2	0	0
თავი 4 – კაპიტალის გადაადგ. თავისუფლება	2	2	1.5	1.5	1.5	1.5	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
თავი 6 – საკორპორაციო/სამენარმეო სამართალი	1	1	1	1	0.5	0.5	3	3	3	3	1	1	2	2	3	3	1	1	4	4
თავი 7 – ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	1	1	1	1	1	1	2	2	3	3.5	2	2	2	2	3	3	2	2	3	3
თავი 8 – კონკურენციის პოლიტიკა	0	0	1	1	1	1	2	2	2	2	1	1	1.5	1.5	2	2	1	1	1	1
თავი 9 – ფინანსური სერვისები	1	1	1	1	1	1	2	2	2	2	1.5	1.5	2.5	2.5	2	2	2	2	3	3
თავი 28 – მომხმარებელთა და ჯანმრთელობის დაცვა	1	1	1	1	1	1	2	2	2	2	0	0	0	0	2	2	0	0	3	3
<b>ჯამი</b>	<b>9</b>	<b>9</b>	<b>9.5</b>	<b>9.5</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>17</b>	<b>17</b>	<b>19</b>	<b>19.5</b>	<b>8.5</b>	<b>9.5</b>	<b>14.5</b>	<b>14.5</b>	<b>20</b>	<b>20</b>	<b>12.5</b>	<b>12.5</b>	<b>19</b>	<b>19</b>
<b>კლასტერი III - კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა</b>																				
თავი 10 – ციფრული ტრანსფორმაცია და მედია	1	1	2.5	2.5	1	1	2	2	2	3	0	0	2	2.5	2	2	1	1	1	1
თავი 16 – გადასახადები	1.5	1.5	1	1	1	1	2	2	2	2	1	1	2	2	2	2.5	1	1	2	2
თავი 17 – ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა	2	2	2	2	1	1	2.5	2.5	2	2	0	0	2.5	2.5	2.5	2.5	2	2	1	1
თავი 19 – სოციალური პოლიტიკა და დასაქმება	1	1	0	0	1	1	2	2	1	1	1	1	2	2	2	2	0	0.5	1	1
თავი 20 – სანარმოო და ინდუსტრიული პოლიტიკა	2	2	1	1.5	1	1	2	2.5	2.5	3	0	0	2	2.5	2	2	2	2	2	2
თავი 25 – მეცნიერება და კვლევა	2	2	2	2	2	2	3	3	3	3	1	1	1	1	3	3	0	0	4	4
თავი 26 – განათლება და კულტურა	2	2	1	1	1	1.5	2	2	3	3	0	0	2	2	3	3	1	1	2	2
Chapter 29 – custom union	2	2	3	3	1.5	2	3	3	2	2	1	1	2	2	3	3	2	2	3	3
<b>ჯამი</b>	<b>13.5</b>	<b>13.5</b>	<b>12.5</b>	<b>13</b>	<b>9.5</b>	<b>10.5</b>	<b>18.5</b>	<b>19</b>	<b>17.5</b>	<b>19</b>	<b>4</b>	<b>4</b>	<b>15.5</b>	<b>16.5</b>	<b>19.5</b>	<b>20</b>	<b>9</b>	<b>9.5</b>	<b>16</b>	<b>16</b>
<b>კლასტერი IV - მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირი</b>																				
თავი 14 – სატრანსპორტო პოლიტიკა	1	1	1	1	1	1	2	2	2.5	2.5	1	1	1	1	3	3	0	0	2	2
თავი 15 - ენერგეტიკა	1	1	3	3	1.5	2	2	2	3	3	0	0	2.5	2.5	2	2	1	1	2	2
თავი 21 – ტრანს-ევროპული ქსელი	1	1	1	1	1	1	3	3	2.5	2.5	1	1	1	1	2	2.5	1	1	4	4
თავი 27 – გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება	0	0	1	1	0	0.5	1	1	1	1	0.5	0.5	1	1	1	1	0	0	1	1

ჯამი	3	3	6	6	3.5	4.5	8	8	9	9	2.5	2.5	5.5	5.5	8	8.5	2	2	9	9
<b>კლასტერი V - რესურსები, სოფლის მეურნეობა და ერთობა</b>																				
თავი 11 – სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება	0	0	0	0	0	0	2	2	2	2	0	0	1	1	1	1	1	1	1	1
თავი 12 – სურსათი უვნებლობა, ვეტერინარია და ფიტოსანიტარია	1	1	2	2	1	1	3	3	2	2	1	1	1	1	2	2	1.5	1.5	1	1
თავი 13 – თევზჭერა და აკვაკულტურა	1	1	1	1	0	0	2	2	1	1	0	0	2	2	2	2	0	0	2	2
თავი 22 – რეგონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია	0.5	0.5	1	1	0	1	2	2	2	2	0	0	2	2	2	2	0	0	2	2
თავი 33 – საფინანსო და საბიუჯეტო მონესრიგება	0	0	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	1	1	1	1			1	1
ჯამი	2.5	2.5	4	4	1	2	9	9	8	8	1	1	7	7	8	8	2.5	2.5	7	7
<b>კლასტერი VI 6 – საგარეო ურთიერთობები</b>																				
თავი 30 – საგარეო ურთიერთობები	2	2	3	3	2	2	2	3	3	3	1	1	3	3	2	2	0	0	2	2
თავი 31 – საგარეო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა	2	2	3	3	2.5	2.5	3	3	3	3	1	1	3	3	2	2			1	1
ჯამი	4	4	6	6	4.5	4.5	5	6	6	6	2	2	6	6	4	4	0	0	3	3
ყველა კლასტერისა და თავის ჯამი	42	42	43.5	45	32.5	35.5	74	76	76	78.5	22.5	24	63	65.5	74.5	76.5	32	33.5	71.5	71.5

**შეფასების დონეები:**

**0 – სანყისი/ადრეული მომზადების დონე**

0.5 – ადრეული მომზადების და გარკვეული მომზადების დონეებს შორის

**1 – გარკვეული მომზადების დონე**

1.5 – გარკვეული მომზადებისა და ზომიერი მომზადების დონეებს შორის

**2 – ზომიერი მომზადების დონე**

2.5 – ზომიერი მომზადებისა და კარგი მომზადების დონეებს შორის

**3 – კარგი მომზადების დონე**

3.5 – კარგი მომზადებისა და საუკეთესო მომზადების დონეებს შორის

**4 – საუკეთესო მომზადების დონე**



# ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა უმოქმედობის დროს (მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის თავიდან არაცილება გარანტიის მიერ)

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ ნერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

## 1. შესავალი

სისხლის სამართლის პრობლემებიდან ერთ-ერთ აქტუალურ და საკამათო საკითხს წარმოადგენს ამსრულებლის და დამხმარის გამიჯვნა აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში უმოქმედობით მონაწილეობისას. იმის დადგენას, უმოქმედო გარანტთან მიმართებით ამსრულებელს ეხება საქმე თუ დამხმარე თანამონაწილეს, აქვს მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ ამსრულებელი უფრო მკაცრად ისჯება, ხოლო დამხმარე ამსრულებელთან შედარებით მსუბუქად. მართალია, ამის შესახებ პირდაპირ მითითებას ქართულ სსკ-ში არ ვხვდებით, მაგრამ გასათვალისწინებელია 25-ე მუხლი (1-ლი ნაწილი), რომლის მიხედვითაც, ამსრულებელს და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება დანაშაულში მონაწილეობის ხასიათის და ხარისხის გათვალისწინებით. ამსრულებელს და დამხმარეს განსხვავებული სიმკაცრის სასჯელი

ეფარდება სისხლის სამართლის დოგმატიკის და პრაქტიკის მიხედვითაც. შესაბამისად, განსახილველ საკითხს აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ ასევე განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობაც<sup>1</sup>.

აქტიური ქმედებით განხორციელებულ დანაშაულში გარანტის უმოქმედობით მონაწილეობაზე გერმანული სისხლის სამართლის ლიტერატურიდან შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ: ვიქტორი თავისი ბინის ფანჯრიდან უყურებს, რომ მისი მეზობელი ნორბერტი ცემს ვიქტორის შვილს საშას. მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორს შეუძლია დიდი დაბრკოლების და სირთულეების გარეშე მეზობელს ხელი შეუშალოს საშას ცემაში, იჩენს უმოქმედობას<sup>2</sup>. ჩნდება კითხვა: ვიქტორი დანაშაულის ამსრულებელია თუ დამხმარე, თანამონაწილე? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქვემოთ განხილული იქნება ის შეხედულებები, რომლებიც სისხლის სამართლის ლიტერატურასა და პრაქტიკაში განვითარდა.

<sup>1</sup> როქსინი აღნიშნული საკითხის გარკვევის პრაქტიკულ მნიშვნელობას ხედავს თვითმკვლელობის თავიდან აუცილებლობის დასჯადობაში, ვინაიდან გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით თვითმკვლელობის თავიდან აუცილებადობა დაისჯება თუ უმოქმედო გარანტი მიჩნეულ იქნა ამსრულებლად,

ხოლო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება თუ დამხმარედ აღიარეს. *Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 667, §31 Rn. 126.*  
<sup>2</sup> *Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, S. 523, Rn. 1212.*

## 2. სუბიექტური თეორია

გერმანული მართლმსაჯულების მიერ განვითარებული სუბიექტური თეორიის მიხედვით, უმოქმედობით ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა იმაზე დამოკიდებული, უმოქმედობა და აქტიურად მოქმედი ამსრულებლის დანაშაულის თავიდან არაცილება ამსრულებლის ნებით განხორციელდა თუ თანამონაწილის. ამასთან ერთად მხედველობაში მიიღება ობიექტური კრიტერიუმები სუბიექტური ნების დასადგენად. ამის დასაბუთება ხდება იმით, რომ შედეგის გამონვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით და ამიტომ ორივე ქმედების ფორმა ერთნაირად უნდა იქნას განხილული. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც უმოქმედობას იჩენს ამსრულებლობის ნებით. განსახილველი მაგალითის მიხედვით, უნდა დადგინდეს ვიქტორი არ მოქმედებდა ამსრულებლობის ნებით თუ სურდა თავისი უმოქმედობით ნორბერტს დახმარებოდა. უმოქმედობით დახმარების სანაღმდეგოდ მიუთითებენ იმას, რომ პრაქტიკულად რთული დასადგენია უმოქმედობა ამსრულებლობის თუ თანამონაწილეობის სურვილით იქნა გამოჩენილი. ვინაიდან უმოქმედობის სფეროში კიდევ უფრო ნაკლები გარეგნული ინდიციები არსებობს, რომელიც შეიძლება დამნაშავის ნების დასადგენად იქნას გამოყენებული, შეფასება უბრალო სპეკულაციად რჩება. ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში მოსამართლეს უნდა დაედგინა, ბავშვის ცემისას უმოქმედობა ამსრულებლის თუ თანამონაწილის ნებით იქნა

გამოვლენილი, რასთან დაკავშირებით, კრიტიკული შეხედულების თანახმად, სარწმუნო პასუხის პოვნა შეუძლებელია<sup>3</sup>.

გერმანიის საიმპერიო სასამართლო, რომელიც უმოქმედობით ამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად იყენებდა იმავე კრიტერიუმებს, რასაც მოქმედებით ამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად, როცა გარანტი თავისი უმოქმედობით ხელს არ უშლიდა აქტიურად მოქმედ ამსრულებელს, უმეტეს შემთხვევაში გარანტს დამხმარედ მიიჩნევდა<sup>4</sup>. საკითხის ასეთი გადაწყვეტის ტენდენციას რიგ შემთხვევებში თავისი საფუძველი გააჩნდა, ვინაიდან სუბიექტურ თეორიაზე დაყრდნობით თავის დროზე არაერთ საქმეზე ბოროტმოქმედის დამხმარედ მიჩნევით შესაძლებელი გახდა მისთვის იმ მკაცრი სასჯელის არიდება, რომელიც მას ემუქრებოდა ამსრულებლად ცნობის შემთხვევაში<sup>5</sup>.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება უმოქმედო გარანტთან მიმართებით ამსრულებლის და დამხმარის გამიჯვნისას სუბიექტურ თეორიასა და ქმედებაზე ბატონობის თეორიას შორის მერყეობს. ხოლო რიგ შემთხვევებში ახდენს ორივე მოძღვრების კომბინირებას<sup>6</sup>. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ შემთხვევაში სუბიექტურ მოძღვრებაზე დაყრდნობით უმოქმედო გარანტის ქმედებაზე ბატონობა დაასაბუთა. ცოლმა ქმარი, რომელმაც თავი ჩამოიკიდა თვითმკვლელობის მიზნით და რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ რომლის გადარჩენაც შესაძლებელი იყო, განზრახ არ ჩამოხსნა და ამის გამო ის უმოქმედობით მკვლელობის ამსრულებლობისთვის დაისაჯა. დახმარების მოვალეობის მატარებელს ჰქონდა ვითარებაზე სრული ან დიდ-

<sup>3</sup> Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, S. 523-524, Rn. 1213.

<sup>4</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 667, §31 Rn. 125.

<sup>5</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. *მჭედლიშვილი-ჭედირიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის

გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 143, ველის ნომერი 274.

<sup>6</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 667, §31 Rn. 126.

ნილად ბატონობა და შეეძლო თავისი ჩარევით არსებითი შემობრუნება. პირობას, ქმედება სურდა არა როგორც საკუთარი, მოცემულ შემთხვევაში არ შეუძლია დამხმარის განზრახვა დაასაბუთოს, ვინაიდან მის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს სხვის ნებაზე დაქვემდებარება, რის გამოც მოვალეობის სუბიექტის მოვლენაზე ბატონობა გაუთვალისწინებელი დარჩებოდა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა ნების დაქვემდებარება, არამედ მოვლენაზე ბატონობა<sup>7</sup>.

თვითმკვლელობის თავიდან არაცილებასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია. სიძე, რომელმაც თავიდან არ აიცილა სიდედრის თვითმკვლელობა, როცა მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დამხმარედ სცნო, ვინაიდან სიძეს მოვლენებზე ბატონობა არ სურდა და მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ მოქმედი პირის ნების მონონებას. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა იმასაც, რომ გერმანულ სამართალში საკამათოდ არის მიჩნეული არის თუ არა სიძე გარანტორი<sup>8</sup>. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით სიძე გარანტორად არ მიიჩნევა, ვინაიდან ის არ განეკუთვნება ახლო ნათესავთა წრეს (სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნა), მაგრამ ამის მიუხედავად შესაძლებელია სიძის ამსრულებლობა დასაბუთდეს სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტთან მიმართებით, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს დაუხმარებლობისთვის.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ექიმის ამსრულებლობა დაადგინა, როცა მან უგონო მდგომარეობაში მყოფი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას პატივი სცა და უმოქმედობით სასიკვდილო შედეგის დადგომას ხელი შეუწყო. სასამართლომ თავის

გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ როცა თვითმკვლელობა მოვლენაზე ბატონობის ფაქტობრივი შესაძლებლობა დაკარგა, სასიკვდილო შედეგის დადგომა მხოლოდ გარანტის ქმედებაზე გახდა დამოკიდებული. მას აქვს ქმედებაზე ბატონობა და აგრეთვე ამსრულებლის ნება, როცა მოვლენების შემდგომი განვითარება მის წარმოსახვაში მხოლოდ მის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. გერმანიის უზენაესი სასამართლო ამსრულებლის ნებაში გულისხმობს იმის გაცნობიერებას, რომ ქმედებაზე ბატონობს, რომელიც მას ეკუთვნის. როგორც როქსინი მიუთითებს, თვითმკვლელობის სურვილმა შინაგან დაქვემდებარებაზე, რაც ხშირად დამხმარის ნებად განიმარტება, ექიმის ამსრულებლობაში არ უნდა შეიტანოს ცვლილება<sup>9</sup>.

გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მთელ რიგ უახლეს გადაწყვეტილებებში ამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნის თვალსაზრისით აქცენტი სუბიექტურ მომენტზე კეთდება. სასამართლოს გადაწყვეტილებებში საუბარია იმაზე, რომ მკვლელობის დროს გარანტის უმოქმედობის შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები გარანტმა სასიკვდილო შედეგის დადგომას ხელი არ შეუშალა ამსრულებლის განზრახვით თუ დამხმარის განზრახვით<sup>10</sup>.

### 3. გერმანულ მართლმსაჯულებაში შემუშავებული კრიტერიუმების გამოუსადეგარობაზე ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკული შეხედულებები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში კრიტიკის საგანს წარმოადგენს ის, რომ გერმანულ მართლმსაჯულებაში შემუშავებული კრიტერიუმები არ გვთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის ერთიან ხაზს.

<sup>7</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 667-668, §31 Rn. 127.

<sup>8</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 668, §31 Rn. 129.

<sup>9</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 668-669, §31 Rn. 130.

<sup>10</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 669, §31 Rn. 131.

ერთი მხრივ, არსებითად მიიჩნევა უმოქმედო გარანტორის ბატონობა ქმედებაზე, ხოლო მეორე მხრივ, შინაგანი განწყობა. მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, დაადგინოს საქმე ეხება ამსრულებელს თუ დამხმარეს და თავისი გადაწყვეტილება მიიღოს სასჯელის ზომის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გადასაწყვეტი საკითხი დამოკიდებულია მათზე, განხორციელდა თუ არა ქმედების შემადგენლობა და არ წარმოადგენს სასჯელის შეფარდების პრობლემას. კ. როქსინის შეფასებით, არც ქმედებაზე ბატონობა და არც ბოროტმოქმედის ნება არ არის ვარგისი კრიტერიუმი ამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნისთვის<sup>11</sup>.

გამიჯვნისთვის გერმანული მართლმსაჯულების მიერ შემუშავებული კრიტერიუმების უვარგისობა, კ. როქსინის შეხედულებით, განსაკუთრებით ეხება ქმედებაზე ბატონობას. სასამართლოს განაჩენებში ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ უმოქმედოდ მყოფს შეეძლო მოვლენების განვითარებაში არსებითი ცვლილების შეტანა. თუმცა, კ. როქსინის მოსაზრებით, ამგვარად ქმედებაზე ბატონობა ვერ დასაბუთდება. მასში იგულისხმება მხოლოდ შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა, რომელიც უმოქმედობის ცნების ნიშანია და რის გამოც არ წარმოადგენს უმოქმედობის გამოვლენის განსაკუთრებულ ფორმას. ავტორის შეხედულებით, ქმედებაზე ბატონობა მოითხოვს მიზეზობრიობის განვითარებაზე აქტიურ გაბატონებულ კონტროლს, რაც ვერ მიიღწევა მხოლოდ არაფრის კეთებით. სხვაგვარად ნამქეზებული და დამხმარეც დანაშაულში თავიანთი აქტიური მონაწილეობით, როცა მათ შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა გააჩნიათ, იქნებოდნენ ქმედების ბატონპატრონი და ამსრულებელი. თუმცა, ამ

შეხედულებას სრულიად მართებულად შეუძლებელია ვინმე უჭერდეს მხარს<sup>12</sup>.

კ. როქსინის მიხედვით, მდგომარეობა ოდნავ განსხვავებულია სუბიექტურ თეორიასთან მიმართებით, რომელიც ერთი შეხედვით უმოქმედობის დროს გამიჯვნისთვის ვარგისი შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან უმოქმედობის დროს მონაწილეობის გარეგნულ ფორმას მნიშვნელობა არ ენიჭება. გარდა იმ მიზეზებისა, რომლის მიხედვითაც სუბიექტურ თეორიას პრეტენზიები პრინციპულად წაეყენება, დასახელებული ავტორის შეხედულებით, იგი უმოქმედობის დროსაც მიიჩნევა გამოუსადეგარად<sup>13</sup>.

კ. როქსინი სუბიექტურ თეორიას იმიტომ მიიჩნევს ამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნისთვის უვარგისად, რომ **თანამონაწილის ნება ნების დაქვემდებარებისას იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილე დანაშაულის განხორციელებას ამსრულებელს მიახლოებს**, რის გამოც აქტიურად მოქმედი დამნაშავის გვერდით უმოქმედოდ მყოფი ყოველთვის მხოლოდ დამხმარე შეიძლება ყოფილიყო. რადგან თუ ვინმე საერთოდ არაფერს არ აკეთებს და ასევე არ არსებობს აშკარა დომინანტი ან თანაბარი ნება, მას სხვა გამოსავალი არ რჩება, გარდა იმისა, რომ მოვლენები თავის დინებაზე მიუშვას და ყველაფერი აქტიურად მოქმედ ბოროტმოქმედს მიანდოს. ამ და სხვა მიზეზების გამო კ. როქსინის თვალსაზრისით, დიფერენცირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, მას (სუბიექტურ ნებას) ვერ დაეფუძნება<sup>14</sup>.

სუბიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც, უმოქმედო გარანტი ამსრულებელი იქნებოდა, როცა ის აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის ქმედებას შინაგანად იწონებს და მასში საკუთარი ინტერესი გააჩნია, ხოლო დამხმარე იქნებოდა ის,

<sup>11</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 669, §31 Rn. 132.

<sup>12</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 669-670, §31 Rn. 133.

<sup>13</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 670, §31 Rn. 134.

<sup>14</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 670, §31 Rn. 135.

რომელსაც შედეგის მიმართ ინტერესი არ გააჩნია და მოვლენების განვითარებას მიენდობა შინაგანი მოწონების გარეშე, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაკრიტიკებულია სხვადასხვა არგუმენტებით.

როქსინის შეხედულებით კრიტიკის საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: პირველი, რომ ეს ცნებები არ იძლევა მკაფიო გამიჯვნის შესაძლებლობას, ვინაიდან მისი გრადაცია და გრადაციის ფარგლებში ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯნავი საზღვრის პოვნა შეუძლებელია. შეუძლებელია შედეგის დადგომის სანახევროდ მოწონება და მისდამი ინტერესის ქონა. სად მთავრდება ამსრულებლობა და იწყება დახმარება, გაურკვეველი რჩება<sup>15</sup>.

მეორე, საქმე ეხება შინაგან განწყობას და მოტივებს, რომლებიც ბრალისთვის და სასჯელისთვის რელევანტურია, მაგრამ როქსინის თვალსაზრისით, უვარგისია ქმედების შემადგენლობის განმარტაციულ-ლებელი ამსრულებლობის და ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთვის შეუსაბამო დახმარების გასამიჯნად. მისი მოსაზრებით, როცა ხდება დასახელებულ გარემოებათა გამოყენება ქმედების შემადგენლობათა გასამიჯნად, ხდება დაახლოება განწყობის სისხლის სამართალთან. შინაგანი განწყობა ბადებს ამსრულებელს და არა როგორც ეს ქმედების სისხლის სამართალს შეესაბამება, ქმედების შემადგენლობის შესაბამის ქმედებას<sup>16</sup>.

მესამე, განსახილველი მოძღვრების წინააღმდეგ მიუთითებენ, რომ მისი კრიტიკურიუმები ობიექტურად სასამართლო დად-

გენას არ ექვემდებარება და აქედან გამომდინარე გზას უხსნის თვითნებურ განსაზღვრებას. ვინაიდან შინაგანი განწყობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ადამიანის გარეგანი ქცევით. მაგრამ თუ ეს ქმედება უმოქმედობაში მდგომარეობს, სახეზე არ არის ამოსავალი პუნქტი ასეთი დასკვნების გასაკეთებლად<sup>17</sup>.

ზემოთ გამოთქმული კრიტიკა შეიძლება გადაჭარბებულად მივიჩნიოთ. მოსაზრება, რომ თითქოს სუბიექტური მომენტები მხოლოდ ბრალთან და სასჯელის ზომის განსაზღვრასთან დაკავშირებით არის რელევანტური, არ არის გასაზიარებელი. მართალია, სუბიექტურ ნიშნებს ასეთი ფუნქცია ეკისრებათ რიგ შემთხვევებში, მაგრამ შეუძლებელია სუბიექტური ნიშნების მნიშვნელობის უგულებელყოფა ცალკეულ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობის ფორმირებისთვის. ამაზე მეტყველებს მიზნით და მოტივით დაფუძნებული დელიქტები. აღნიშნული ტიპის უმართლობის განხორციელება, მაშასადამე, ამსრულებლობა მოითხოვს შესაბამისი სუბიექტური ნიშნებით ქმედებას, თუმცა ასეთი მოთხოვნა დამხმარეს არ წაეყენება.

#### 4. ქმედებაზე ბატონობის თეორია

ლიტერატურაში გაბატონებული, ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით, უმოქმედობის დროსაც ამსრულებელი და თანამონაწილე ქმედებაზე ბატონობის მიხედვით უნდა გაიმიჯნოს<sup>18</sup>. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურ ქმედებასთან შედარებით უმოქმედობის დროს ქმედებაზე ბატონობა ნაკლებად „ხელჩასაჭიდა“<sup>19</sup>, ქმედე-

<sup>15</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 670-671, §31 Rn. 137.

<sup>16</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 671, §31 Rn. 138.

<sup>17</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 671, §31 Rn. 139.

<sup>18</sup> Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 753, §25

Rn. 48; Joecks W., Studienkommentar StGB, 10. Auflage, 2012, S. 44, §13 Rn. 84.

<sup>19</sup> თუმცა ი. პუპე აღნიშნავს, რომ ქმედებაზე ბატონობის მიხედვით ამსრულებლის და დამხმარე-თანამონაწილის გამიჯვნა მოქმედების დროს უფრო საკამათოა, ვიდრე უმოქმედობისას. Puppe I., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Auflage, 2011, S. 376, §32 Rn. 17.

ბაზე ბატონობა აქაც ვარგის გასამიჯნ კრიტერიუმს წარმოადგენს, ვინაიდან იგი შედეგის თავიდან აცილების უბრალო შესაძლებლობით არ ამოიწურება. პირის მიერ შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის ქონა (მხოლოდ ამ შემთხვევაში დგება დასჯადობის საკითხი დღის წესრიგში), უნდა იქნას დიფერენცირებული იმის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება ვინ მიიღო და ამგვარად ქმედებაზე ვინ ბატონობს.

ბ. ჰაინრიხი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ვიქტორი შეიძლება მიჩნეულ იქნას ამსრულეობად, მას შეეძლო ნორბერტისთვის ხელი შეეშალა მსხვერპლის ცემის დროს. ამ შეხედულების კრიტიკოსთა თვალსაზრისით, უმოქმედობა იმით ხასიათდება, რომ უმოქმედოდ მყოფი არაფერს არ აკეთებს. მაგრამ უმოქმედობის ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სურვილის დიფერენცირებისთვის, იმის დასადგენად, უმოქმედოდ მყოფი ბატონობს თუ არა ქმედებაზე, შეუძლებელია. მხედველობაშია მისაღები, რომ დიფერენცირება ფაქტობრივად პრობლემატურია, რის გამოც მესამე პირის დანაშაულის თავიდან არაცილებისას, როგორც წესი, იქიდან უნდა ამოვიდეთ, რომ უმოქმედო გარანტი ქმედებაზე ბატონობს. მიუხედავად ამისა, გამონაკლის შემთხვევებში ეს შეიძლება გამოირიცხოს, ამგვარად, ქმედებაზე ბატონობის გამიჯვნავ კრიტერიუმს აქვს თავისი გამართლება<sup>20</sup>.

ქმედებაზე ბატონობის თეორიის წარმომადგენელთა მოსაზრებით, უმოქმედო გარანტი ქმედებაზე მაშინ ბატონობს, როცა მოვლენებზე ბატონობის სადავეს ხელიდან უშვებს აქტიურად მოქმედი

ბოროტმოქმედი. მაგალითად, თუ აქტიურად მოქმედმა ბოროტმოქმედმა შემთხვევის ადგილი დატოვა და უმოქმედო გარანტის ამის შემდგომ შეეძლო თავისი აქტიური ქმედებით მსხვერპლი გადაერჩინა. ავტორის თქმით, უმოქმედო გარანტი ბატონობდა თუ არა მოვლენებზე უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში<sup>21</sup>. თუ უმოქმედო გარანტის მიერ მოვლენებზე ბატონობა დამოკიდებული იქნება აქტიურად მოქმედი დამნაშავის მიერ შემთხვევის ადგილის დატოვებასთან გარანტის უმოქმედობა ყოველთვის ვერ დააფუძნებს ამსრულეობას.

ი. პუპე თვლის, რომ უმოქმედო გარანტი დამხმარეა მანამ სანამ ის აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის გვერდით იმყოფება და ვიდრე მოვლენებზე აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედი ბატონობს და მიზეზობრიობის განვითარებას ის წარმართავს, ხოლო უმოქმედო გარანტი ქმედებაზე ბატონობის არეალიდან დისტანცირებულია<sup>22</sup>. მაშასადამე, ავტორის შეხედულებით, ამსრულეობის აქტიური ქმედების პარალელურად გარანტის მხოლოდ უმოქმედობა არ არის საკმარისი ამსრულეობისთვის. უმოქმედოდ მყოფს თუ აქვს აქტიურად მოქმედი ამსრულეობის ქმედებამდე ან ქმედების შემდეგ შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა და გარანტორული მოვალეობა, ის ასეთ შემთხვევაში არის პარალელური ამსრულეობელი. აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მოიხსენიებს ქმედებაზე ბატონობის შეცვლის სახელწოდებით და გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმასაც, იყო თუ არა მოცემულ პერიოდში სხვა მოქმედი პირი, რომლის ქმედებიდანაც გამომდინარეობდა შედეგის საფრთხე<sup>23</sup>.

<sup>20</sup> Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, S. 524, Rn. 1214.

<sup>21</sup> Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, *Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch*, 12. Auflage, 2016, S. 753, §25 Rn. 48.

<sup>22</sup> Puppe I., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 2. Auflage, 2011, S. 376, §32 Rn. 17.

<sup>23</sup> Puppe I., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 2. Auflage, 2011, S. 379-380, §32 Rn. 32.

არ საჭიროებს განსაკუთრებულ მტკიცებებს, რომ იქ, სადაც უმოქმედობის ამსრულებლობისთვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაა საჭირო, ამსრულებელი გარანტი შეიძლება იყოს. შესაბამისად, შერეული უმოქმედობის დელიქტებში გარანტი შეიძლება ამსრულებელს წარმოადგენდეს. თუმცა, გასაზიარებელია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შერეული უმოქმედობის დელიქტებში მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედების ანაზღაურების თვალსაზრისით გარანტის უმოქმედობა, ყოველთვის ამსრულებლობად არ უნდა იქნას მიჩნეული.

აღსანიშნავია ქმედებაზე ბატონობის თეორიის ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრება, რომ უმოქმედო გარანტის ამსრულებლად მიჩნევისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე მითითება, ვინაიდან ეს ზოგადად უმოქმედობის დასჯადობის წინაპირობაა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნევა დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორცაა: მოვლენებზე ფაქტობრივი ბატონობის ხარისხი, უმოქმედო გარანტი მიმდინარე მოვლენის ცენტრალური თუ გვერდითი ფიგურა იყო, გარანტისთვის რამდენად რთული ან მარტივი იქნებოდა აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის შეჩერება, დანაშაულის ადგილთან, ქმედების ობიექტთან და საფრთხის წყაროსთან სიახლოვე, დანაშაულის დაგეგმვაში მონაწილეობა<sup>24</sup>.

ქმედებაზე ბატონობის თეორიას იმ არგუმენტითაც აკრიტიკებენ, რომ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ ამსრულებელი იღებს, არამედ დამხმარეც<sup>25</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღებას ადგილი მართლაც აქვს თანამონაწილის მხრიდანაც,

რომლის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა ვერ განხორციელდება, მაგრამ ამსრულებლის სახით დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და ამსრულებლის დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სხვადასხვა სახის და მნიშვნელობის გადაწყვეტილებებია.

## 5. ამსრულებლობის თეორია

ამსრულებლობის თეორია იქიდან ამოდის, რომ გარანტი, რომელიც სხვის დანაშაულებრივ ქმედებას არ იცილებს თავიდან, არის ამსრულებელი, შესაბამისად ის უნდა დაისაჯოს როგორც თანამსრულებელი ან როგორც პარალელური ამსრულებელი<sup>26</sup>. კ. როქსინის შეხედულებით, უმოქმედობის დელიქტები მოვალეობის დელიქტებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამსრულებლობის კრიტერიუმია არა ქმედებაზე ბატონობა, არამედ ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი შედეგის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული მოვალეობის დარღვევა და ქმედების შემადგენლობის წინაპირობების შესრულება. თუ სახეზეა აღნიშნული წინაპირობები, უმოქმედობითი ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია. ვინაიდან ამსრულებლობა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაა, მისთვის მეტი არ უნდა მოვითხოვოთ. როქსინის თვალსაზრისით, როცა მამა ხედავს, რომ დედა შვილს ახრჩობს და არაფერს აკეთებს საზიანო შედეგის თავიდან ასაცილებლად, არის ამსრულებელი. უმოქმედობა მამამ როგორი შინაგანი განწყობით გამოავლინა (ეთანხმებოდა, ეგუებოდა თუ შეგნებულად უშვებდა) ამას ამსრულებლობისთვის მნიშვნელობა არ აქვს. აღნიშნული მხოლოდ სასჯელის ზომაზე ახდენს გავლენას. მოცემულ

<sup>24</sup> Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2011, S. 500, §51 Rn. 18-21.

<sup>25</sup> მჭედლიშვილი-ჭედირიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 356.

<sup>26</sup> Frister H., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, S. 403, Kap. 26, Rn. 40.

შემთხვევაში სახეზეა უმოქმედობით მკვლელობის წინაპირობები. უმოქმედო გარანტი მხოლოდ იმ დელიქტებშია დამხმარე და არა თანაამსრულელი, რომელიც ამსრულელის განსაკუთრებულ ნიშანს მოითხოვს<sup>27</sup> (მაგალითად, განსაკუთრებული სუბიექტური ნიშანი) ან საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში. დასახელებული არგუმენტებიდან გამომდინარე როქსინი დამხმარედ მიიჩნევს დარაჯს, რომელიც ხელს არ უშლის ქურდობის განხორციელებას და ტოვებს შემთხვევის ადგილს<sup>28</sup>.

როქსინის შეხედულებით, საკითხის ასეთ გადანყვეტას მოვალეობის დელიქტების ამსრულელობის სტრუქტურის გარდა ხელს უწყობს ისიც, რომ დახმარება მოქმედებით დელიქტებში, როგორც წესი, უმოქმედობით იმთავითვე შეუძლებელია. დამხმარის მიერ სამართლებრივ სიკეთეზე აქცესორული თავდასხმა, რაც თანამონაწილეობისთვის არის დამახასიათებელი, ხდება იმგვარად, რომ თანამონაწილე ამსრულელის მეშვეობით ახდენს გავლენას დანაშაულებრივ შედეგზე. უმოქმედო ბოროტმოქმედის შემთხვევაში, სახეზე არის არა ამსრულებელზე ზემოქმედება (ვინაიდან მაშინ სახეზე იქნებოდა აქტიური მონაწილეობა), არამედ მისგან დამოუკიდებლად ასრულებს უმოქმედობით ქმედების შემადგენლობას. დიფერენცირება ამსრულელობისა და თანამონაწილეობის შორის მორგებულია პოზიტიურ ქმედებას და არა აქვს პარალელი უმოქმედობასთან. ვინც თავიდან არ იცილებს მკვლელობას, დახმარებას კი არ ახორციელებს, არამედ უმოქმედობით თავიდან არ იცილებს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს<sup>29</sup>.

როქსინი აღნიშნავს, რომ უმოქმედობისას სრულდება დამოუკიდებელი ქმედების

შემადგენლობა და არავითარი კავშირი არ აქვს აქტიურად მოქმედის დახმარებასთან. თუ უმოქმედოდ მყოფის მიერ ქმედების შემადგენლობის განუხორციელებლობისას უმოქმედობით დახმარების დასჯადობა მაინც დგება, ეს იმიტომ ხდება, რომ დახმარებას როგორც მეორად ცნებას, ამსრულელობის გარდა, მონაწილეობის თვალსაზრისით შევსების ფუნქცია გააჩნია. ეს არის დახმარება სიტყვის ფართო გაგებით<sup>30</sup>.

როქსინი ორ შემთხვევას ასახელებს, როცა ადგილი აქვს უმოქმედობით დახმარებას. პირველს იგი მიაკუთვნებს გარანტის მიერ საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტის თავიდან აუცილებადობას. აღნიშნულ სფეროში პრაქტიკულად მნიშვნელოვნად ავტორი მიიჩნევს უპირველეს ყოვლისა მაღალპიროვნულ დელიქტებში გარანტის მიერ უმოქმედობით მოვალეობის შეუსრულელობას. აღნიშნულთან დაკავშირებით როქსინს მოყავს მაგალითი, როცა გარანტი ცრუ ჩვენებას თავიდან არ იცილებს, რის გამოც გარანტი დამხმარედ უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის განხორციელება ერთპიროვნულად ფიცის დადებას მოითხოვს ჩვენების მიცემამდე, რაც უმოქმედობით ვერ განხორციელდება. ხოლო მეორე ჯგუფს განეკუთვნება ქმედების შემადგენლობები, რომლებიც ქმედების სუბიექტურ ნიშნებს მოიცავენ (მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი), რომელიც უმოქმედო გარანტის მხარეს არ არის<sup>31</sup>. თუმცა, ცრუ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმე ფიცს დებს მხოლოდ სასამართლოში ჩვენების მიცემისას.

<sup>27</sup> ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ქრისტიან ქიულიც. *Kühl K.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2008, S. 743, §20 Rn. 229.

<sup>28</sup> *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 671-672, §31 Rn. 140.

<sup>29</sup> *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 672, §31 Rn. 141.

<sup>30</sup> *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 672, §31 Rn. 142.

<sup>31</sup> *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 672-673, §31 Rn. 143.



უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი ხელით ჩასადენი ყველა დელიქტი არ უშვებს უმოქმედობით გარანტიის მიერ დანაშაულში დამხმარის სახით მონაწილეობას<sup>32</sup>. როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, საქმე ეხება აქტიური მოქმედებით განხორციელებად თუ წმინდა უმოქმედობით ჩასადენ დელიქტს. მაგალითად, როცა ერთი გარანტი მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ტოვებს და მეორე გარანტი, რომელსაც იგივენაირად ეკისრება მოქმედების მოვალეობა, უმოქმედობას იჩენს. მოცემულ შემთხვევაში ორივე გარანტი არის (მაგალითად, განსაცდელში მიტოვება-128-ე მუხ.) პარალელური ამსრულებელი და არა ერთი გარანტი მეორე გარანტის დამხმარე.

როქსინის თვალსაზრისით, როცა უმოქმედობა როგორც დახმარება უნდა დაისაჯოს, არის ის იშვიათი შემთხვევა, როცა უმოქმედოს ეკისრება მოვალეობა დამხმარის ქმედება სხვას ააცილოს თავიდან: მაგალითად, მამა იჩენს უმოქმედობას, როცა მისი მცირეწლოვანი შვილი ასრულებს დახმარებას სხვისი ჯანმრთელობის დაზიანებაში. როქსინის შეხედულებით, მამას ეკისრება გარანტორული მოვალეობა არა მსხვერპლის საწინააღმდეგო ქმედების, არამედ მხოლოდ მისი შვილის ქმედების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, რის გამოც ის უნდა დაისაჯოს მხოლოდ ამ უკანასკნელისთვის. მაშასადამე, მამის უმოქმედობა, როქსინის მოსაზრებით, არის დახმარება და მხოლოდ ამისთვის უნდა დაისაჯოს<sup>33</sup>. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება დასაბუთდეს დახმარება შუალობითი ფორმით. ის ქმედება, რომელიც შეესატყვისება არა ამსრულებლობას, არამედ დახმარებას, განხორციელებულია არა უშუალოდ მამის

მიერ, არამედ გაშუალებული ფორმით, შვილის მეშვეობით. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება შევადაროთ შემთხვევას, როცა მამა მცირეწლოვანი შვილის ხელით გადასცემს იარაღს ამსრულებელს. მამის მიერ მცირეწლოვანი შვილისთვის ხელის არშეშლა ამსრულებლისთვის დახმარების დროს არის ისეთივე მნიშვნელობის ქმედება, როგორც მცირეწლოვანი შვილის ხელით ამსრულებლისთვის დანაშაულის ჩასადენი იარაღის გადაცემა.

საკითხის გადაწყვეტის წარმოდგენილი მოდელის საწინააღმდეგოდ, როქსინის თქმით, არ შეიძლება დასახელდეს ის, რომ თუ უმოქმედო გარანტს ამსრულებლად მივიჩნევდით, ის არაფრის კეთების მიუხედავად უსამართლოდ მკაცრად დაისჯებოდა, ვიდრე ის, ვისაც დანაშაულის ჩადენაში აქტიური მოქმედებით შეაქვს წვლილი და პასუხს აგებს მხოლოდ როგორც დამხმარე, ვინაიდან უმოქმედო გარანტი არასგზით არ არის ნაკლებად დასჯადი ვიდრე აქტიური დახმარება: დედა, რომელმაც თავისი ბავშვი სიკვდილს გამიზნულად არ გადაარჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილად შეეძლო, ნაკლებ სასჯელს არ იმსახურებს, ვიდრე ის ვინც მკვლელს რევოლვერი ათხოვა. აქვე აღსანიშნავია ის, რომ გერმანული სსკ-ის მიხედვით დახმარება უფრო მსუბუქად ისჯება (გსსკ-ის 27-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი) და ეს წესი მე-13 პარაგრაფის მე-2 აბზაციის მიხედვით უმოქმედობით დახმარებაზეც ვრცელდება. ამგვარად, უმოქმედობა არასდროს არ ისჯება უფრო მკაცრად ვიდრე აქტიური დახმარება. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კანონმდებელი არ მიუთითებს იმაზე, არის თუ არა და როგორ არის შესაძლებელი დახმარება უმოქმედობით<sup>34</sup>.

როქსინი მიუთითებს იმ ერთგვარ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს

<sup>32</sup> საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებზე იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 265.

<sup>33</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 673, §31 Rn. 144.

<sup>34</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 673, §31 Rn. 145.

დახმარების მცდელობის დაუსჯელობასა და უმოქმედობით ამსრულებლობის მცდელობის დასჯადობას შორის<sup>35</sup>. როქსინს აღნიშნულთან დაკავშირებით მოყავს შემდეგი მაგალითი: დედამ უკანონო შვილის მოსაკლავად დანა მიაწოდა მამას, მაგრამ მან ის არ გამოიყენა და მკვლელობა არ განახორციელა. თუ ასეთ შემთხვევაში დედა იმის გამო, რომ მამამ ქმედების განხორციელებისგან თავი შეიკავა, მხოლოდ დახმარების მცდელობისთვის დაუსჯელი რჩება, უსამართლოდ არათანასწორი შეფასებაა, ის როგორც უმოქმედობით მცდელობის ამსრულებელი დაისაჯოს, სანამ ის სრულიად უმოქმედოდ რჩებოდა და მამას არ აბრკოლებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეეძლო – იმ მიზნით, რომ მკვლელობა არ შემდგარიყო, შესულიყო საბავშვო ოთახში. თუმცა, მისი დასჯადობა უმოქმედობით დახმარების გაერთმნიშვნელიანობას მოიტანდა და დიფერენცირება მაშინვე აღმოიფხვრებოდა. თუ დახმარების მცდელობა დასჯადი გახდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია ახსნას არადაამაკმაყოფილებელი შედეგი, როქსინის შეხედულებით, არ შეუძლია შემოგვთავაზოს მართებული გადაწყვეტა<sup>36</sup>.

ზემოთ მოცემულ მსჯელობაში იკვეთება ერთგვარი წინააღმდეგობა, თუმცა ავტორი რეალურად ასეთ შეუსაბამობას გამოორიციხავს. ავტორი მიუთითებს, რომ დედამ, რომელმაც ზემოთ დასახელებულ მაგალითში მოქმედ პირს გადასცა დანა, რომელიც არ იქნა გამოყენებული, განახორციელა არა მხოლოდ დახმარების აქტიური მცდელობა, არამედ უმოქმედობით მცდელობის ამსრულებლობაც, რომელიც დასჯადია. გარანტი, რომელმაც გამიზნულად

თავიდან არ აიცილა აქტიურად მოქმედი პირის ქმედება (უმოქმედობით მცდელობის ამსრულებლობა), გონივრულია სასჯელისაგან მხოლოდ იმიტომ არ გათავისუფლდეს, რომ გარანტს დამატებით აქტიური ქმედებითაც სურდა დანაშაულში მონაწილეობა. ნორმათა კონკურენციასთან დაკავშირებული რეგულირება არ გვეუბნება, რომ: მცდელობის ამსრულებლობა უკან იხევს, ვიდრე (მით უფრო არადასჯადი) დახმარების მცდელობა<sup>37</sup>.

როქსინი როგორც აღნიშნავს, თუ საკითხს ახლოდან დავაკვირდებით, საქმე უბრალოდ მცდელობის პრობლემას არ ეხება. თუ მამა ზემოთ მოყვანილ მაგალითში მისთვის გადაცემულ დანას არ გამოიყენებს, მაგრამ ბავშვს მხოლოდ ხელებით დაახრჩობს, დედა რომელმაც აღნიშნული ქმედება თავიდან არ აიცილა ასეთი შესაძლებლობის მიუხედავად, უნდა დაისაჯოს როგორც ამსრულებელი მკვლელობის უმოქმედობით განხორციელების გამო. მის, აქტიური დახმარებით, ქმედებას გონივრულად არაფრის შეცვლა არ შეუძლია<sup>38</sup>.

შედეგების შეუსაბამობა, როქსინის თვალსაზრისით, სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ გარანტის უმოქმედობით ამსრულებლობის მცდელობას არაგარანტის აქტიური დახმარების მცდელობასთან შევადარებთ. პირველი შემთხვევა დასჯადია, ხოლო მეორე არადასჯადი. თუმცა, ეს როქსინის მოსაზრებით, მართებულია, ვინაიდან დასჯადობასთან დაკავშირებით დიდი განსხვავება გარანტსა და არაგარანტს შორის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს<sup>39</sup>. ის რომ გარანტის და არაგარანტის დასჯადობაში უნდა არსებობდეს სხვაობა და არ შეიძლება ისინი ერთნაირად მკაცრად

<sup>35</sup> როგორც ცნობილია, დახმარების მცდელობა (ნარუმ-ატივებული დახმარება) არ ისჯება როგორც ქართული, ისე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. თუმცა, ეს არ ეხება ამსრულებლობის ფორმით დანაშაულის მცდელობას, რომელიც დასჯადია.

<sup>36</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 674, §31 Rn. 146.

<sup>37</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 674, §31 Rn. 147.

<sup>38</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 674, §31 Rn. 148.

<sup>39</sup> Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*, 2003, S. 674, §31 Rn. 149.

ისჯებოდნენ, დავას არ უნდა ინვედეს, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს დახმარების მცდელობის დასჯადობის მიზანშეწონილობას<sup>40</sup>. ის რომ როქსინი გარანტის უმოქმედობის დროს გარანტის პასუხისმგებლობას რიგ შემთხვევებში გარანტის ამსრულებლობით ხსნის, ირიბად იმის მაჩვენებელიც არის თუ რამდენად მიუღებელია დახმარების მცდელობის დაუსჯელობა ქმედების საშიშროების გათვალისწინებით. გარანტის უმოქმედობა რომ ყოველთვის ამსრულებლობას არ გულისხმობს და ცალკეულ შემთხვევებში მას პასუხისმგებლობა როგორც დამხმარეს შეიძლება დაეკისროს ამას თვით როქსინიც აღნიშნავს. თუ დახმარების მცდელობას კანონმდებელი დასჯადად გამოაცხადებს, მაინც იქნება შესაძლებელი გარანტს და არაგარანტს განსხვავებული სასჯელის ზომა შეეფარდოს.

უმოქმედო გარანტის ამსრულებლად მიჩნევის სასარგებლო არგუმენტად ლიტერატურაში სახელდება ის, რომ თითქოს, უმოქმედობის დროს ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა შეუძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებენ გერმანიის სსკ-ის მე-13 პარაგრაფს, რომლის თანახმად, უმოქმედობა მხოლოდ მაშინ არის დასჯადი, როცა ეს ქმედების შემადგენლობის ამსრულებლობით განხორციელებას შეესაბამება. ამ მხრივ მხოლოდ ის ფაქტორი შეიძლება იყოს გადამწყვეტი, არსებობს თუ არა ჩარევის (ხელის შეშლის) სამართლებრივი ვალდებულება. ასეთი ვალდებულების არსებობისას სახეზე იქნებოდა ამსრულებლობა, ხოლო მისი

არარსებობისას გამოირიცხებოდა დასჯადობა. ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილების სამართლებრივი მოვალეობის გრადაცია შეუძლებელია. უმოქმედოდ მყოფი არის ყოველთვის ამსრულებელი. გარანტის უმოქმედობით დახმარება არის შეუძლებელი. განსახილველი მაგალითის მიხედვით ვიქტორი იქნებოდა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამსრულებელი უმოქმედობით<sup>41</sup>.

განსახილველი თეორიის მხარდამჭერები ლიტერატურაში არიან რუდოლფი, არმინ კაუფმანი, შტრატენვერტი, ბლოი, რომლებიც უმოქმედობის დროს ერთამსრულებლობის ცნებიდან ამოდიან, თუმცა იქ, სადაც სახეზეა ქმედების შემადგენლობის ნიშნების განხორციელების ნაკლებობა, მხარს უჭერენ ბოროტმოქმედის დასჯას დამხმარის სახით, ვინაიდან ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული დამხმარის ცნება ასრულებს შემავსებელ ფუნქციას<sup>42</sup>.

განსახილველი თეორიის სანაწილადგოდ არსებობს კრიტიკული მოსაზრება. უმოქმედობის დროსაც უნდა იყოს შესაძლებელი ამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნა. უმოქმედოდ მყოფი პირი დახმარების დასჯადობისთვის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას დაკარგავდა და აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის უარეს მდგომარეობაში იქნებოდა. გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის მიხედვით თანამონაწილეობა უმოქმედობითაც არის შესაძლებელი. განსახილველ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება აქტიური მოქმედე-

<sup>40</sup> დახმარების მცდელობის დასჯადობის მიზანშეწონილობაზე იხ. *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 216; *ცქიტიშვილი თ.*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 307-309; *გამყრელიძე თ.*, დანაშაულში თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი“, 1980, 1, გვ. 30; *დვალაძე ი.*, ნიგნში: ნაჭყებია გ., დვალაძე ი., (რედ.),

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 158. სანაწილადგოდ მოსაზრება იხ. *ხარანაული ლ.*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 84.

<sup>41</sup> *Heinrich B.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, S. 524-525, Rn. 1215.

<sup>42</sup> *Roxin C.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 674-675, §31 Rn. 150.

ბით განხორციელებულ დანაშაულში მხოლოდ უმოქმედობით თანამონაწილეობა (ფსიქიკური) დახმარების ფორმით<sup>43</sup>, რაც გასაზიარებელ თვალსაზრისს წარმოადგენს. საყურადღებოა ამსრულებლობის თეორიის ის არგუმენტი, რომ განსაკუთრებული სუბიექტური ნიშნით ჩასადენ დელიქტებში აქტიურად მოქმედი დამნაშავისთვის გარანტის მიერ ხელის არშეშლა ამსრულებლობისთვის საჭირო შესაბამისი სუბიექტური ნიშნების გარეშე უნდა ჩაითვალოს არა ამსრულებლობად, არამედ დახმარება თანამონაწილეობად. ასეთ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს მაგალითად, ცოლის დაყარალებისთვის ქმრის მიერ ხელის არშეშლა თუნდაც ამსრულებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე<sup>44</sup>. აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, გარანტი მაშინ ჩაითვლება თანამონაწილედ, როდესაც ის ამსრულებელთან შეთანხმებით იჩენს უმოქმედობას მისთვის ხელშეწყობის მიზნით. ხოლო ასეთი წინასწარი შეთანხმების არარსებობისას იგი უნდა დაისაჯოს არა დახმარებისთვის, არამედ შეუტყობინებლობისთვის<sup>45</sup>. ამასთან ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს გარანტის ორი სახის უმოქმედობას: პირველი, როცა გარანტი უმოქმედობით ამსრულებელს ხელს უწყობს და მეორე, როცა გარანტი უმოქმედობით ამსრულებელს ხელს არ უშლის. ავტორის შეხედულებით პირველ შემთხვევაში სახეზეა თანამონაწილეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში დანაშაულთან შემხებლობა შეუტყობინებლობის სახით ან განსაცდელში მიტოვება. თუმცა, ავტორი, განსაცდელში მიტოვების ნორმით ქმედების კვალიფიკაციისთვის, გასათვალისწინებლად თვლის იმას, გარანტმა უმოქმედობა

დანაშაულის მიმდინარეობისას გამოიჩინა თუ უფრო ადრეულ ეტაპზე<sup>46</sup>.

## 6. თანამონაწილეობის თეორია

თანამონაწილეობის თეორია ამსრულებლობის თეორიის საწინააღმდეგო პოზიციას იჭერს. გარანტი, რომელიც სხვის მიერ განხორციელებულ დანაშაულს მსხვერპლს არ აარიდებს, მიიჩნევა მხოლოდ დამხმარედ<sup>47</sup>. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, უმოქმედოდ მყოფი მხოლოდ გაშუალეულად მონაწილეობს და ქმედებაზე ბატონობა შეუძლია მხოლოდ მაშინ მოიპოვოს, თუ დანაშაულის მიმდინარეობაზე ბატონობის მქონე ამსრულებელი მას დაკარგავს. აქტიური ქმედების ჩამდენი დამნაშავისგან განსხვავებით ის იკავებს მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს<sup>48</sup>.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, უმოქმედობით დახმარების შესაძლებლობა მიიჩნევა პრინციპულად არასაკამათოდ<sup>49</sup>. ქ. ქიულის შეხედულებით, გარანტორული მოვალეობა არის დანაშაულში უმოქმედობით მონაწილეობის წინაპირობა, მაგრამ ეს არაფერს ამბობს როლების განაწილებაზე, როცა მასში აქტიურად მოქმედიც მონაწილეობს. თუმცა, ის გამოძალვის დროს უმოქმედოდ მყოფ გარანტს მიიჩნევს მოვლენების არა ცენტრალურ, არამედ გვერდით ფიგურად, შესაბამისად, დამხმარედ, რომელიც ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების შანსებს თავისი უმოქმედობით ზრდის. მისი შეხედულებით, გამოძალვის ამსრულებელი მუქარას ახორციელებს და ამით მოვლენებზე ბატონობს,

<sup>43</sup> Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, S. 524-525, Rn. 1215.

<sup>44</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, გვ. 338.

<sup>45</sup> თოდუა ნ., წიგნში: თოდუა ნ., ივანიძე მ., ტურავა მ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი 2, თბ., 2021, გვ. 348.

<sup>46</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 350.

<sup>47</sup> Jescheck H.H., Weigend Th., *Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, 5. Auflage, 1996, S. 696, §64 III 5.

<sup>48</sup> Jescheck H.H., Weigend Th., *Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, 5. Auflage, 1996, S. 681-682, §63 IV 2.

<sup>49</sup> Kühl K., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2008, S. 743, §20 Rn. 229.

ხოლო გარანტი უმოქმედობას იჩენს და ამსრულებელს ხელს არ უშლის<sup>50</sup>.

სხვის მიერ განხორციელებულ დანაშაულში გარანტის მიერ უმოქმედობით ამსრულებლის სახით მონაწილეობა განსახილველი თეორიის მიხედვით შეუძლებელია. გარანტი, რომელიც აქტიურად მოქმედ ბოროტმოქმედს ხელს არ უშლის, მხოლოდ დამხმარე იქნებოდა. ბ. ჰაინრიხი შესაძლებლად მიიჩნევს ამ თეორიის საწინააღმდეგოდ იმ არგუმენტის მოშველიებას, რომ უმოქმედობის სფეროშიც უნდა იყოს შესაძლებელი თანამონაწილეობის და დახმარების გამიჯვნა. თუმცა, უმოქმედოდ მყოფი შეიძლება მოვლენის გვერდით ფიგურას წარმოადგენდეს. იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება იმ შემადგენლობის განხორციელებას, რომელიც მის ადრესატს მოთხოვნას უყენებს (ებოტსტატბესტანდ) უმოქმედოდ მყოფი არის არა გვერდითი, არამედ ცენტრალური ფიგურა<sup>51</sup>. განსახილველი თეორია ერთი მხრივ, გამორიცხავს აქტიური მოქმედებით განხორციელებულ დანაშაულში უმოქმედობით ამსრულებლობას, მაგრამ ზოგადად არ უარყოფს უმოქმედობით ამსრულებლობას. მაგალითად, როცა ადგილი აქვს ორი გარანტის მხრიდან უმოქმედობას. კერძოდ, როცა დედ-მამა ორივე თავს იკავებს შვილის გამოკვებისგან, რასაც მოსდევს ბავშვის გარდაცვალება. მოცემულ შემთხვევაში დედ-მამას ამსრულებლებად განიხილავენ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან არაცილების გამო. აღნიშნულ შემთხვევაში არ გამოიყენება თანამსრულებლობისთვის დამახასიათებელი ურთიერთშერაცხვის პრინციპი, ვინაიდან თითოეული უმოქმედო გარანტი პასუხისმგებელია მთლიანი შედეგისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევას, განსახილველი თეორიის წარმომადგენლები, განიხილავენ უმოქმედობით თანამსრულებლობად<sup>52</sup>, განსხვავებით იმ შესხედულებისგან, რომელიც უმოქმედობით თანამსრულებლობას გამოირიცხავს<sup>53</sup>. განსახილველი თეორიის მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა (გარანტორთა უმოქმედობის დროს ყველა გარანტის ამსრულებლად მიჩნევა) ეფუძნება იმ არგუმენტებს, რომ ორივე გარანტი იჩენს ერთნაირი მნიშვნელობის უმოქმედობას. ორივეს ერთნაირად ეკისრება შვილზე ზრუნვის და შესაბამისად, საზიანო შედეგის თავიდან აცილების ვალდებულება. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ერთის უმოქმედობა უფრო მნიშვნელოვანი იყო მეორის უმოქმედობასთან შედარებით ან ერთ უმოქმედო გარანტს დაქვემდებარებული როლი ჰქონდა მეორესთან მიმართებით.

განსახილველი თეორიის წარმომადგენლები უმოქმედობით დახმარების მაგალითებად განიხილავენ შემდეგ შემთხვევებს: ზედამხედველი მოხელის მიერ ქურდობის ამსრულებლებისთვის ხელის არშეშლა და ქურდობის ამსრულებელთა მოქმედების თმენა, სასტუმროს მეპატრონის მიერ სასტუმროში სასტუმროს ვიზიტორის ჯანმრთელობის დაზიანების თმენა, ცრუ ჩვენების მიცემისთვის დახმარება უმოქმედობით (ხელის არშეშლით), გემის კაპიტნის მიერ ეკი-

რულებლობისთვის დამახასიათებელი ურთიერთშერაცხვის პრინციპი, ვინაიდან თითოეული უმოქმედო გარანტი პასუხისმგებელია მთლიანი შედეგისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევას, განსახილველი თეორიის წარმომადგენლები, განიხილავენ უმოქმედობით თანამსრულებლობად<sup>52</sup>, განსხვავებით იმ შესხედულებისგან, რომელიც უმოქმედობით თანამსრულებლობას გამოირიცხავს<sup>53</sup>. განსახილველი თეორიის მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა (გარანტორთა უმოქმედობის დროს ყველა გარანტის ამსრულებლად მიჩნევა) ეფუძნება იმ არგუმენტებს, რომ ორივე გარანტი იჩენს ერთნაირი მნიშვნელობის უმოქმედობას. ორივეს ერთნაირად ეკისრება შვილზე ზრუნვის და შესაბამისად, საზიანო შედეგის თავიდან აცილების ვალდებულება. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ერთის უმოქმედობა უფრო მნიშვნელოვანი იყო მეორის უმოქმედობასთან შედარებით ან ერთ უმოქმედო გარანტს დაქვემდებარებული როლი ჰქონდა მეორესთან მიმართებით.

<sup>50</sup> Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2008, S. 744, §20 Rn. 230. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ქიული ჩვენი დაკვირვებით ვერ ჩაითვლება მხოლოდ ამსრულებლობის ან თანამონაწილეობის თეორიის მხარდამჭერად და მისი შესხედულება ეფუძნება კონბინირებულად ორივე თეორიის არგუმენტებს.

<sup>51</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, S. 525, Rn. 1216.

<sup>52</sup> Jescheck H.H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, S. 682, §63 IV 2.

<sup>53</sup> თოდუა ნ., თანამსრულებლობის საკითხი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, სამეცნიერო საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 371; თოდუა ნ., წიგნში: თოდუა ნ., ივანიძე მ., ტურავა მ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი 2, თბ., 2021, გვ. 328-332. აღნიშნული მოსაზრება იქნა გაზიარებული ჩვენ მიერაც. იხ. ცქიტიშვილი თ., განზრახ მკვლელობა ჯგუფურად, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2024, 11.

პაჟის მიერ კონტრაბანდაში დახმარება საბაჟო კონტროლისთვის თავის არიდებაში, დაზღვეულის მიერ დაზღვეული შენობის დანვის თავიდან აურიდებლობა. წარმოდგენილი მოსაზრების წარმომადგენლები უმოქმედობით დახმარებად განიხილავენ ასევე დაქორწინებული ქმრის საყვარლის მხრიდან ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის თავიდან არაცილებას<sup>54</sup>, რაც საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან უმოქმედობით დახმარებისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმას, ვისაც ეკისრება მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა. ასეთი (გარანტორული) მოვალეობა დაქორწინებული ქმრის საყვარელს არც ქმრის (ანუ მისი საყვარლის) და არც მისი ცოლის მიმართ არ ეკისრება. შესაბამისად, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მკვლელობაში უმოქმედობით დახმარებისთვის, არამედ დაუხმარებლობისთვის (იმნუთიერი საფრთხის არსებობისას-129-ე მუხ.), ხოლო იმნუთიერი საფრთხის არარსებობისას შეუტყობინებლობისთვის (376-ე მუხ.)<sup>55</sup>. განსახილველი შეხედულების გათვალისწინებით უმოქმედობით დახმარებისთვის დაეკისრება პასუხისმგებლობა დაკავების ადგილის ან პენიტენციური დაწესებულების უფროსს, რომელიც თავიდან არ იცილებს აღნიშნული ადგილიდან მსჯავრდებულის, პატიმრის გაქცევას (379-ე მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულს). გემის კაპიტნის უმოქმედობა ყოველთვის დახმარებად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგალითად, როცა საქმე ეხება გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვებას (279-ე მუხ.), ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაზე სსკ-ში სპეციალური შემადგენლობა არსებობს. შესაბამისად, ასეთ დროს გემის კაპიტანი ამსრულელებელია. ამასთან ერთად უნდა აღინიშ-

ნოს, რომ 375-ე მუხლის შენიშვნაში არსებული მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ახლო ნათესავი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით, საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან შეუტყობინებლობა გულისხმობს იმ დანაშაულის შეუტყობინებლობასაც, რომელიც მზადების პროცესშია. თუმცა, ჩადენილი დანაშაულის წინასწარშეუპირებლად შეუტყობინებლობისგან განსხვავებით, ახლო ნათესავის მიერ დანაშაულის მზადების შეუტყობინებლობა არ შეიძლება დაუხვეული რჩებოდეს, ვინაიდან იგი განსახილველი თეორიის მიხედვით წარმოადგენს უმოქმედობით დახმარებას, დანაშაულში თანამონაწილეობას.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით უმოქმედო გარანტის ყოველთვის ამსრულელებლად მიჩნევისას ამსრულელებელთა წრე უსასრულოდ გაიზრდებოდა. შესაბამისად, დამხმარედ არის მიჩნეული გარანტი, რომელიც თავისი უმოქმედობით ხელს არ უშლის მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ დანაშაულის ჩადენას. თუმცა, ავტორის მსჯელობა განსახილველ საკითხზე არ არის თანმიმდევრული და ის საკითხის ასეთი გადაწყვეტის სსკ-ის 23-ე მუხლთან შეუსაბამობაზეც მიუთითებს. ავტორი უმოქმედოდ მყოფი გარანტის ქმედების კვალიფიკაციისას გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმასაც, შეიძლება თუ არა აქტიურად მოქმედი პირი ამსრულელებლად ჩაითვალოს, ვინაიდან აღნიშნული საკითხი მხედველობაში მიიღება შუალობითი ამსრულელებლობის და წაქეზება-თანამონაწილეობის გამიჯვნის თვალსაზრისითაც<sup>56</sup>.

აქტიურად მოქმედი დამნაშავისთვის გარანტის მიერ უმოქმედობით ხელშეწყობას

<sup>54</sup> Jescheck H.H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, S. 696-697, §64 III 5.

<sup>55</sup> ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბ., 2024, გვ. 486-487.

<sup>56</sup> მჭედლოშვილი-შედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 357-359.

დახმარებად თვლიდა თ. წერეთელიც<sup>57</sup>. ასეთად იგი მიიჩნევდა ისეთ შემთხვევას, როცა პირს თვითონ ევალება დანაშაულთან ბრძოლა და შეუთანხმდება ბოროტ-მოქმედებს, რომ არ იმოქმედებს მათ წინააღმდეგ<sup>58</sup>. თ. წერეთელი დანაშაულის ამსრულებლისთვის უმოქმედობით ხელის არშეშლას მხოლოდ იმ პირობით განიხილავს დახმარებად, რომ უმოქმედო პირს უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ვინაიდან დამხმარის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულთან, ხოლო უმოქმედობის მიზეზობრიობა გამოირიცხება ასეთი გარანტორული მოვალეობის გარეშე<sup>59</sup>.

ნ. თოდუას შეხედულებით მკვლელობაში თანამონაწილე, დამხმარეა გარანტი, რომელიც უმოქმედობას გამოიჩინებს ამსრულებელთან წინასწარ შეთანხმებით<sup>60</sup>.

მ. ტურავა ერთი მხრივ, მკვლელობის ამსრულებლებად მიიჩნევს მშობლებს, რომლებიც საკვების მიუცემლობით კლავენ შვილს<sup>61</sup>, ხოლო დამხმარედ მიიჩნევს ქმარს, რომელიც არ ატყობინებს ცოლს და სამართალდამცავ ორგანოებს იმ თავდასხმის შესახებ, რომელიც დანაშაულის ამსრულებელთა მიერ მზადდება ცოლის მიმართ<sup>62</sup>. თუმცა, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აქტიური მოქმედებით განხორციელებულ დანაშაულში გარანტის უმოქმედობით მონაწილეობის საკითხი ყოველთვის ერთგვაროვნად არ წყდება.

## 7. გამმიჯნავი (ფუნქციონალური) თეორია

გამმიჯნავი (ფუნქციონალური) თეორია უმოქმედობის ნაწილში ამსრულებლობას და თანამონაწილეობას ერთმანეთისგან მიჯნავს იმის მიხედვით, თუ რა სახის გარანტორს ეხება საქმე. უმოქმედოდ მყოფი მზრუნველი და დამცავი გარანტი მიიჩნევა ამსრულებლად, ხოლო მცველი და ზედამხედველი გარანტი მხოლოდ დამხმარედ დაისჯება<sup>63</sup>. ასეთი დიფერენცირება იმით არის დასაბუთებული, რომ უმოქმედობის დროსაც გარანტორული მოვალეობის ხარისხის გათვალისწინება ემსახურება ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნას. მზრუნველმა და დამცველმა გარანტმა სამართლებრივი სიკეთე უნდა დაიცვას იმ საფრთხისგან, რომელიც მას გარედან ემუქრება, ის უშუალოდ აგებს პასუხს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისთვის. განსახილველი თეორიის მიხედვით, მხოლოდ მზრუნველი და დამცველი გარანტი შეიძლება იყოს უმოქმედობითი დანაშაულის ამსრულებელი. განსახილველ მაგალითში ვიქტორი არის დამცავი გარანტი და ამიტომ მიიჩნევა ამსრულებლად. თუმცა, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ახდენს გარანტორთა დიფერენცირებას სახეების მიხედვით, ბ. ჰაინრიხი ასახელებს იმ არგუმენტს, რომ სსკ-ი მოქმედების სამართლებრივ მოვალეობას იცნობს, მაგრამ არ ახდენს გარანტორთა დიფერენცირებას მათი ფუნქციების მიხედვით. ბ. ჰაინრიხი მიუთითებს სირთულეზე განსახილველი

<sup>57</sup> წერეთელი თ., წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 145-146.

<sup>58</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 179.

<sup>59</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 183-185.

<sup>60</sup> თოდუა ნ., წიგნში: თოდუა ნ., ივანიძე მ., ტურავა მ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი 2, თბ., 2021, გვ. 350.

<sup>61</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 326.

<sup>62</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 338. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია ასევე წინამდებარე სიტყვების ავტორის მიერაც. იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 87-88.

<sup>63</sup> Krey V., Esser R., Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2011, S. 471-472, Rn. 1181; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, 2019, S. 525-526, Rn. 1217.

შეხედულებისთვის, როცა პირი ერთდროულად მიიჩნევა როგორც მზრუნველ, ისე დამცავ გარანტიად<sup>64</sup>.

ჰ. ფრისტერი კი გამმიჯნავი თეორიის საპირისპიროდ მიუთითებს იმას, რომ ზედამხედველი გარანტიც არის ვალდებული დაიცვას სამართლებრივი სიკეთე და აიცილოს დანაშაულებრივი შედეგი<sup>65</sup>. მიუხედავად იმისა, რომ უმოქმედო გარანტის ქმედებას ფრისტერი ამსრულებლობად აკვალიფიცირებს, არ გამორიცხავს უმოქმედო გარანტის დამხმარედ მიჩნევის და უმოქმედობით დახმარების შესაძლებლობას. თუმცა, მიუთითებს, რომ არსებობს მეტად ვიწრო სფერო უმოქმედო გარანტის დამხმარედ მიჩნევისთვის. კერძოდ, ეს არის ის შემთხვევა, როცა უმოქმედო პირი ერთი მხრივ, გარანტია, მაგრამ მეორე მხრივ, სახეზე არ არის კონკრეტული შემადგენლობის ამსრულებლობისთვის საჭირო პერსონალური ნიშნები. მაგალითად, როცა საქმე ეხება მიზნით დაფუძნებულ დელიქტს (თაღლითობას), მაგრამ უმოქმედობა არ ხორციელდება უმართლობის დამაფუძნებელი სუბიექტური ნიშნით. ან მაგალითად, მამა ხელს არ უშლის მისი შვილის ცოცხალ იარაღად გამოყენებას ქურდობის განსახორციელებლად, როცა მამის უმოქმედობას საფუძვლად არ უდევს ქურდობის უმართლობის დამაფუძნებელი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი<sup>66</sup>.

ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნისთვის იმის გათვალისწინება, უმოქმედობის დროს რა სახის გარანტს ეხება საქმე, საგულსხმო თვალსაზრისად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ჩვენ არ გავითვალისწინებდით გარანტორული მოვალეობის სახეობას, ქურდობის თანამსრულებლად უნდა მიგვეჩნია დარაჯი, რომელიც თავისი

უმოქმედობით ხელს უწყობს ქურდობის ამსრულებელს. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამასთან ერთად გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს ქურდობის უმართლობის დამაფუძნებელი მიზნის არსებობაც. აქედან გამომდინარე გაუგებრობას ინვევს სუბიექტური თეორიის კრიტიკასთან დაკავშირებით თ. ნერეთლის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს მიზნის ან ინტერესის ცნება არ ეკუთვნის დანაშაულის შემადგენლობას და ამიტომ არ შეიძლება გამოდგეს ამსრულებლის ცნების დახასიათების კრიტერიუმად<sup>67</sup>.

მოსაზრება, რომ უმოქმედოდ მყოფი გარანტი არის ამსრულებელი, გაზიარებულია ქართულ სისხლის სამართალშიც. მაგალითად, ო. გამყრელიძე მკვლელობის ამსრულებლად მიიჩნევს მამას, რომელიც დედას ხელს არ უშლის შვილის მკვლელობაში. ავტორი საკითხის ასეთი გადაწყვეტის დასასაბუთებლად უთითებს იმ არგუმენტს, რომ უმოქმედოდ მყოფი გარანტის უმოქმედობა ისევეა მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, როგორც აქტიურად მოქმედი დამნაშავის ქმედება<sup>68</sup>.

უ. ებერტი, რომელიც შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნას პრობლემატურად და მეტად საკამათოდ მიიჩნევს, აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის დანაშაულის არაცილებისას არ გამორიცხავს უმოქმედობით როგორც ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის შესაძლებლობას. უმოქმედო გარანტის ამსრულებლობას ასაბუთებს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოვალეობის – შედეგის თავიდან აცილების მოვალეობის შეუსრულებლობით. მაგალითად, „ა“-მ იცის „ბ“-ს გეგმა, რომ აპირებს მისი ქმრის „გ“-ს მოკვლას, მაგრამ იჩენს უმოქმედობას და ამის შესახებ

<sup>64</sup> Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Auflage, 2019, S. 525-526, Rn. 1217.

<sup>65</sup> Frister H., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 7. Auflage, 2015, S. 403, Kap. 26, Rn. 40.

<sup>66</sup> Frister H., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 7. Auflage, 2015, S. 446, Kap. 28, Rn. 53.

<sup>67</sup> იხ. ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 97.

<sup>68</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 281.



არ აფრთხილებს ქმარს, ვინაიდან მისი მოკვლა სურს. ებერტი ასეთ შემთხვევაში „ა“-ს თვლის ამსრულებლად. უმოქმედოს მაშინ აღიარებს დამხმარედ, როცა ის ქმედების შემადგენლობის ამსრულებლობის წინაპირობებს არ ასრულებს (საკუთარი ხელით-, სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენ, და მოვალეობის დელიქტებში, ისევე როგორც იმ დელიქტებში, სადაც ამსრულებელი შესაბამისი სუბიექტური ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს). ებერტიც ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად მნიშვნელოვან კრიტერიუმად ქმედებაზე ბატონობას ასახილებს. ის, ვინც ქმედებაზე ბატონობს, არის ამსრულებელი. მისი მოსაზრებით, ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის ზოგადი კრიტერიუმები მოქმედებს უმოქმედობის დროსაც, თუმცა უმოქმედობის ფარგლებში ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად არსებითად მიაჩნია ის, თუ რა სახის გარანტიორული მოვალეობა ეკისრება პირს. თუ საქმე ეხება დამცავ გარანტს, ის არის ამსრულებელი, ხოლო ზედამხედველი გარანტის შემთხვევაში მხოლოდ დამხმარე. მამა, რომელიც თავიდან არ იცილებს თავისი შვილის მკვლელობას მესამე პირის მიერ, არის ამსრულებელი. უმოქმედობით დამხმარე იქნება, თუ თავის მცირეწლოვან შვილს არ შეუშლის ხელს განზრახი დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ბრალუუნარო შვილისთვის ხელის არშეშლისას უმოქმედობით ამსრულებელი<sup>69</sup>. მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობრივია, ვინაიდან მცირეწლო-

ვანი ამავდროულად ბრალუუნაროა. შესაბამისად, მამის მიერ მცირეწლოვანი შვილისთვის ხელის არშეშლა იგივეა, რაც ბრალუუნარო შვილის ქმედების არაცილება. ამდენად, მათი დიფერენცირება ალოგიკურია. განსხვავება მხოლოდ იმაში შეიძლება იყოს, რომ ბრალუუნარობა უფრო ფართო ცნებაა და იგი ფსიქიკურ შეურაცხადობასაც მოიცავს. მცირეწლოვნისთვის ან სხვა მიზეზით არაბრალუუნარისთვის ხელის არშეშლა განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს ლიმიტირებული აქცესორული თეორიის<sup>70</sup> და არა ლოგიკური აქცესორობის თეორიის მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული თეორია თანამონაწილეობისთვის ამსრულებლის სახით მოითხოვს არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, არამედ ასევე ბრალეული ქმედების ჩამდენს<sup>71</sup>. აქედან გამომდინარე, ამ თეორიის მიხედვით უმოქმედო გარანტი, რომელიც მცირეწლოვნობის თუ სხვა გარემოების გამო ბრალუუნაროს ხელს არ უშლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, იქნება არა დამხმარე, არამედ შუალობითი ამსრულებელი<sup>72</sup>.

ვ. გროპი და ა. ზინიც ამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად ერთი მხრივ, გასათვალისწინებლად თვლიან იმას, თუ რა სახის გარანტს ეხება საქმე და დამცავ გარანტს ამსრულებლად, ხოლო ზედამხედველ გარანტს დამხმარედ მიიჩნევენ, თუმცა, ასევე მიუთითებენ იმასაც, რომ თუ ასეთი მკაფიო გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ

<sup>69</sup> Ebert U., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, 2001, S. 192.

<sup>70</sup> აღნიშნულ თეორიას ქართულ სისხლის სამართალში მხარს უჭერენ: *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 333; *თუმანიშვილი გ.*, დანაშაულის ჩადენისაკენ საჯარო მონოდება, ცხოვრება და კანონი, სპეციალური გამოშვება, ეძღვნება ოთარ გამყრელიძის 80 წლის იუბილეს, 2012, 33.

<sup>71</sup> აღნიშნულ თეორიას ქართულ სისხლის სამართალში მხარს უჭერენ: *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, 76; *მჭედლიშვილი-*

*ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, 204-208; *ნაჭყებია გ.*, *თოდუა ნ.*, ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018, 300.

<sup>72</sup> საკითხის ასეთი გადაწყვეტა ქურდობის მაგალითზე იხ. *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 354, 358; *Kindhäuser/Böse, Strafrecht, Besonderer Teil II, Straftaten gegen Vermögensrechte*, 11. Auflage, 2021, S. 50, §2 Rn. 60.

მნიშვნელოვანია, უმოქმედობა წარმოადგენს საკუთარი ნების თუ სხვისი ნების გამოხატულებას, სადაც უმოქმედო სხვის ნებას არის დაქვემდებარებული, სადაც მოვლენები მიმდინარეობს უმოქმედოდ მყოფის მონაწილეობის და შედეგით დაინტერესების გარეშე<sup>73</sup>.

კ. ჰოფმან-ჰოლანდი, რომელიც ასევე იზიარებს შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნის ფუნქციონალურ თეორიას, მიუთითებს დამცავი და ზედამხედველი გარანტიის გამიჯვნის არამდგრადობაზე, ვინაიდან მისი მოსაზრებით, იდენტური გარანტორული მოვალეობები შეიძლება განიმარტოს როგორც დამცავი, ისე ზედამხედველი გარანტიის მოვალეობად. გერმანიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რესტორნის მფლობელი, რომელიც რესტორნის კლიენტებს ხელს არ უშლის ახალგაზრდა ქალის დაზიანებაში, არ ასრულებს გარანტორულ მოვალეობას, უზრუნველყოს წესრიგი იმ ოთახებში, რომელზეც მას ჰქონდა ძალმოსილება, კერძოდ, დაიცვას სტუმრები სხვა სტუმრების ექსცესებისგან. ავტორის მოსაზრებით, ამდენად გაურკვეველი რჩება, რესტორნის მფლობელი არის რესტორნის სტუმრების დამცავი გარანტი თუ რესტორნის სხვა სტუმრებისგან მომდინარე საფრთხის წყაროს ზედამხედველი გარანტი<sup>74</sup>.

დასახელებული გაურკვეველობის მიუხედავად, რომელიც თან ახლავს გარანტორთა დიფერენცირებას, ავტორს ამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად მიზანშეწონილად მიაჩნია ფოკუსირება გარანტორულ მოვალეობასა და დაზიანებულ სამართლებრივ სიკეთეს შორის ურთიერთმიმართებაზე. ავტორი ერთმანეთისგან

მიჯნავს ერთი მხრივ, სიტუაციაზე დამოკიდებულ და მეორე მხრივ, სიტუაციისგან დამოუკიდებელ გარანტორულ მოვალეობებს. ავტორის თვალსაზრისით, თუ საქმე ეხება სიტუაციაზე დამოკიდებულ გარანტორულ მოვალეობას, უმოქმედო გარანტი არის მოვლენების არაცენტრალური ფიგურა და მხოლოდ დამხმარე, ვინაიდან მისი მოვალეობა ეხება იმ სიტუაციას, რომელშიც დანაშაული ხორციელდება და რომელიც კონტროლდება აქტიურად მოქმედის მხრიდან. სიტუაციასთან დაკავშირებული გარანტორული მდგომარეობა გულისხმობს დაცვის ფუნქციის გადაცემას, გარანტორულ მდგომარეობას წინარე ქმედებიდან გამომდინარე და საფრთხის წყაროზე ბატონობას. თუ გარანტორული მდგომარეობა არ არის სიტუაციის წარმონაქმნი და სიტუაციისგან დამოუკიდებლად არსებობს, ირელევანტურია სამართლებრივ სიკეთეს საფრთხე საიდან ემუქრება. გარანტს, რომელმაც სიტუაციისგან დამოუკიდებლად უნდა დაიცვას სამართლებრივი სიკეთე, ზოგადად აქვს პირდაპირი მიმართება სამართლებრივ სიკეთესთან. აქედან გამომდინარე, გარანტი, რომელიც სიტუაციაზე არ არის დამოკიდებული, სამართლებრივ სიკეთეზე თავდასხმისას ყოველთვის არის ცენტრალური ფიგურა და ამდენად ამსრულებელი. სიტუაციისგან დამოუკიდებელი გარანტორული მოვალეობა, რომელიც ამსრულებლობას აფუძნებს, სახეზეა საოჯახო სამართალზე დაფუძნებულ ურთიერთობებში, როგორცაა ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის და პირიქით, როცა აღნიშნულ პირებს შორის არსებობს რეალური საოჯახო პარტნიორული ურთიერთობა. სასტუმროს მფლობელის შემთხვევაში, რომელიც მდებარეობითი სქესის სტუმრის ხელყოფას ოთხი მამაკაცის

<sup>73</sup> Gropp W., Sinn A., Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 2020, §11 Rn. 43, S. 507-508.

<sup>74</sup> Hoffmann-Holland K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2015, S. 309-310, Rn. 806. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ

რესტორნის მფლობელი შეიძლება იყოს როგორც დამცავი, ისე ზედამხედველი გარანტი. Krüger M., Beteiligung durch Unterlassen an fremden Straftaten, ZIS 2011, S. 7.

მხრიდან თავიდან არ აირიდება, საკითხავია გარანტორული მოვალეობა სიტუაციიდან გამომდინარეობს თუ სიტუაციისგან დამოუკიდებლად არსებობს. სასტუმროს მფლობელის მოვალეობაა რესტორანში უზრუნველყოს ისეთი მდგომარეობა, რომ მდებარეობითი სქესის სტუმარი არ დაზიანდეს. მისი მოვალეობა არის სიტუაციაზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ოთხი მამაკაცის მიერ ქალზე თავდასხმისას რესტორნის მფლობელი დანაშაულში მხოლოდ მონაწილეობს და ამიტომ უმოქმედობით მხოლოდ დახმარებისთვის უნდა დაისაჯოს<sup>75</sup>.

მ. კრუგერი აკრიტიკებს კ. ჰოფმან-ჰოლანდის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი გარანტორულ მოვალეობას მიჯნავს სიტუაციაზე დამოკიდებულ და სიტუაციისგან დამოუკიდებელ გარანტორულ მოვალეობად და აღნიშნავს, რომ ორივე სახის მოვალეობა შეიძლება ერთდროულად გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ, რის გამოც მას დასახელებული ავტორის მიერ შემოთავაზებული დიფერენცირება, გარანტორული მოვალეობისა, არამდგრადად მიაჩნია. მისი შეხედულებით, გარანტორულ მოვალეობათა დიფერენცირება შინაარსის მიხედვით ყოველთვის არ არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იდენტური გარანტორული მოვალეობები შეიძლება როგორც დამცავი, ისე ზედამხედველი გარანტის მოვალეობად განიშარტოს. კრუგერი აღნიშნულთან დაკავშირებით ასახელებს შემთხვევას, როცა პირი ლეგალურად ფლობს იარაღს და საკმარისად უსაფრთხოდ არ ინახავს მას, რის გამოც აღნიშნული იარაღი იქნება გამოყენებული მისი შვილების სკოლის დასარბევად. იარაღის მესაკუთრე იარაღთან დაკავშირებით არის

სიტუაციაზე დამოკიდებული (ზედამხედველი) გარანტი, ხოლო შვილის მიმართ არის სიტუაციისგან დამოუკიდებელი დამცავი გარანტი<sup>76</sup>.

უ. ქინდჰაიზერის შეხედულებით, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა იმიტომ უნდა გაიმიჯნოს გარანტორული მოვალეობის სახეობის მიხედვით, რომ დამცავი გარანტი ამსრულებლად მიჩნეულ უნდა იქნას ინსტიტუციონალური ზრუნვის გამო სამართლებრივ სიკეთესთან განსაკუთრებული სიახლოვის საფუძველზე. თუმცა, ქინდჰაიზერი დამცავ გარანტს ყოველთვის როდი მიიჩნევს ამსრულებლად. კერძოდ, როცა საქმე ეხება ქმედების შემადგენლობის სპეციფიურ ნიშანს (მაგალითად, მიზანს) და იგი არ არის სახეზე ან დასჯადი დანაშაული არის საკუთარი ხელით ჩასადენი<sup>77</sup>. ხოლო ზედამხედველი გარანტის შემთხვევაში რისკზე ბატონობის მიხედვით უნდა მოხდეს ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა. როგორც ნესი, თანამონაწილეობას აქვს ადგილი, თუ უმოქმედოდ მყოფი რისკზე ზედამხედველობის ნაკლებობის გამო შესაძლებელს ხდის აქტიურად მოქმედის მიერ დანაშაულის ჩადენას<sup>78</sup>.

## 8. საკუთარი შეფასება და შემაჯამებელი დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ აქტიურად მოქმედი ბოროტმოქმედის დანაშაულის არაცილება გარანტის მიერ ანუ გარანტის უმოქმედობა აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში შეიძლება წარმოადგენდეს ამსრულებლობას ან დახმარებას. დანაშაულის კონკრეტულად რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე, დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა სახის გარანტს

<sup>75</sup> Hoffmann-Holland K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2015, S. 310-311, Rn. 807.

<sup>76</sup> Krüger M., Beteiligung durch Unterlassen an fremden Straftaten, ZIS 2011, S. 6.

<sup>77</sup> Kindhäuser U., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, 2017, S. 343, §38 Rn. 71-72.

<sup>78</sup> Kindhäuser U., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, 2017, S. 343, §38 Rn. 73.

ეხება საქმე. ამავედროულად გასათვალისწინებელია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის აღწერილობა და დანაშაულის ბუნება, ვინაიდან სუბიექტური ნიშნით დაფუძნებულ დელიქტებში ამსრულებლობა შესაბამის სუბიექტურ ნიშანსაც მოითხოვს და ამსრულებლობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გარანტიის უმოქმედობა. აღნიშნული იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ რიგ შემთხვევებში სუბიექტური ნიშანიც არ არის ირელევანტური ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად. არასწორი იქნებოდა ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად საერთოდ გამოგვერიცხა სუბიექტური მომენტის მნიშვნელობა.

უმოქმედო გარანტი რომ ამსრულებელს შეიძლება წარმოადგენდეს ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა სისხლის სამართლის კოდექსში განსაცდელში მიტოვების შემადგენლობის არსებობა. განსაცდელში მიტოვება გულისხმობს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის დახმარების გაუწევლობას და უმოქმედობას, მაშინ როცა გარანტორს შეეძლო დახმარებოდა განსაცდელში მყოფს. ადამიანი განსაცდელში შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა მიზეზით და მათ შორის ბოროტმოქმედის თავდასხმის შედეგად. ხოლო თუ განსაცდელში მიტოვებას მოჰყვა ლეტალური შედეგი, პირს პასუხისმგებლობა სწორედ დამდგარი შედეგისთვის დაეკისრება, როგორც ამსრულებელს.

შედეგის დადგომამდე გარანტის მხოლოდ უმოქმედობა დაკვალიფიცირდება განსაცდელში მიტოვებად თუ უმოქმედობით მკვლელობის მცდელობად, დამოკიდებულია შედეგისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარანტის უმოქმედობის კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელია შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულებაც. გარანტი თავისი უმოქმედობით არა მხოლოდ განსაცდელში მიტოვების, უმოქმედობით მკვლელობის თუ მკვლელობის მცდელობის,

არამედ ასევე ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამსრულებელიც შეიძლება იყოს, ვინაიდან მათ შორის სხვაობა მხოლოდ სამართლებრივ სიკეთეშია. ალოგიკური იქნებოდა გარანტის უმოქმედობა, ერთი მხრივ, ამსრულებლობად დაგვეკვალიფიცირებინა განსაცდელში მიტოვების, მკვლელობის მცდელობის, მკვლელობის დროს და მეორე მხრივ, გამოგვერიცხა გარანტის უმოქმედობით ამსრულებლობა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში უმოქმედობით ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვისაც მსხვერპლზე ზრუნვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა აკისრია (სსკ-ის 109-ე მუხლის პენიშვნაში ჩამოთვლილ პირთა წრე). ის, ვინც არ არის ასეთი მოვალეობის სუბიექტი, ვერ იქნება დასახელებულ დანაშაულებში უმოქმედობით ამსრულებელი. ასეთ სუბიექტად შეიძლება მივიჩნიოთ დამცავი და მზრუნველი გარანტი. როცა აქტიური მოქმედებით თავდამსხმელის ქმედებით მსხვერპლი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ვარდება და უმოქმედობას იჩენს ის, ვინც არ არის დამცავი, მზრუნველი გარანტი, რომელიც მსხვერპლს არ ეხმარება თავდასხმის მოგერიებაში, უმოქმედობა დაუხმარებლობად დაკვალიფიცირდება. ხოლო იმნუთიერი და რეალური საფრთხის არარსებობისას გასათვალისწინებელია დანაშაულის შეუტყობინებლობის დასჯადობასთან დაკავშირებით არსებული ნორმა (376-ე მუხ.).

ზედამხედველი გარანტი რომ დამხმარეს შეიძლება წარმოადგენდეს, ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როცა პირი (პირობითად „ა“) იარაღს ინახავს არასაკმარისად უსაფრთხო პირობებში, სადაც იარაღისთვის ხელი შეიძლება მიუწვდებოდეს სხვა პირსაც, რომელსაც იარაღი არ ეკუთვნის. ამ შესაძლებლობას იყენებს „ა“-ს ნათესავი „ბ“ და ეუფლება „ა“-

ს იარაღს მკვლევლობის ჩასაღწეად. „ა“ შეგნებულად ხელს არ უშლის „ბ“-ს იარაღის დაუფლებაში. „ბ“ აღნიშნული იარაღის გამოყენებით განახორციელებს მკვლევობას. „ა“ მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზედამხედველი გარანტი (საფრთხის წყაროსთან მიმართებით), არის მკვლევობის არა ამსრულებელი, არამედ დამხმარე, თანამონაწილე. ანგლოამერიკული სისხლის სამართლის დოგმატიკაში ცალკეულ ავტორთა შეხედულებისა და პრაქტიკისგან განსხვავებით<sup>79</sup>, ქართული<sup>80</sup> და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მკვლევობაში და ზოგადად დანაშაულში თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობა მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას თანამონაწილის ქმედებასა და შედეგს შორის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ თანამონაწილის ქმედება დანაშაულებრივ შედეგს უშუალოდ კი არ უკავშირდება, არამედ გაშუალებული გზით, ამსრულებლის ქმედების მეშვეობით. თუ ამსრულებელი არის მოვლენის ბატონ-პატრონი და ცენტრალური ფიგურა, იგივე მოთხოვნა დამხმარეს არ წაყენება. დამხმარე ისჯება არა იმიტომ, რომ უმართლობა დამოუკიდებლად განახორციელა, არამედ ამსრულებლის უმართლობაში მონაწილეობისთვის. თუმცა, ამსრულებლის უმართლობაში მონაწილეობა და დანაშაულებრივ შედეგთან დამხმარის ქმედების მიზეზობრიობა უპირობოდ არ მოითხოვს იმას, რომ ქმედება წარმოადგენდეს იმ აუცილებელ პირობას შედეგისთვის, რომლის გარეშეც შედეგი არ დადგებოდა, არამედ საკმარისია მას წვლილი შეჰქონდეს დანაშაულის განხორციელებაში ამსრულებლის

მიერ დანაშაულის განხორციელების რისკის ამაღლების<sup>81</sup>, ამსრულებლისთვის დანაშაულის ჩადენის გამარტივების, დანაშაულისთვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შედეგთან ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედების მიზეზობრიობის დადგენა ვერ დაეფუძნება ერთსა და იმავე კრიტერიუმებს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ ამსრულებლისგან განსხვავებით, დამხმარე არის დანაშაულში მეორეხარისხოვანი მონაწილე.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით უმოქმედობის მიზეზობრიობა მოითხოვს ერთ-ერთ წინაპირობად ისეთ სუბიექტს, რომელსაც მოქმედების სპეციალური-სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება. ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება ასეთ პირად ვცნოთ ის, ვინც მსხვერპლის მიმართ არ წარმოადგენს დამცავ გარანტს და არის მხოლოდ ზედამხედველი გარანტი? არა მხოლოდ დამცავი, არამედ ზედამხედველი გარანტიც არის პირი, ვისაც მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება. თუმცა, სამართლებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით დამცავი და ზედამხედველი გარანტი ერთმანეთს არ უთანაბრდება. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების ვალდებულება არა მხოლოდ დამცავ, არამედ ზედამხედველ გარანტსაც ეკისრება, მათ დიფერენცირებას რიგ შემთხვევებში მნიშვნელობა ენიჭება ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნისთვის.

ზედამხედველი გარანტი შეიძლება ზოგჯერ დანაშაულის ამსრულებლადაც მოგვევლინოს, როცა ზედამხედველი გა-

<sup>79</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. *ნიქარიშვილი კ.*, დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ და ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, 2016, 1, გვ. 315, 318 და შემდგომი.

<sup>80</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 12; *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 236; *ნაჭყებია გ.*, ნიგნში: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვა-

ნელო, თბ., 2007, გვ. 191; *მახარაძე ა.*, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისთვის, თბ., 2006, გვ. 41.

<sup>81</sup> *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 233; *Ebert U.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, 2001, S. 214; *Roxin C.*, *Strafrecht, AT*, Band II, München, 2003, S. 192-193, §26 Rn. 184.

რანტი ხელს არ უშლის მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში იმ პირს, ვისზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობა ზედამხედველ გარანტს ეკისრება. მაგალითად, მშობელი თავის მცირეწლოვან შვილს ხელს არ უშლის მეზობლის მცირეწლოვანი შვილის მკვლელობაში. ამ შემთხვევაში ზედამხედველი გარანტი ლოგიკური აქცესორობის თეორიის მიხედვით არის არა თანამონაწილე, არამედ შუალობითი ამსრულებელი. თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ უმოქმედო პირი არ იქნებოდა ზედამხედველი გარანტი, სახეზე იქნებოდა დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხ.).

დამცავი გარანტის უმოქმედობა ამსრულებლობას ან დახმარებას (თანამონაწილეობას) შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში. როცა საქმე ეხება მიზნით დაფუძნებულ დელიქტს (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა), გარანტის უმოქმედობა ამსრულებლობად რომ დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია გარანტი უმოქმედობას იჩინდეს სწორედ უმართლობის დამაფუძნებელი სუბიექტური ნიშნით. ასეთი ნიშნის გარეშე გარანტის უმოქმედობა დახმარებად დაკვალიფიცირდება (მაგალითად, როცა ქმარი ცოლს არაფერს ეუბნება მოსალოდნელი ყაჩაღური თავდასხმის შესახებ).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში უმოქმედობით დახმარების

განხორციელება შეუძლია როგორც დამცავ და მზრუნველ, ისე ზედამხედველ გარანტსაც. ამ უკანასკნელის მხრიდან დახმარების (დანაშაულში თანამონაწილეობის) მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ დარაჯის მიერ უმოქმედობით დახმარების შემთხვევა, როცა იგი ხელს არ უშლის ქურდობის ამსრულებელს და აძლევს დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობას (გასაქურდი ბიექტის კარის დაუკეტავად დატოვება).

მხოლოდ გარანტორულ მოვალეობათა დიფერენცირების შედეგად, აბსტრაქტულად, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია იმის თქმა, საქმე ეხება ამსრულებელს თუ თანამონაწილეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის ვინც ერთ შემთხვევაში არის გარანტორი, შეიძლება გარანტორად არ მიიჩნეოდეს სხვა შემთხვევაში. მაგალითად, მაშველს ეკისრება მოქმედების სპეციალურ-სამართლებრივი მოვალეობა, როცა პირს ზღვაში დახრჩობის საფრთხე ემუქრება, მაგრამ მას ასეთივე სახის მოვალეობა არ ეკისრება, თუ პირს არა ზღვაში დახრჩობის, არამედ აქტიურად მოქმედი (თავდამსხმელისგან) ბოროტმოქმედისგან ემუქრება საფრთხე. იგივე ითქმის მეხანძრეზეც. ყოველივე აღნიშნული იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ პირი არის თუ არა გარანტი, ხოლო დამცავი და ზედამხედველი გარანტი ამსრულებელია თუ თანამონაწილე, დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე და იგი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## **კრედიტის დაზღვევა მხარსხაბლის სიცოცხლის ფორმით და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის კომპეტენცია**

რუსუდან თოიძე

სს „საქართველოს ბანკის“ სახელშეკრულებო სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

*„სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს არა მხოლოდ პოლისს, არამედ - ჩვენი ოჯახისთვის სიყვარულის დადასტურებას, ფინანსური უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად“  
ჯონ სმიტი*

### **I. შესავალი**

სადაზღვევო ურთერთობები დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვნად მომრავლდა, რაც განპირობებულია ურთერთობების განვითარებითა და მრავალფეროვნებით. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირს, თავისი სტაბილური და უსაფრთხო მომავლისთვის, სურს დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება. კრედიტი, როგორც სასყიდლიანი სესხის ფორმით გაცემული აქტივი, ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. საფინანსო სექტორის მიერ გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კრედიტის ამღების/მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა.

დაზღვევის ძირითადი მარეგულირებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონშია გა

წერილი. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა), დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა) და დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა). საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც სადაზღვევო ურთიერთობებს სამ ტიპად აჯგუფებს, თუმცა, იგი განსხვავდება კანონისეული ტიპოლოგიისგან და მოიცავს ზიანის დაზღვევას, სიცოცხ-

ლის დაზღვევას და უბედური შემთხვევის დაზღვევას.<sup>1</sup> ლიტერატურაში დაზღვევის ობიექტების მიხედვით განასხვავებენ ქონებრივ და პირად დაზღვევას. თუ დაზღვევის ობიექტია ნებისმიერი ქონება, მაშინ უნდა გაფორმდეს ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისას ფორმდება პირადი დაზღვევის ხელშეკრულება.<sup>2</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ კრედიტის ფარგლებში გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევის არსის, ფარგლების, ამ ურთიერთობის მონაწილე პირების ინტერესის განსაზღვრა, დაზღვევის სტანდარტული პირობების გამოკვეთა, მოთხოვნის წარდგენის კომპეტენციის იდენტიფიცირება და ევროპული მიდგომის ანალიზია.

## II. სიცოცხლის დაზღვევა

XVII საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო სიცოცხლის დაზღვევის, როგორც სადაზღვევო ბიზნესის ცალკე დარგის განვითარება. სიცოცხლის დაზღვევის, ასევე უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის წარმოშობაზე გავლენა იქონია მრეწველობის განვითარებამ. საწარმოებში ჯერ კიდევ არ არსებობდა უსაფრთხოების აუცილებელი პირობები, ამიტომ ხშირი იყო დასაქმებულთა მასობრივი საწარმოო დაზიანება. მენარმეები ცდილობდნენ თავიანთი პერსონალი უზრუნველყოფილი ჰყოლოდა სიცოცხლის, წარმოებაში უბედური შემთხვევებისგან და ჯანმრთელობის დაზღვევით.<sup>3</sup>

2013 წლამდე მომხდარმა ორმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა არსებითად იმოქმედა სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიაზე.<sup>4</sup> საქართველოში სიცოცხლის დაზღვევა 1995-2005 წლებში ყველაზე ბევრჯერ 2000 წელს გაიცა და

იყო 335 ერთეული, რაც რეგიონის მასშტაბით 0.26%, ხოლო მსოფლიო მასშტაბით მიზერული ოდენობის იყო.<sup>5</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 844-ე მუხლში მოცემულია დაზღვევის სუბიექტის ფარგლები, კერძოდ, თავად დამზღვევი ან სხვა პირი. ამასთან, დაზღვეულის ნების გამოხატვა აუცილებელია. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებელს ხდის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, რომლის საფუძველზეც, დაზღვეული პირის გარდაცვალებისას, მზღვეველი მოვალე გახდება დააკმაყოფილოს გარდაცვლილი დაზღვეულის კრედიტორები.<sup>6</sup>

სიცოცხლის დაზღვევა ემსახურება დამზღვევის შემოსავლისა და კაპიტალის გარანტიას მისი გარდაცვალების შემთხვევაში.<sup>7</sup> სიცოცხლის დაზღვევის მიზანი დამზღვევის გარდაცვალებისას მისი მემკვიდრისთვის დაზღვეული ვალდებულებების ანაზღაურებაა. აღნიშნული სარგებელი გარდაცვლილზე დამოკიდებული პირების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს და არა ადამიანის გარდაცვალებით გამონეული მორალური ზიანის კომპენსაციას.<sup>8</sup> დაზღვევა იძლევა შესაძლებლობას, დამზღვევა თავიდან აიცილოს შემთხვევითი და გაურკვეველი ზარალი, კონკრეტული თანხის გადახდის სანაცვლოდ, რაც ამცირებს გაურკვეველობას და მძიმე შედეგებს.<sup>9</sup>

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი და სასყიდლიანი გარიგებაა. მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმებით, ორი ურთიერთმფარავი ნებით, რომლის საფუძველზეც დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, ხოლო მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი. დაზღვევის ხელშეკ-

<sup>1</sup> *მონონელიძე ნ.*, სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 79.

<sup>2</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი II, სამართალი 2001, 40.

<sup>3</sup> *ვერულავა თ.*, დაზღვევის ისტორია, თბილისი 2018, 20;

<sup>4</sup> *Dionne G.*, Handbook of Insurance, Second Edition, 2013, 1061.

<sup>5</sup> *Icon Group Ltd.*, The 2000-2005 World Outlook for Life Insurance Sold by Life Insurance Companies, 2002 66.

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე, საქმე №ას-171-2023;

<sup>7</sup> *Dionne G.*, Handbook of Insurance, 2000, 901.

<sup>8</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 96.

<sup>9</sup> *Merkin R.*, INSURANCE LAW AN INTRODUCTION, 2007, 1.



რულება არის ალელატორული ბუნების, რაც გულისხმობს, რომ მზღვეველი მოვალეა შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალიზდა რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მოვლენის დადგომაზეა დამოკიდებული, ეს არ ნიშნავს მის პირობითობას. პირობითი გარიგება იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ დადგება კონკრეტული გარემოება, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა შეთანხმებისთანავე, თუმცა მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა კონკრეტული რისკის რეალიზების შემდეგ.<sup>10</sup>

თანამედროვე სამყაროში მრავლადაა ყოველდღიური ურთიერთობები, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას. მათ შორის, არის სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში, კონკრეტულ მიზნებს ისახავს: უპირველესად, დამზღვევის გარდაცვალების შედეგად დარჩენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაა, რომელიც ფართო მასშტაბით უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას. ამასთან, კრედიტის უწყვეტობა. თავის მხრივ, აღნიშნული ერთგვარი სიმშვიდის გარანტია მემკვიდრეებისთვის, გარდაცვალების სტრესის პერიოდში შეუძლიათ, დაცულად დარჩნენ კრედიტორებისგან და ვალდებულებების შესრულების საშუალებების მოძიება/დაგეგმვისგან.

### 1. სიცოცხლის დაზღვევის სახეები

დაზღვევის დოქტრინაში ერთმანეთისგან იმიჯნება სიცოცხლის დაზღვევის ორი ხელშეკრულება. კერძოდ: პირველი, რომლითაც დამზღვევი საკუთარ სიცოცხლეს აზღვევს და მეორე, რომლითაც დაზღვეულია მესამე პირის სი-

ცოცხლე.<sup>11</sup> საკუთარი თავის დაზღვევის შემთხვევაში რისკი არის გარდაცვალება, რომლის რეალიზაციის ხელოვნურად დადგომის ალბათობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მესამე პირის შემთხვევაში. სწორედ ამ ალბათობის მაქსიმალურად შემცირებისკენ არის მიმართული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 849-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისათვის, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევმა უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია ასეთი პირის სიკვდილი, ასევე თუ სიცოცხლის დაზღვევისას მესამე პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, ეს უფლება არ იქნება აღიარებული, თუ მან უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია იმ პირის სიკვდილი, რომლის სიცოცხლეს დაზღვეული იყო. მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო საზღაურის გაცემამდე გაირკვეს, სადაზღვევო შემთხვევა თვით დამზღვევის განზრახი ქმედებით ხომ არ არის გამოწვეული.<sup>12</sup>

მოტყუებით ჩადენილი დარღვევების, უკანონო კომპენსაციის მიღების, გახსნილობის მოვალეობის დარღვევისა და მოვალეობათა განზრახი დარღვევის გამო წარმოშობილ პასუხისმგებლობას დირექტორთა სადაზღვევო პოლისი არ ფარავს.<sup>13</sup>

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები იმის მიხედვითაც იმიჯნება, თუ რა ტიპის ხლომილებას წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევა. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან განასხვავებენ სარისკო და სიცოცხლის დაგროვებითი დაზღვევის ხელშეკრულებებს.<sup>14</sup>

<sup>10</sup> Fischer E., The Rule of Insurable Interest and the Principle of Indemnity: Are They Measures of Damages in Property Insurance?, "William & Mary Law School Scholarship Repository", Faculty Publications, 1981, 446.

<sup>11</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016.

<sup>12</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი II, სამართალი 2001, 171.

<sup>13</sup> მახარობლიშვილი გ., ანაზღაურება და დაზღვევა, როგორც კაპიტალურ საზოგადოებათა ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობისგან დაცვის სამართლებრივი გარანტი, „სამართლის ჟურნალი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, # 1, 2012, 121.

<sup>14</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 98.

### III. სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება

ურთიერთობები ადამიანებსა შორის წარმოიშობა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ხოლო სამართალი ამ ურთიერთობების ნორმატიულ რეგულირებას ახდენს, რის გამოც საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლებრივ ხასიათს იძენს და სამართლებრივ ურთიერთობებად იქცევა.<sup>15</sup> დაზღვევის მრავლად გამოყენებამ და განვითარებამ საჭირო გახადა უკეთესი რეგულირება.

1997 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა კანონი დაზღვევის შესახებ, ხოლო იმავე წლის 29 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნებისთვის. 2007 წლის 11 ივლისს აღნიშნულ კანონში შესული ცვლილებების თანახმად სამსახურმა შეწყვიტა ფუნქციონირება და მისი სამართალმემკვიდრე გახდა - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

2008 წლის 14 მარტს განხორციელდა ცვლილება—დამატებები „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში და სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქციები დაემატა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს — „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შექმნილ ორგანოს, რომელიც ახორციელებდა ზედამხედველობას ზოგადად საფინანსო სექტორზე.

2009 წლის 24 სექტემბერს გატარდა ცვლილება—დამატებები „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში და სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქცია შეითავსა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ხოლო სამსახური გადაიქცა მის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფად.

2013 წლის 20 მარტს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომელთა საფუძველზე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულიდან (დეპარტამენტი) გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2013 წლის 02 მაისს დამტკიცდა სამსახურის დებულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურმა მთლიანად შეითავსა ეროვნული ბანკის უფლება—მოვალეობები დაზღვევისა და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში.<sup>16</sup>

#### 1. მაკონტროლებელი ორგანოს სტატუსი, ფუნქციები და კონტროლის მექანიზმები

დაზღვევის შესახებ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სამსახური, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაზღვევის სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე, დამოუკიდებელი ორგანოა. ამასთან, სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სამსახურის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთო-

<sup>15</sup> ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, მერიდიანი, თბილისი 2019, 299.

<sup>16</sup> სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდი.

დოლოგიური ბაზის შექმნას და მისი შესრულების კონტროლს, ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე პროექტების შემუშავებას არსებულელებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურს კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვს რელევანტური უფლებამოსილებები, რომლებიც საჭიროა მიზნის მისაღწევად. მათ შორის და არამხოლოდ, სამსახური უფლებამოსილია: გასცეს და გააუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, განახორციელოს სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება, ზედამხედველობა გაუწიოს და მზღვეველის, სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სანქციები, განსაზღვროს მზღვეველის კაპიტალის სახეები, შექმნას მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო დოკუმენტაცია სადაზღვევო საკითხების შესახებ, შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქციები და ნორმატიული აქტები სადაზღვევო საქმიანობისა და დაზღვევის სფეროში საშუაშავლო საქმიანობის რეგულირების შესახებ, დაადგინოს მზღვეველის ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებას კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვითა და ა.შ.

**2. მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გამოსაყენებელი სანქციები**

ეფექტური ზედამხედველობისა და რეგულირების პროცესის მუდმივად გაუმჯობესების მიზნით, სამსახური ახორციელებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ შესაბამის სახელმწიფო და კერძო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, რათა მოხდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების დროული გაზიარება.<sup>17</sup>

როგორც აღინიშნა, სამსახურს კანონმდებლობით მრავალი ფუნქცია-მოვალეობა აქვს დაკისრებული. სამსახური უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ეს დოკუმენტები, აგრეთვე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერისგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია.<sup>18</sup>

სამსახური უფლებამოსილი დარღვევისთვის მზღვეველის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად.<sup>19</sup> თავის მხრივ, სანქციები სიმძიმის მიხედვით შეიძლება დალაგდეს - წერილობითი გაფრთხილება, ინსტრუქციის გამოცემა, ფულადი ჯარიმის დაკისრება, მზღვეველის ადმინისტრატორის ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერება და მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან გათავისუფლება, მოგების განაწილების შეჩერება/შეზღუდვა, იძულებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება და უკიდურეს შემთხვევაში საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება. ლიცენზიის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სამსახურის გადაწყვეტილებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მზღვეველს უფლება არა აქვს, განახორციელოს შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობა, გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომლებიც მას ადრე ჰქონდა აღებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე.<sup>20</sup>

<sup>17</sup> საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში, 28.

<sup>18</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 21, (ბ).

<sup>19</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 211, (2).

<sup>20</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 27<sup>1</sup>.

მზღვეველისათვის ან/და ადმინისტრატორისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული სანქცია იძულებით აღსასრულელად მიიქცევა კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სამსახურის მაკონტროლებელი როლი აგრეთვე გამოიხატება იძულებითი ადმინისტრაციის შემოღების უფლებამოსილებაში, კერძოდ, სამსახურის მიერ დადგენილი ნორმატივების დარღვევის ან/და ფინანსური მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების ან/და სადაზღვევო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ,<sup>21</sup> ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს იძულებითი ადმინისტრაციის პროცესს.<sup>22</sup> იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან დაუშვებელია ნებისმიერი ქმედება მზღვეველის სახელით და მისი ხარჯით, მზღვეველის დროებითი ადმინისტრატორის წერილობითი თანხმობის გარეშე.<sup>23</sup>

#### IV. მომხმარებელი სადაზღვევო ურთიერთობებში

„მომხმარებელი, ყოველ ჩვენთაგანს გულისხმობს!“ ეს პოსტულატი ცხადყოფს, რომ მომხმარებლები არ მიეკუთვნებიან გამორჩეულ საზოგადოებრივ ფენას ან კლასს. ნებისმიერი პი-

რი, რომელიც მოქმედებს თავისი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, მომხმარებელია. აქ არ არსებობს გამონაკლისი. გამოუცდელი დიასახლისი და უქონელი მუშა ისეთივე მომხმარებელია, როგორც შეძლებული საქმოსანი ან სამართლის სახელგანთქმული პროფესორი, როდესაც საქმე ეხება პირადი მოხმარებისთვის, მაგალითად, მანქანის, პურის, ხალიჩის ან ნებისმიერი სხვა ნივთის შეძენას.<sup>24</sup> 1970-იანი წლებიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროპული გაერთიანების მნიშვნელოვან პრიორიტეტად გარდაიქმნა.<sup>25</sup> მომხმარებლის სურვილი მიიღოს ესა თუ ის მომსახურება ან/და საქონელი წარმოიშობა მოთხოვნილები-საგან, რომელიც ნების საფუძველზე არის გამოვლენილი და ფორმირდება მოთხოვნად. მიწოდება და მოთხოვნა ის ძალებია, რომელიც საბაზრო ეკონომიკას ამუშავებს. ეს ძალები განსაზღვრავს თითოეული საქონლის წარმოების მოცულობას და ამ საქონლის გასაყიდ ფასს.<sup>26</sup>

კერძოსამართლებრივია პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელშიც ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზება უზრუნველყოფილია სხვა პირის შესატყვისი ბოჭვით.<sup>27</sup> მხარეთა კერძო ავტონომია კერძო სამართლის მოქმედების სფეროში სუბიექტის არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს. კერძო ავტონომიით სარგებლობა ნიშნავს პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს პოტენციური კონტრაქტინტი და დაამყაროს მასთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც მათ საერთო სურვილებსა და მოლოდინებს შეესაბამება.<sup>28</sup> სწორედ აღნიშნული კერძო ავტონომია შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როცა მხარეები ერთმანეთთან დისბალანსში არიან. როგორც წესი, ხელშეკრულებიდან წარ-

<sup>21</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 33<sup>1</sup>, (1).

<sup>22</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 33<sup>1</sup>, (3).

<sup>23</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 33<sup>1</sup>, (5).

<sup>24</sup> ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, 2018, 30.

<sup>25</sup> ერქვანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, ყურნ, მართლმსაჯულება და კანონი, N 3 (30), 2011, 46.

<sup>26</sup> მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, 2008, 63.

<sup>27</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 80.

<sup>28</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014, 55.

მოშობილი, მხარეთა უფლება-მოვალეობები უნდა განიმარტოს თითოეული მათგანის კერძო ავტონომიის ფარგლებში. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მხარე ფლობს ამკარა უპირატესობას მეორესთან მიმართებაში, სუსტი მხარის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა.<sup>29</sup> თუ ხელშეკრულების შინაარსი სუსტი მხარისთვის განსაკუთრებით რთულ ტვირთს აწესებს, სასამართლო ვალდებულია ჩაერიოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი მუხლების გამოყენებით.<sup>30</sup>

შესაძლოა, სადაზღვევო ურთიერთობებშიც შევხვდეთ მომხმარებელს. კერძო სამართალში მომხმარებელთა უფლებების დაცვა ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის, ამ შემთხვევაში მზღვეველის სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია, თუ მეორე მხარე ფიზიკური პირია და დებს ხელშეკრულებას პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად.<sup>31</sup> იმისთვის, რომ პირს მიენიჭოს მომხმარებლის სტატუსი და მასზე გავრცელდეს მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, აუცილებელია ის იყოს ფიზიკური პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის მენარმე სუბიექტთან სავაჭრო, ხელობის, ბიზნეს ან პროფესიის ფარგლებს მიღმა. მომხმარებელთა უფლებების დაცვა ნებისმიერი კომპანიის სტრატეგია უნდა იყოს.<sup>32</sup>

კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების პირობებზე ქვემოთ იქნება მსჯელობა, თუმცა მომხმარებელთა უფლებების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მიჯნის გავლება, როდის გამოდის დამზღვევი ურთიერთობებში როგორც მომხმარებელი, ვინაიდან შესაძლოა, მის უკან მენარმე სუბიექტი იდგეს, რომელიც მომხმარებელთა უფლებების მიზნების-

თვის „სუსტი“ მხარის სტატუსით ვერ ისარგებლებს. მენარმე დამზღვევთან კონტრაქტირებისას ხელშეკრულების შინაარსი მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრება. არამენარმე დამზღვევისთვის კი უმთავრესად გამოიყენება სტანდარტული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსის აღქმაც მისთვის რთულია.<sup>33</sup> მნარმოებელი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის გამოცდილი მონაწილე, მომხმარებელთან, როგორც განსაკუთრებული დაცვის ინტერესის მქონე პირთან, მიმართებით, არ შეიძლება იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქმედებდეს, როგორც სხვა ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებით. ეს განსაკუთრებით ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ მნარმოებელი ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ხშირ შემთხვევაში, არ ათანხმებს უშუალოდ მომხმარებელთან.<sup>34</sup>

გასათვალისწინებელია, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების პირობები, როგორც წესი, თანხმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, მოცემულ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიებსა და ბანკებს შორის, რასაც შემდგომში კრედიტის აღების მიზნით მოქმედი მსესხებელი ეთანხმება. საგულისხმოა, რომ ბანკი, როგორც მენარმე და გაცნობიერებული იურიდიული პირი მასსა და მზღვეველს შორის პირობების შეთანხმების ეტაპზე, უპირველესად, საკუთარი ინტერესის დაცვის უზრუნველყოფ პირობებს განერს და ამის შემდგომ - მსესხებლის სასარგებლოს.

რეღევანტურია, რომ კომერციული ბანკები, როგორც წესი, მსესხებელს სთავაზობენ რამდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან შთანხმებულ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს, რომელთაგან ერთს მსესხებელი ირჩევს.

<sup>29</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 21.

<sup>30</sup> Cherednychenko O., THE CONSTITUTIONALIZATION OF CONTRACT LAW: Something New under the Sun? 2004, 7 (<http://www.ejcl.org/>).

<sup>31</sup> ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, 2018, 58.

<sup>32</sup> Matusikova L., *Analisis of perception in case of consumer's rights*, 2010, 17.

<sup>33</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 51.

<sup>34</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი 2010, 133.

## 1. მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობა სადაზღვევო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად

ახალი რეგულაციები დაზღვევის სფეროში ადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს. დაზუსტდა და გაიზარდა მომხმარებლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, მეტად ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციის მიწოდება, გამარტივდა და უსაფრთხო გახდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ახალი წესები ვრცელდება ყველა სადაზღვევო ორგანიზაციასა და დაზღვევის შუამავალზე თანაბრად, რათა ყველა მომხმარებელი ერთნაირად იყოს დაცული. დადგინდა მომხმარებელთან გამჭვირვალე ურთიერთობის მაღალი სტანდარტი.<sup>35</sup>

დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებელი არის სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკური პირი ან დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე – დამზღვევი ფიზიკური პირი ან დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ყველა ეტაპზე – დამზღვევი, დაზღვეული, მოსარგებლე ან/და მესამე პირი (სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევიდან გამომდინარე, პირი, რომელსაც ზიანი მიადგა).

მზღვეველი ვალდებულია ჰქონდეს მზღვეველის მომხმარებლის უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები და უზრუნველყოს მათი დაცვა მომხმარებელთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. კანონი სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად სწორედ მომხმარებელთა უფლებების დაცვას ასახელებს.

კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლი სრულად მომხმარებლის უფლებების დაცვას ემსახურება. მზღვეველი, დაზღვევის შუამავალი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვა მომხმარებელთან წინასახელშეკრულებო

ურთიერთობის, ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების ყველა ეტაპზე კანონისა და „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მზღვეველი ასევე ვალდებულია დაიცვას მომხმარებელთა უფლებები სამსახურის მიერ დადგენილი წესით და მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკისა და მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცედურების შესაბამისად. სამსახური უფლებამოსილია მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის, დაზღვევის შუამავლის მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, გამოსცეს სამართლებრივი აქტები, განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, გასცეს წერილობითი მითითებები, დაანესოს დამატებითი მოთხოვნები და შესაბამისი შეზღუდვები.

სამსახური უფლებამოსილია მომხმარებლის უფლებების დაცვის ზედამხედველობის მიზნით გამოითხოვოს და დაამუშაოს განმცხადებლის ან/და სხვა მომხმარებლის (მომხმარებლების) შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, ხოლო მზღვეველი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებული არიან სამსახურს მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია.

მომხმარებელს უფლება აქვს, მზღვეველის ან დაზღვევის აგენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს მზღვეველის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, სასამართლოს ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერ სხვა საჯარო დაწესებულებას ან კერძო დაწესებულებას, ხოლო მზღვეველის ან დაზღვევის აგენტის მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში – მიმართოს აგრეთვე სამსახურს.

რეგულაციური იმის აღნიშვნაც, რომ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია დამრღვევი დაასანქციროს.

<sup>35</sup> იხ. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, მომხმარებლის სახელმძღვანელო, მომხმარებელთა უფლებები სადაზღვევო ურთიერთობებში და მიმდინარე სიახლეები, 7.

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული რამდენიმე რეკომენდაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ. მზღვეველის მიერ შედგენილი სტანდარტული ხელშეკრულებები (პირობები) მაქსიმალურად უნდა გამოორიცხავდეს ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებების გამოყენებას, ასევე დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე მომხმარებელს ნათლად და ამომწურავად უნდა განუმარტოს ხელშეკრულების შინაარსი, მზღვეველმა კონკრეტულ სადაზღვევო პროდუქტთან მიმართებაში მომსახურების განეგასა ან/და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით, დაზღვეულს უნდა აცნობოს სადაზღვევო ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებული, შეჯერებული და დაზუსტებული ინფორმაცია/პოზიცია, მან მომხმარებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას, სადაზღვევო შემთხვევის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მზაობაზე გადაწყვეტილება მომხმარებელს უნდა აცნობოს გონივრულ ვადაში. სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარი, მზღვეველმა უნდა დაასაბუთოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში კი, მზღვეველმა უნდა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურების ან მისი ნაწილის გაცემაზე დასაბუთებული უარი წერილობითი ფორმით.<sup>36</sup>

**V. ერთიანი დაზღვევისა და კრედიტის ხელშეკრულებების თავისებურებები**

**1. საფინანსო სექტორი და საკრედიტო ურთიერთობის მახასიათებლები**

საფინანსო სექტორის წარმომადგენელი არის კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, საგადახდო სისტემის ოპერატორი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშვალდებული სანარმო, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.<sup>37</sup> მათგან რამდენიმეს უკავია ქვეყანის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი. კომერციული ბანკი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.<sup>38</sup> მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.<sup>39</sup> არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სანარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.<sup>40</sup> აღნიშნული სუბიექტების მიერ განხორციელებული საკრედიტო/სასესხო ურთიერთობა მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

<sup>36</sup> იხ. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ.

<sup>37</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2.

<sup>38</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

<sup>39</sup> მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

<sup>40</sup> არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

საფინანსო სექტორის საკრედიტო/სასესხო საქმიანობის განხორციელებისას თავისებურებები ახასიათებს. იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი კონტროლდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ მიერ კრედიტის გაცემის დროს დაცულ უნდა იქნეს შესაბამისი აქტებით დადგენილი მოთხოვნები. კომერციული ბანკის შემთვევაში კრედიტის გაცემის პროცედურა კონტროლირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

საბანკო კრედიტის გამცემი ორგანო აუცილებლად უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილი მკვეთრი ზღვარი ცნებებს - „კრედიტი“ და „სესხი“ - შორის არ არსებობს.<sup>41</sup> კომერციული ბანკებისთვის ნებადართულია სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით.<sup>42</sup>

კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების დროს კრედიტის ამღები მოქმედებს მიზნობრივობით, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს კრედიტის სახეს. მეტწილად ყველა კრედიტი ითვალისწინებს მსესხებლის მიერ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებას.

## 2. საფინანსო სექტორის, სადაზღვევო კომპანიისა და მოვალის სამართლებრივი ურთიერთობა

საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გამოყენება მეტად აქტუალურია საბანკო კრედიტის გაფორმების დროს. საფინანსო სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც გააზრებული აქვთ მოვალის გარდაცვალების

შედეგები, კრედიტის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე აფორმებენ სიცოცხლის დაზღვევას. სწორედ ამ მიზნით თანამშრომლობენ ბანკები სადაზღვევო კომპანიებთან.

სიცოცხლის გამოყენებებასთან და სადაზღვევო თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალური ხდება როგორც კირისკი რეალიზდება და მოვალე გარდაიცვლება. სახეზეა ურთიერთობის მონაწილე სამი პირი, სადაზღვევო კომპანია, საფინანსო სექტორის წარმომადგენელი და მოვალის მემკვიდრე.

საფინანსო სექტორის წარმომადგენელსა და მოვალეს შორის ფორმდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლით გათვალისწინებული კრედიტის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. თავის მხრივ, საფინანსო სექტორის წარმომადგენელსა და მზღვეველ კომპანიებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების დროს უერთდება მოვალე. სწორედ ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება სამ მხარეს შორის.

### 1.1. მონარჩენი ვალის დაზღვევის ფორმები

მონარჩენი ვალის დაზღვევა იგივე (Restschuldversicherung) (Residual Debt Insurance) მოქმედებს მაშინ, როდესაც მსესხებელს აღარ შეუძლია აღებული ფინანსური ვალდებულების შესრულება გარდაცვალების, შრომისუნარობის, სამსახურის გარეშე დარჩენისა და მსგავს შემთხვევებში.<sup>43</sup> მოქმედების პირობები და ფარგლები განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მონარჩენი ვალის დაზღვევა, თავის მხრივ, კრედიტორებსაც უზრუნველყოფს. აღნიშნული ტიპის დაზღვევის პრინციპი პირველად აშშ-ში მე-20 საუკუნის შუა ხანებში გამოიყენეს და მოგვიანებით ევროპაშიც

<sup>41</sup> გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, 2015, 172.

<sup>42</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.

<sup>43</sup> Everestate, Definition and benefits of residual debt insurance, ვებ-გვერდი: <https://www.everestate.com/blog/residual-debt-insurance>.



დამკვიდრდა.<sup>44</sup> აღნიშნული ტიპის დაზღვევის ეკონომიკური მიზანია სასესხო/საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის უზრუნველყოფა.<sup>45</sup>

მონარჩენი ვალის დაზღვევა ცნობილია, როგორც გადახდის უზრუნველყოფა და საკრედიტო დაზღვევა, რომლის საფუძველზეც, დამზღვევის სიკვდილის შემთხვევაში იფარება ვალდებულება.<sup>46</sup>

სამართლებრივად სესხი და მონარჩენი ვალის დაზღვევა წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, ცალკეულ შემთხვევებში ისინი შეიძლება, იყოს დაკავშირებული გარიგებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის გაგებით, რასაც ენიჭება მნიშვნელობა მათი გამოხმობისათვის. ჩვეულებრივ, მონარჩენი ვალის დაზღვევა არის ფაკულტატიური და წარმოადგენს მხოლოდ დამატებით შეთავაზებას საკრედიტო ინსტიტუტის მხრიდან მსესხებლისათვის. მსესხებელი ნამდვილ ჯგუფურ დაზღვევას მხოლოდ დაზღვეული პირის სტატუსით უერთდება, ანუ არ ხდება მზღვეველის კონტრაჰენტი. ამასთან, დაზღვეული პირის მითითება დამზღვევის მიერ, ჩვეულებრივ, ატარებს დეკლარატორულ ხასიათს.<sup>47</sup>

მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულებები შეიძლება ასევე დაიდოს, როგორც არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა. არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა სახეზეა, როდესაც დასაზღვევ პირთა მყარად განსაზღვრული წრე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხოლოდ განსაზღვრული აბსტრაქტული ნიშნებით არის დადგენილი და კონკრეტული დაზღვეულის ჩართვა შეიძლება მოხდეს ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულების მთლიანი მიმდინარეობისას. ნამდვილი ჯგუფური დაზღვევისაგან განსხვავებით, აქ დაზღვეული არის ამავედროულად დამზღვევი.<sup>48</sup>

ჯგუფური დაზღვევის შემდეგი ვარიანტი არის ე. წ. „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება“. ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება, თავის მხრივ, არის წინარე სადაზღვეო ხელშეკრულების ნაწილი დამზღვევსა და ჯგუფის „თავს“ შორის, რომელიც ადგენს ჩარჩო-რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს მომავალში დასადები ცალკეული სადაზღვეო ხელშეკრულებებისათვის ჯგუფის წევრებს შორის, მაგრამ თავისთავად არ წარმოშობს სადაზღვეო ურთიერთობას.<sup>49</sup>

## VI. სადაზღვეო ურთიერთობის მონაწილე პირების ინტერესი

რთულია ისეთი დეფინიციის მოძებნა, რომელიც ყველა სიტუაციას მიესადაგება. ლორდ ელდონის განმარტების მიხედვით, სადაზღვეო ინტერესი არის ქონებაზე ან ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება, რომელიც შესაძლოა, ხელყოფილ იქნას გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, რაც გავლენას ახდენს პირის უფლებაზე.<sup>50</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ცალსახად აღიარებული მოსაზრების თანახმად, ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის დროს მზღვეველის კონტრაჰენტი ბანკი აზღვევს მხოლოდ საკუთარ ინტერესს და არა დაზღვეულის ინტერესს. ის, რომ ამ დაზღვევიდან ასევე დაზღვეული მსესხებელი იღებს გარკვეულ სარგებელს, წარმოადგენს მხოლოდ თანმდევ შედეგს ბანკის ინტერესის დაზღვევისა, შესაბამისად, მთლიანი ურთიერთობა კონსტრუირდება ბანკის ამ ინტერესის

<sup>44</sup> Payment Protection Insurance, <https://lend.ch/en/glossary/payment-protection-insurance>.

<sup>45</sup> Stoffregen T., Die vorzeitige Kündigung und Rückabwicklung von Restschuldversicherungen, Hamburg, 2020, 8.

<sup>46</sup> Ayaz A, The Islamic view on Insurance: Types, Rulings and Models, 2018, 5. შეად. Kuballa M., Darlehens- und

Restschuldversicherungsvertrag als verbundene Verträge, Berlin, 2013, 9.

<sup>47</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 5.

<sup>48</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 6.

<sup>49</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 6.

<sup>50</sup> Gürses Ö., Marine Insurance Law, 2015, 35.

გარშემო და სწორედ ის წარმოადგენს სახელმძღვანელო ხაზს ამ ურთიერთობის პირობების განმარტებისათვის.<sup>51</sup>

ბანკის მიერ საკრედიტო ურთიერთობის დაწყების ეტაპზევე სიცოცხლის დაზღვევის გაფორმება შესაძლოა, მიუთითებდეს მის ინტერესზე, რომ არსებული რისკის - მოვალის გარდაცვალების - რეალიზების შემთხვევაში მოხდეს მის მიერ გაცემული საკრედიტო რესურსის ანაზღაურება მზღვეველის მიერ. აღნიშნული გარემოება მიუთითებს ბანკის ცალსახა ნებაზე, რათა მის მიერ გაცემული კრედიტის დაბრუნება იყოს გარანტირებული.

აღნიშნული ინტერესის თანმდევი შედეგია მსესხებლის მემკვიდრის სასურველ პოზიციაში აღმოჩენა, ვინაიდან მამკვიდრებლის გარდაცვალების სამართლებრივი შედეგია მისი აქტივებისა და პასივების მემკვიდრეზე განაწილება, ვინაიდან სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.<sup>52</sup> მზღვეველის მიერ დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში კრედიტის თანხის ანაზღაურება სწორედ ამ გარემოების გამო შედის დაზღვეული პირის, მსესხებლის მემკვიდრის ინტერესშიც.

ცალსახაა, რომ შედეგობრივად სახეზეა როგორც ბანკის, ასევე დაზღვეული პირის ინტერესიც, თუმცა თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ინიციატორი. უპირველესად, სწორედ ბანკი ითხოვს თავისი აქტივის დასაზღვევად მსესხებლის მიერ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებას. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნა და პირობაც კი არის კრედიტის ხელშეკრულების გაფორმებისა. ამასთან, არსებობს დამოუკიდებელი სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტი, რომელიც ბანკის კრედიტის მიუხედავად შესაძლოა იყიდოს დაზღვეულმა პირმა, ამ შემთხვევაში, იკვეთება

უშუალოდ მსესხებლის ინტერესი, რომ გარდაცვალების შემთხვევაში დაცულ იქნეს თავისი მემკვიდრის ფინანსური მდგომარეობა.

## 1. სიცოცხლის დაზღვევის ღირებულების გათვალისწინებით ინტერესის განსაზღვრა

მსესხებლის მიერ დაზღვევისათვის გადახდილი საკომისიო ვერ გახდება ინტერესთა ზემოთ აღწერილი გადანაწილების შეტრიალების საფუძველი ბანკსა და კლიენტს შორის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს საკომისიო მიზერულია იმასთან შედარებით, რაც არის ბაზარზე ამ სადაზღვეო პროდუქტის ღირებულება. ფაქტი, რომ სადაზღვეო პრემიის ნაწილს ფარავს დაზღვეული – ის უხდის ბანკს საკომისიოს და შემდეგ ბანკი უხდის მზღვეველს – არ ცვლის ზემოთ თქმულს და ვერ გამოდგება დაზღვეულის ინტერესების დამზღვევის ინტერესებზე წინ დასაყენებლად. პირველ რიგში, იმიტომ, რომ დამზღვევის მიერ განხორციელებული გადახდა არ წარმოადგენს ექვივალენტურ შესრულებას, ის იხდის ვალის დაზღვევაში გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ამ დაზღვევის საბაზრო ღირებულებაა და რისი გადახდაც მას მოუწევდა, დამოუკიდებლად რომ დაეზღვია თავი, ბანკის მიერ მზღვეველთან დადებული „ჯგუფური ხელშეკრულების“ გარეშე – სადაზღვეო მსესხებლის დაცვას უზრუნველყოფს ბანკთან შეთანხმებული გრძელვადიანი ურთიერთობიდან გამომდინარე და არა მხოლოდ კონკრეტული მსესხებლის მიერ გადახდილი საზღაურის სანაცვლოდ.<sup>53</sup>

## VII. სიცოცხლის დაზღვევის პირობები ქართულ რეალობაში

### 1. სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ქართულ პრაქტიკაში რელევანტურია მოვალის დაზღვევის ხელშეკრულებაზე მიერთების ფორმა. როგორც წესი, აღნიშნული ზოგადი ხასიათის პირობები განთავსებულია ბანკების

<sup>51</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 7.

<sup>52</sup> სსკ-ის 1328-ე მუხლი;

<sup>53</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 10.

ვებ-გვერდებზე ბანკის საკრედიტო პორტფელის დაზღვევის პირობების (კლიენტ(ებ)ის გარდაცვალების რისკზე) ფორმით. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს ბანკის საკრედიტო პორტფელი, რომელიც მოიცავს იმ კრედიტების დავალიანებებს, რომლის თაობაზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტი იხდის სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს. კლიენტის მიერ სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო გადაიხდება, ბანკის მიერ კლიენტის გარდაცვალების რისკზე დავალიანების დაზღვევის უზრუნველსაყოფად.<sup>54</sup>

ამასთან, აღნიშნული პირობები ითვალისწინებს დაზღვევის დაწყებისა და დასრულების დროს, სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს დარიცხვის პრინციპს, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა/მაქსიმალური ოდენობას, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაციას, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამონაკლისებს.<sup>55</sup>

ხელშეკრულებების შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე შესაბამისი პირი ვალდებულია აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ და მოიპოვოს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და წარუდგინოს ბანკს. მეტწილად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მზღვეველს ბანკის მიერ წარედგინება გარდაცვალების მოწმობა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა კლიენტის გარდაცვალების შესახებ, ექსპერტიზის დასკვნა, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობები შემთხვევის შესახებ.

ერთ-ერთი ბანკის მიერ შეთავაზებული პირობების შესაბამისად, ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია: თუ სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტი არ არის წარდგენილი ან/და თუ კლიენტის გარდაცვალებიდან, აღნიშნულის თაობაზე ბანკის ინფორმირებამდე გასულია 20

(ოცი) თვეზე მეტი ვადა. ამასთან, გადაწყვეტილების მიღება ხდება დაახლოებით 80 დღის განმავლობაში, ხოლო ანაზღაურება გაიცემა 40 დღის ვადაში.

როგორც წესი ხელშეკრულებებში მეტი სიცხადისთვის განერილია, რომ ბანკი უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებას მზღვეველისათვის და არ აგებს პასუხს მზღვეველის მიერ კონკრეტულ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე.<sup>56</sup>

გამონაკლისის საკმაოდ დიდ ჩამონათვალს იცნობს ხელშეკრულებები. ასეთია როგორც კლიენტის ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ასევე კლიენტის მონანილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება, ბირთვული გამოსხივება და ა.შ.<sup>57</sup>

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად მიჩნევისათვის უნდა კმაყოფილდებოდეს კანონით დაწესებული წინაპირობები. პირობა უნდა იყოს წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული, რომელსაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემსვები წესების დადგენა. ამასთან, ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არ უნდა იყოს განსაზღვრული. პირობა გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის, თუ შემთავაზებელი მის გამოყენებას სულ მცირე სამჯერ მაინც აპირებს.<sup>58</sup> პირობის წაყენება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც კონტრაჰენტს არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საშუალება შეცვალოს ან რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების

<sup>54</sup> სს საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობები  
<sup>55</sup> სს საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობები  
<sup>56</sup> სს საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობები, 5.

<sup>57</sup> სს თიბისი ბანკის სტანდარტული პირობები, 2. შეად სს საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობები.  
<sup>58</sup> რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 185, ციტ. 5 BGH NJW, 2002, 185.

სტანდარტული პირობების შინაარსზე. შინაარსობრივად შემთავაზებლის მიერ წარდგენილი პირობა შეიძლება კლიენტისათვის სარგებლის მომტანიც კი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან ზეგავლენა მოახდინა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის განსაზღვრაზე.<sup>59</sup>

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ბევრი ხელშეკრულების ერთდროულად გაფორმების მიზნიდან გამომდინარე სტანდარტულ პირობებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ.<sup>60</sup> მზღვეველისა და დამზღვევის მიერ ერთობლივად შემუშავებული სტანდარტული პირობები, რომელიც განერილია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში, რამდენიმე მიზანს ისახავს. სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზება, ვინაიდან მარტივდება ხელშეკრულების დადება/განხორციელება, რადგან ხელშეკრულების საგნის სპეციფიკაციის ასახვა ხდება სტანდარტულ პირობებში. ასევე რეგულაციის ვაკუუმის აღმოფხვრა, სამართლის განვითარება, რისკის გადაკისრება, იმდენად, რამდენადაც - როგორც წესი სტანდარტული პირობების შემთავაზებელი აკისრებს რისკს მეორე მხარეს.<sup>61</sup>

ცხადია, ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთანხმებული და მსესხებლისთვის გამზადებული, ვებ-გვერდზე განთავსებული პირობები მიეკუთვნება სტანდარტულ პირობებს, ვინაიდან აკმაყოფილებს ყველა წინაპირობას, კერძოდ, წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის განკუთვნილი, ერთი მხარის მიერ დადგენილი ნორმებია.

როგორც წესი, ბანკსა და მზღვეველს შორის, ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება საკრედიტო პორტფელის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით. მეტწილად, სწორედ ამ ხელშეკრულებით რეგულირდება ბანკის მიერ მზღვეველისთვის მოთხოვნის წარდგენის წესი. თუ ამავე ხელშეკრულებაში მხარეები გაითვალისწინებენ,

რომ მოთხოვნის წარდგენის შედეგად მზღვეველის მიერ ანაზღაურების შესახებ გაცემული უარის, ბანკის მიერ, სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნებოდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, შესაძლოა, ბანკებმა, რიგ შემთხვევებში, თავიდან აიცილონ დამატებით 2 ინსტანციაში დავის რესურსის დაკარგვა, თუ ამ დებულებას ექნება სტანდარტული პირობის ფორმა, არ გამოირიცხება მისი სასამართლოს მიერ გაბათილება, რადგან მსგავსი გადაწყვეტა უკვე არსებობს, კერძოდ, სასამართლომ სახელშეკრულებო პირობა გააბათილა მხოლოდ იმის გამო, რომ სტანდარტული იყო.<sup>62</sup>

## 2. კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა დაზღვევის ხელშეკრულებებში

კეთილსინდისიერების პრინციპი სათავეს იღებს რომის სამართლიდან. პრინციპი “bona fides”, რომელიც კეთილსინდისიერებას ნიშნავს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა „ius civile“-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. ტერმინ “bona fide“-ს (“fides”) საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები საკუთარ პირობას თუ მიცემულ სიტყვას იცავდნენ და დაიცავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილი იყო წარედგინა საჩივარი, ე. წ. პრეტენზია (“ex fide bona”) და, მოცემული პრეტენზიის საფუძველზე, კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებითი აღსრულება მოეთხოვა. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების

<sup>59</sup> რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 185, ციტ. 5 BGH NJW, 2002, 186.

<sup>60</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ ნიგნად, ნიგნი III, გამომცემლობა „სამართალი“ 2001, 180.

<sup>61</sup> რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 183

<sup>62</sup> სირდაძე ლ., მოვალის მთლიან ქონებაზე დაუყოვნებლივი აღსრულების დათქმა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, 61.

პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედაა. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას

სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივისცემა ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.<sup>63</sup>

ზოგადად, დათქმა კეთილსინდისიერების შესახებ ყველა ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება. კერძოდ, არც ერთმა მხარემ არ უნდა დააბრკოლოს კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების მიღება. დაზღვევის მაგალითზე, დამზღვევის უფლებების შინაარსის შემოფარგვლა, მხოლოდ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით, არასწორია. მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს, ინტერალია, ნაგულისხმევი

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე, №ას-1338-1376-2014.

პირობებით, რომელთა შინაარსიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპით განისაზღვრება.<sup>64</sup>

თანამედროვე მართლწესრიგი დაზღვევის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებას მოითხოვს. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია.<sup>65</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი თანაბრად უნდა გავრცელდეს დაზღვევის ხელშეკრულების ორივე მხარეზე.<sup>66</sup> მომხმარებელ დამზღვევეთან კონტრაქტისას მზღვეველის კეთილსინდისიერება არ უნდა განიმარტოს ამ უკანასკნელის სანინაალმდეგოდ. არაერთგვაროვანი სტანდარტის გამოყენება ერთი და იგივე ხელშეკრულების მხარეების მიმართ გაუმართლებელია.<sup>67</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელშეკრულების წინარე, შემდგომ და სამოქმედო პერიოდშიც. ამდენად, მზღვეველისა და ბანკების მიერ შეთანხმებული პირობები, აგრეთვე მზღვეველის მიერ დაზღვეული პირებისთვის შეთავაზებული პირობები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.

გათვალისწინებელია მოთხოვნის წარდგენის ეტაპზე კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება, რაზეც ქვემოთ იქნება მსჯელობა.

### 3. დაზღვევის ხელშეკრულების პირობების განმარტება

ლოგიკური განმარტება კანონმდებლის მიზნის გარკვევას ემსახურება - თუ რისი მიღწევა სურდა მას კონკრეტული ფორმულირებით.<sup>68</sup> თეზა, რომ კანონი ყოველთვის მოსამართლეზე მალა დგას, არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოში ინდივიდის სამართლებრივი დაცვის გარანტიას.<sup>69</sup> ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით უნდა შეიზღუდოს. ეს იქნებოდა აღნიშნული პრინციპის მცდარი გაგება, რაც სამოსამართლო სამართლის დანიშნულებასა და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა.<sup>70</sup> სამართლის შეფარდება ხორციელდება ლოგიკური, აზრობრივი ოპერაციების საფუძველზე.<sup>71</sup> ხშირ შემთხვევაში სამართლის ნორმის განმარტების აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს ნორმის შეფასებითი ხასიათის ცნებებით, ტერ-

<sup>64</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 59, ციტ. ix. *Comunale v. Traders & General Ins. Co.*, 50 Cal.2d 654, L.A. No. 24975. In Bank. July 22, 1958, < <http://scocal.stanford.edu/opinion/comunale-v-traders-general-ins-co-26901>>, [22.12.2015]. Sead. Kransco, Plaintiff and Appellant; International Insurance Company et al., Plaintiffs and Respondents, v. American Empire Surplus Lines Insurance Company, Defendant and Appellant, Superior Court of the City and County of San Francisco, No. S062139. June 22, 2000.

<sup>65</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 60, ციტ. Jerry R., Richmond D., 179.

<sup>66</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 61, ციტ. Lowry J., Rawlings P., 74. შემდგომი მითითებით ინგლისის სააპელაციო სასამართლოსა და ლორდთა პალატის გადაწყვეტილებებზე საქმეზე *Banque Financière de la Cité S.A. v Westgate Insurance*

*Co Ltd* [1991] 2 AC 249, affirming the Court of Appeal, [1990] 1Q B 665; ასევე ინგლისის 1906 წლის "საზღვაო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-17 მუხლი.

<sup>67</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 61, ციტ. *Schwartz V., Appel C., Common-sense Construction of Unfair Claims Settlement Statues: Restoring the Good Faith in Bad Faith*, "American University Law Review", 2009, 11.

<sup>68</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 66.

<sup>69</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი 2010, 42, ციტ. *Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz*, 1932, S. 50.

<sup>70</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი 2010, 42.

<sup>71</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, 176.

მინებით, მაგალითად, ზნეობის ნორმები (კეთილი ზნე), სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ა.შ.<sup>72</sup>

სადაზღვევო დავის გადანყვეტიასა მოსამართლემ კომპლექსურად უნდა შეაფასოს ისეთი მრავალფეროვანი ფაქტორები, როგორებიცაა: დაზღვევის ხელშეკრულების სახე, მხარეთა სახელშეკრულებო ინტერესები, დამზღვევის სამართლებრივი სტატუსი, ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებები და სხვ.<sup>73</sup> სასამართლოების მიერ სადაზღვევო პოლისების/ხელშეკრულებების განმარტების მიზნით გამოსაყენებელი წესები მეტად რთულია, განსასაზღვრად.<sup>74</sup>

მოთხოვნის წარდგენის მარეგულირებელი ნორმები მეტწილად განერილია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. როგორც აღინიშნა, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება გაჯერებულია სტანდარტული პირობებით, ამ პირობებში განერილია ბანკის მიერ მზღვეველისთვის მოთხოვნის წარდგენის წესი და ფორმა. მზღვეველის მიერ უარის გაცემის შემთხვევაში, ბანკის მიერ განსახორციელებელი ქმედებების ეტაპზე კანონისა თუ ხელშეკრულების ნორმების განმარტება სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს.

**VIII. მოთხოვნის წარდგენის კომპეტენცია**

მხარეთა შორის წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით სწორად უნდა განისაზღვროს ვინ ვისგან რას და რის საფუძველზე ითხოვს. აღნიშნულზე სწორი პასუხის გაცემა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სადაზღვევო ურთიერთობის პირობებში წარმოშობილ მოთხოვნასთან დაკავ-

შირებით. ვინაიდან ასეთ ვითარებაში ბანკის მიერ თანხის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მიემართოს ან მზღვეველს ან დაზღვეულ პირს.

**1. სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები**

სიცოცხლის დაზღვევის მიზნებისთვის დაზღვეული რისკია დამზღვევის ან დაზღვეული პირის სიცოცხლე, რომლის რეალიზების შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო თანხა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველი, უპირველესად, მხარეთა შორის წარმოშობილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაა.<sup>75</sup>

დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.<sup>76</sup> ამდენად, ზიანი უნდა იყოს სახეზე. ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. სირთულეს განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსური და არაერთგვაროვანი ხასიათი.<sup>77</sup>

დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობაში ზიანის კონცეფციის სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია ისეთი ცნებების მნიშვნელობის განსაზღვრა, როგორიცაა: სადაზღვევო შემთხვევა, სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ანაზღაურება.<sup>78</sup>

სადაზღვევო რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შე-

<sup>72</sup> სასამართლო გადანყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, გამომცემლობა GIZ, თბილისი 2020, 34.

<sup>73</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 135, ციტ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადანყვეტილება საქმეზე #2/14209-12.

<sup>74</sup> *Birnbaum Sh. L.*, INTERPRETING THE RULES OF INSURANCE CONTRACT INTERPRETATION, 371.

<sup>75</sup> *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006, 14.

<sup>76</sup> სსკ-ის 799-ე მუხლი.

<sup>77</sup> *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014. 646.

<sup>78</sup> *ირემაშვილი ქ.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 35.

მთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.<sup>79</sup> სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს მოსარგებლე (ფიზიკური ან იურიდიული პირი) დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება სადაზღვევო თანხას, ის არის თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც გადაიხდის სადაზღვევო კომპანია ზარალის დადგომის შემთხვევაში.

სადაზღვევო შემთხვევათა ჩამონათვალი განერილია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში. ამდენად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა მოხდეს შემთხვევის იდენტიფიცირება, დადასტურება და ამის შემდგომ დაიწყება მოთხოვნის წარდგენის პროცედურები მხარეთა შორის.

## 2. სასარჩელო დავის დაწყებამდე განსახორციელებელი ქმედება

სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის რეალიზაციის შედეგია.<sup>80</sup> მას შემდეგ, რაც ბანკი შეიტყობს რისკის რეალიზებას, მსესხებლის გარდაცვალების ფაქტს, მოვალის მემკვიდრისგან ითხოვს ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

მემკვიდრისგან დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, ბანკის მიერ ხდება სადაზღვევო კომპანიაში მოთხოვნის (კრედიტის თანხის ანაზღაურების) წარდგენა თანდართულ საბუთებთან ერთად. როგორც წესი, ბანკსა და მზღვეველს შორის კომუნიკაცია ატარებს ელექტრონულ ფორმას მხარეთა შორის უკვე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანია განიხილავს წარმოდგენილ მოთხოვნასა და არსებულ

მტკიცებულებებს, დარწმუნდება რომ გარდაცვალება არ იყო გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების საგამონაკლისო წესით და შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბანკი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნას საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, რითაც, თავის მხრივ, მსესხებლის მემკვიდრე თავიდან იცილებს მოსალოდნელ დავას.

რაც შეეხება მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევას, როგორც წესი, ასეთ დროს სახეზე სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებაა. ბანკი თავის საკრედიტო მოთხოვნას ვერ იკმაყოფილებს მზღვეველისგან და საჭირო ხდება შემდგომი ქმედების განხორციელება, მოთხოვნის წაყენება მსესხებლის მემკვიდრისთვის ან მზღვეველთან დავის დაწყება.

მნიშვნელოვანია, რომ სიცოცხლის დაზღვევის სტანდარტულ პირობებში ისეთი კაბალური პირობა არ იყოს განერილი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უარის თქმის საფუძველი გახდება მზღვეველის მიერ და ბანკი ყველა ჯერზე მოითხოვს მოთხოვნის მსესხებლისგან დაკმაყოფილებას.

## 3. კრედიტის ფარგლებში გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაში მოპასუხის განსაზღვრა

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. უფლების დასაცავად სასამართლო-

<sup>79</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტი;

<sup>80</sup> ირემამვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 35.



ში მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.<sup>81</sup> ამრიგად, ბანკის პრეროგატივაა განსაზღვროს, მოცემულ შემთხვევაში შეიტანს თუ არა სარჩელს, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო, მზღვეველის წინააღმდეგ. აქვეა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ თუ მზღვეველის მიერ გაცემული უარი დასაბუთებულია და მითითება გაკეთებულია სიცოცხლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ საგამონაკლისო წესზე, ბანკის სარჩელი, მის მიმართ, ნაკლებად-წარმატებული იქნება.

სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე წარდგენილ მოთხოვნაზე მზღვეველის მიერ უარის თქმის შემდეგ ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების ადრესატია მსესხებლის მემკვიდრე, ვინაიდან მამკვიდრებელსა და ბანკს შორის არსებობდა საკრედიტო ურთიერთობა, ხოლო მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.<sup>82</sup>

#### 4. ქართული სასამართლო პრაქტიკა

2020 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც მნიშვნელოვან კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი და დაეფუძნებინა პრაქტიკა ამ მიმართულებით. განსახილველ შემთხვევაში სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად მზღვეველმა განაცხადა უარი კრედიტის თანხის ანაზღაურებაზე, რის შემდგომაც ბანკის მოთხოვნა მიემართა მსესხებლის მემკვიდრისკენ. თავის მხრივ, მემკვიდრე მიიჩნევდა, რომ არ იყო სათანადო მოპასუხე და სწორედ მზღვეველი უნდა ყოფილიყო მოთხოვნის ადრესატი.<sup>83</sup>

პირველმა ინსტანციამ ბანკის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მეორე ინსტანციამ - დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ ბანკმა სცადა სადაზღვევო კომპანიისგან თავისი მოთხოვნის დაკ-

მაყოფილება წერილობით, რაც უშედეგო აღმოჩნდა. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი ძირითადად იმ გარემოებაზე აპელირებით, რომ ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მხოლოდ წერილობითი კომუნიკაცია არ არის საკმარისი და ბანკს დამატებით აკისრებს მზღვეველის მიმართ სარჩელით მოთხოვნის წარდგენის ვალდებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება გამოიყენება როგორც უკვე დადგენილი პრაქტიკა, შესაბამისად, სასამართლოები უთითებენ იგივე გარემოებაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო უთითებს: ვინაიდან მსესხებლის სიცოცხლე დაზღვეული იყო, მსესხებლის მემკვიდრე აპელირებს დაზღვევის ხელშეკრულებაზე, ხოლო ბანკს შეეძლო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ესარგებლა დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით. მხოლოდ ამ საშუალების უშედეგოდ ამონურვის შემდგომ იქნებოდა გამართლებული კრედიტორის მოთხოვნა მემკვიდრის მიმართ. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარდგენა არ უნდა იქნეს მხოლოდ ფორმალურად გამოყენებული. სადავო შემთხვევაში კი, მიუხედავად სადაზღვევო კომპანიისადმი თავდაპირველი მიმართვისა, სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის მიღების შემდგომ ბანკს არ გამოუყენებია სხვა სამართლებრივი საშუალება საკუთარი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, არ აღუძრავს სარჩელი სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნით. ამრიგად, სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ კრედიტორმა მხოლოდ ფორმალურად განკარგა დაზღვევის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებლობანი, რაც არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-8 და 115-ე მუხლებით დადგენილ, ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტს და დაუსაბუთებელს ხდის ბანკის სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხისთვის მამკვიდრებლის ფულადი ვალდებულების გადახდევინების შესახებ.<sup>84</sup>

<sup>81</sup> ლილუაშვილი თ., ბრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007, 4.

<sup>82</sup> სსკ-ის 1484-ე მუხლი.

<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე, №ას-1113-2018.

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე, #ას-ას-171-2023.

ა) ბანკის მიერ მზღვეველის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის ვალდებულება

მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს კითხვას, არის თუ არა ბანკი ვალდებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მზღვეველის წერილობითი უარის მიღების შემდეგ მის მიმართ აღძრას სარჩელი?

როგორც უზენაესმა სასამართლომ განმარტა, ბანკს საკუთარი ინტერესების დასაცავად, არ მიუძღრთავს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებისათვის. მას შეეძლო ესარგებლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე, 844-ე მუხლებით მინიჭებული უფლებით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ამ რესურსის უშედეგოდ ამონურვის შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი ბანკის მოთხოვნის განხორციელება მსესხებლის უფლებამონაცვლის მიმართ.<sup>85</sup> ამრიგად, ბანკს დაუნესა ერთგვარი წინაპირობა, სანამ მსესხებელთან დაიწყებს კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას, მანამდე აუცილებლად უნდა ედავოს მზღვეველს, რათა ამონუროს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება. უპირველესად, როგორც ნესი, ბანკსა და მზღვეველს შორის არსებობს გრძელვადიანი, ნდობაზე დამყარებული სტაბილური ურთიერთობა. ბანკის მოთხოვნა მზღვეველის მიმართ კრედიტის ანაზღაურების თაობაზე გამომდინარეობს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან, რომელიც მეტწილად ობიექტური გარემოებაა იმის დასადგენად, მართლაც არსებობს თუ არა თანხის ანაზღაურების წინაპირობა. ვფიქრობ, სასამართლოს აღნიშნული მიდგომა არ უნდა იყოს ყველა შემთხვევისთვის ერთიანი სტანდარტი და ბანკს არ უნდა შეეკმნას ხელოვნური ბარიერი. გასაგებია, ისეთი შემთხვევა, როცა სიცოცხლის დაზღვევიდან გამომდინარე მზღვეველის უარს არ ეთანხმება ბანკი, არსებობს სადავო გარემოება, რომელიც სასამართლოს მიერ გადაწყვეტას საჭიროებს.

თუმცა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მზღვეველსა და ბანკს შორის უდავოა გარემოებები, ბანკი ეთანხმება, რომ მოცემულ შემთხვევაში თანხის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს მხართა შორის გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევა, არ უნდა იყოს საჭირო ხელოვნურად მზღვეველის მიმართ სასამართლო დავის წამოწყება, ვინაიდან ეს დავა თავიდანვე უპერსპექტივო იქნება.

ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ბანკს ეზრდება კრედიტის ღირებულება, ვინაიდან ყველა ჯერზე მოუწევს დავის დაწყება მზღვეველის წინააღმდეგ, რაც გაუზრდის ხარჯს, საბოლოოდ კი გააძვირებს პროდუქტის ღირებულებას.

დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესი წარმოშობს უფრო მეტ სასამართლო დავას, ვინაიდან ბანკი იძულებული იქნება ყველა ჯერზე დაიწყოს დავა მზღვეველთან.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული („სხვისი ინტერესის“) დაზღვევის შემთხვევაში, სკის 837 | 1 მუხლის მიხედვით, მზღვეველის მიმართ მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ დაზღვეული (განსხვავებით სკის 349-ე მუხლის ზოგადი წესისაგან), თუმცა მისი სასამართლო წესით წაყენების უფლება აქვს, როგორც მას, ასევე დამზღვევსაც (სკის 838 | მუხლი). თუ ამას აკეთებს დამზღვევი, ის სასამართლოს მიმართავს საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი – დაზღვეულის – უფლების განსახორციელებლად (*Prozessstandschafter*). ჩვეულებრივ, დამზღვევი, საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი უფლების (დაზღვეულის) საპროცესო გზით რეალიზაციის შედეგად, მიღებულ სადაზღვეო ანაზღაურებას იღებს, როგორც მინდობილი მესაკუთრე, და უნდა დაუბრუნოს ის დაზღვეულს. თუმცა ქონების მინდობის ხსენებული ურთიერთობა მოდიფიცირდება დამზღვევსა და დაზღვეულს შორის არსებული კონკრეტული სავალუტო (შიდა) ურთიერთობიდან გამომდინარე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევი აზღვევს, სხვისი ინტერესის გარდა, ასევე საკუ-

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე, №ას-1113-2018.

თარსაც, მაგალითად, იმგვარად, რომ სადაზღვეო ანაზღაურება წარმოადგენს ამავედროულად იმ ვალს, რომელიც დაზღვეულს სავალუტო ურთიერთობაში დამზღვევისათვის აქვს გადასახდელი, ანუ ერთდროულად სახეზეა სხვისი და საკუთარი ინტერესის დაზღვევა, დამზღვევს აქვს პროცესის წარმოების შედეგად მიღებული ანაზღაურების დატოვების უფლება.<sup>86</sup>

ვფიქრობ, არსებული საკითხი იმგვარად უნდა გადაწყდეს, რომ ყველა მხარის ინტერესი იქნას დაცული, შესაძლებლობის ფარგლებში, ასეთ შემთხვევას კი ის ვითარება ეფუძნება, როცა ბანკის მიერ მზღვეველის წინააღმდეგ სარჩელით მიმართვა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მათ შორის, ხელშეკრულების შესაბამისად სადავო გარემოებებია სახეზე.

### 5. გერმანული პრაქტიკა

შეიძლება თუ არა დაეკისროს ბანკს ვალდებულება, ჯერ სადაზღვეო კომპანიისაგან სცადოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ წაუყენოს მოთხოვნა მსესხებელს/მის მემკვიდრეს. გერმანული პრაქტიკა ამ შეკითხვას ცალსახად უარყოფითად პასუხობს – ბანკი არ არის ვალდებული, წინმსწრეზად ჯერ სადაზღვეო კომპანიას უჩივლოს და ერთხმად უარყოფილია, რომ თითქოს იგი მხოლოდ ამ დავის უშედეგოდ დასრულების შემდეგ მოიპოვებს უფლებას, მოითხოვოს მსესხებლისაგან დაკმაყოფილება. ეს იქნებოდა კრედიტის დაზღვევის, რომლის ტექნიკურ დასახელებაც არის „მონარჩენი ვალის დაზღვევა“, და რომელიც მხოლოდ ბანკის ინტერესის დაზღვევას წარმოადგენს, სრული აბერაცია და არასწორი განმარტება. გერმანული სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ კრედიტის დაზღვევა წარმოადგენს მხოლოდ ბანკის ინტერესების უზრუნველყოფ მქეპანიზმს (Eigenversicherung).<sup>87</sup>

### IX. სიცოცხლის დაზღვევა ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების PEICL-ის მიხედვით

ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის თვალსაზრისით PEICL უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. ის ასახავს მრავალწლიანი მუშაობის შედეგს. დაზღვევის სამართლის უნიფიკაციის იდეა ემყარება საზღვაო სამართალში დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც ოკეანის სამართალი ყველასთვის ერთიანი უნდა იყოს. ასეთი სულისკვეთებით გაჟღერდა დაზღვევის სამართლის უნიფიკაციის იდეა ჯერ კიდევ 1962 წელს დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის პირველ საერთაშორისო კონგრესზე. დაზღვევის დანიშნულებიდან გამომდინარე, ასეთი უნიფიკაციის აუცილებლობა შეფასდა არა მხოლოდ როგორც ერთგვაროვანი სამართლებრივი მსჯელობის ინსტრუმენტი, არამედ როგორც უკეთესი მსოფლიოსკენ მიმართული პოლიტიკური და იდეოლოგიური პროგრესის მანიფესტაცია.<sup>88</sup>

ეს ჩანანერი მოკლედ ასახავს განხორციელებულ მიზნებსა და მიდგომას, მიღებულს საპროექტო ჯგუფის მიერ, ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ. გარდა ამისა, იგი ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების (PEICL) სტრუქტურას მიმოიხილავს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირველ სრულად განვითარებულ მოდელს, ალტერნატიულ ინსტრუმენტს, ევროპისთვის.<sup>89</sup>

PEICL თავიდან არ იწყებს ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის შექმნას, არამედ მიჰყვება წევრი სახელმწიფოების ტრადიციულ სისტემას. მოიცავს განმარტებებს, ახსნა-განმარტებას უკეთებენ წესების სავალდებულო ბუნებას, არეგულირებს ხელშეკრულების ფორმირებას, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მზღვეველის პასუხისმგებლობას მისი

<sup>86</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 8.

<sup>87</sup> რუსიაშვილი გ., კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, 1.

<sup>88</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვეო ურთიერთობებში, თბილისი 2016, 14.

<sup>89</sup> Policy Department, Citizens Rights and Constitutional Affairs, "The principles of European insurance contract law: an optional instrument?", 2010.

აგენტის წინაშე, დაზღვეულის მოვალეობას გადაიხადოს სადაზღვეო შენატანი და მზღვეველის ვალდებულებას - უზრუნველყოს შესაბამისი ანაზღაურება.<sup>90</sup>

PEICL-ის ნორმები ინტერპრეტირებული უნდა იქნეს მისი კონტექსტის, მიზნისა და შეფარდებითი ფონის შესაბამისად. სადაზღვეო სექტორში მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვა.<sup>91</sup>

ეროვნულ კანონმდებლობაზე გადამისამართება იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს ან შეივსოს PEICL დაუშვებელია. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, სავალდებულოდ შესასრულებელ შიდა კანონებზე, რომელიც ამოქმედდა დაზღვევის ფილიალებისთვის და არ ვრცელდება PEICL დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კითხვები, რომლებიც პირდაპირ არ არის განერილი PEICL-ში, უნდა დარეგულირდეს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპის შესაბამისად, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ნევრი სახელმწიფოების საერთო ზოგადი პრინციპების შესაბამისად.<sup>92</sup>

ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები შედგება 6 ნაწილისგან, 18 თავისგან, ქვეთავებისა და მუხლებისგან. სიცოცხლის დაზღვევისა და მოთხოვნის კომპეტენციის მიზნებისთვის რელევანტური იქნება ზოგადი წესებისა (ნაწილის I, თავი I, განყოფილება 2) და სიცოცხლის დაზღვევის (ნაწილი 5, თავი 17) განხილვა.

PEICL-ის ზოგად დებულებებში მოცემულია მუხლები: დაზღვევის ხელშეკრულების ცნების, დამატებითი განმარტებების, დოკუმენტების ენისა და განმარტების, დოკუმენტების წარდგენის მტკიცების ტვირთის, შეტყობინების ფორმის, დამზღვევის მიერ უფლებამოსილების გადადობის პირობებში ინფორმაციის გადაცემის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენეტი-

კური ტესტების შესახებ. დაზღვევის ხელშეკრულების ქვეშ იგულისხმობა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დამზღვევის სასარგებლოდ, რომ აანაზღაურებს რისკის რეალიზების შედეგს, პრემიის გადახდის სანაცვლოდ.<sup>93</sup> იმავე მუხლში განმარტებულია სიცოცხლის დაზღვევის ცნებაც, კერძოდ, სიცოცხლის დაზღვევა გულისხმობს მზღვეველის ვალდებულებას გადაიხადოს დაზღვეული რისკის რეალიზების შედეგად წარმოშობილი ზიანი, დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში.

სიცოცხლის დაზღვევა მოცემულია პრინციპების მეხუთე ნაწილის მეჩვიდმეტე თავში და მოიცავს სიცოცხლის დაზღვევისთვის სპეციფიკურ დებულებებს, მესამე პირებს, ხელშეკრულების საწყის ეტაპს და ხანგრძლივობას, ცვლილებებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ეროვნულ კანონმდებლობასთან ურთიერთმიმართებას, სადაზღვეო შემთხვევას, ხელშეკრულების გარდაქმნასა და შეწყვეტას.<sup>94</sup>

მოცემულ შემთხვევაში, საკვლევ თემასთან დაკავშირებით რელევანტურია იმ დებულების მოძიება, რომელიც დამზღვევს სადაზღვეო შემთხვევაში განსახორციელებელ ქმედებებს მიუთითებს, მათ შორის, მზღვეველის მიმართ სარჩელის წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნული შინაარსის დანაწესი მოცემულ დოკუმენტში არ იძებნება.

## X. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და მოთხოვნის წარდგენის კომპეტენციის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული განპირობებულია თანამედროვე სამყაროში სახელშეკრულებო

<sup>90</sup> Policy Department, Citizens Rights and Constitutional Affairs, "The principles of European insurance contract law: an optional instrument?", 2010, 10.

<sup>91</sup> PRINCIPLES OF EUROPEAN INSURANCE CONTRACT LAW, Article 1:104, 2015, 13.

<sup>92</sup> PRINCIPLES OF EUROPEAN INSURANCE CONTRACT LAW, Article 1:105, 2015, 14.

<sup>93</sup> PRINCIPLES OF EUROPEAN INSURANCE CONTRACT LAW, Article 1:201, 2015, 14.

<sup>94</sup> PRINCIPLES OF EUROPEAN INSURANCE CONTRACT LAW, part 5, chapter 17;

ურთიერთობების აქტიურად გამოყენებით, ამასთან, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის საჭიროებით.

სამოქალაქო ბრუნვაში კრედიტის ხელშეკრულებას დიდი ადგილი უკავია. მათი უმეტესი ნაწილი კი ითვალისწინებს მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევას. ამ მიზნებიდან გამომდინარე, საფინანსო სექტორისა და სადაზღვევო სექტორის წარმომადგენელთა თანამშრომლობა მყარი და გრძელვადიანია. რაც შეეხება კრედიტის ამლებს, თითოეული მათგანი თანხმობით უერთდება სიცოცხლის დაზღვევას.

სიცოცხლის დაზღვევის სარგებლიანობა და ეფექტურობა ცალსახაა. მისი საშუალებით, როგორც წესი, მსესხებლის ოჯახის წევრები, მოიპოვებენ ფინანსურ უსაფრთხოებას, სტაბილურობას და სიმშვიდეს. სწორედ ამ ქვაკუთხედზე უნდა იდგეს სიცოცხლის დაზღვევა და ანაზღაურების მიღების ამოქმედების მექანიზმები. როგორც წესი, მემკვიდრისგან მხოლოდ შეტყობინებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენა ხდება, მზღვეველისგან მოთხოვნის წაყენება კი ხდება ბანკის მეშვეობით.

პრობლემა იკვეთება სწორედ მაშინ, როდესაც რისკი რეალიზდება, მსესხებელი გარდაიცვლება, მზღვეველი ბანკს უარს უცხადებს ანაზღაურების მიცემაზე და ბანკს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება უწევს სასამართლოს გზით. მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ბანკს აქვს მოთხოვნის უფლება ჯერ მზღვეველის მიმართ, ხოლო უარის გაცხადების შემდეგ უნდა გადაწყვიტოს - დავა დაიწყოს მზღვეველის ან დაზღვეული პირის მემკვიდრის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურად განსახილველია და, უპირველესად, დაკვირვების საგანია ის, თუ რას ასაჩივრებს ბანკი - თუ თვლის, რომ მზღვეველის მიერ უარის გაცემის საფუძველი არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ დავის შემპასუხებელი უნდა იყოს მზღვეველი, რათა გამოკვლეულ იქნას ის გარემოებები, რომელიც უარის თქმის საფუძველია. განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როცა მზღვეველის უარი ნათელია ბანკისთვის და აღნიშნულ შემთხვევას პირდაპირ ითვალისწინებს

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება. თუ უზენაესი სასამართლოს მსჯელობაში მოხსენიებულ გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკს დაეკისრება ყველა ჯერზე, მათ შორის, ასეთ შემთხვევებშიც, ჯერ მზღვეველისთვის სარჩელით დავის დაწყების ვალდებულება, არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნება. საბოლოოდ, ბანკი, როგორც დამზღვევი მივა დასკვნამდე, რომ სიცოცხლის დაზღვევის გამოყენებით ვერ აზღვევს რისკს, ვინაიდან ყოველთვის მოუწევს მზღვეველთან დავის დაწყება, სამ ინსტანციაში დავა და უფლების ამგვარად დაცვა. აღნიშნული გააძვირებს ხარჯებს, გაზრდის პროდუქტის ღირებულებას, შესაბამისად, მაღალი პროცენტის გამო, ნაკლები პირი შეძლებს კრედიტით სარგებლობას, რაც შედეგად, ნეგატიური გავლენის მქონე იქნება მომხმარებლებზე.

საბოლოოდ, კრედიტის დასაზღვევად გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევის ფარგლებში მოთხოვნის წარდგენის კომპეტენცია მკვეთრად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, ვინაიდან ყველა მხარეს შეექმნას წინასწარი განწყობა და მოლოდინები, რაც სიცოცხლის დაზღვევის არსიდან გამომდინარეობს, ერთი მხრივ, მემკვიდრეს ჰქონდეს სტაბილური და მშვიდი ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტის გამცემისა და მზღვეველისთვის წინასწარ იყოს განჭვრეტადი მოთხოვნის წარმდგენი სუბიექტისა და მისი ადრესატის პირთა წრის შესახებ.

აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ ცალსახად და უპირობოდ ბანკებისთვის მზღვეველის წინააღმდეგ ყველა შემთხვევაში სარჩელის შეტანის ვალდებულების დაკისრება ვერ იქნება ლოგიკური, სამართლებრივი და კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული. დავის დაწყება მაშინ არის დასაშვები და გამართლებული, თუ მოსარჩელეს სურს თავისი უფლების სასამართლოს გზით დაცვა და, ამავდროულად, აქვს ამის საფუძველი. ამ შემთხვევაში კი გამოდის, რომ შესაძლოა, ბანკის სარჩელი მზღვეველის მიმართ უსაფუძვლო და უპერსპექტივო აღმოჩნდეს, რადგან სწორედ მსესხებლის უფლებამონაცვლე (მემკვიდრე) წარმოადგენდეს კრედიტის გადახდაზე პასუხისმგებელ პირს.